

იოსებ ომაძე

არმაზუელი ჩანახატები

თბილისი, 2009 წ.

ISBN 978-9941-0-1995-1

Copyright: იოსებ ომაძე, 2009 წ.

სარჩევი

შესავალი. არმაზის ხიბლი	1
არმაზი	2
სარკინე-საგანეთი	3
არმაზი, შემოდგომის ბოლო დღე	6
არმაზი, ზამთრის ღამაზი დღე	7
არმაზი, თებერვლის მიწურული	12
ფეშანგის მზითვეი და არმაზის ზღაპარი	13
არმაზი, ოქტომბერი იწურება... ..	15
ღამაზ ქვებზე ნადირობა	18
არმაზი, გაზაფხულის ღამაზი დღე	21
არმაზი, ნიკალას ძაღლი	23
არმაზი, ცაცხვი	26

ვუძღვნი შესანიშნავი მხატვრისა და მწერლის
გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის
დაბადების 65 წლისთავს

შესავალი. არმაზის ხიბლი

2009 წლის 3 იანვარს, არმაზში ჩემი მეგობრის, შესანიშნავი მხატვრისა და ნიჭიერი მწერლის, გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილის აგარაკზე ყოფნისას, დღის ბოლოს მასპინძელმა სუფრა გაშალა. სულ ორნი ვიყავით და გოგიმ ასეთი მორიგი სადღეგრძელო შემომთავაზა:

– მოდი, არმაზს გაუმარჯოს! არმაზი რა ადგილია, იცი? თბილისის გარშემო არის ძალიან ბევრი ულამაზესი აგარაკი: წყნეთი არის, კოჯორი არის, საგურამო არის, წაგისი არის, მაგრამ არმაზი – ერთადერთია! არმაზი ძალიან სხვანაირია. რომ მიხვალ წყნეთში – აგარაკები აქვთ ხუჭუჭა-ბუჭუჭა, რაღაცეები... არმაზი თვითონ ირჩევს თავის დამსვენებელს და იმ კაცს, ვინც აქ უნდა იცხოვროს. არმაზმა მე მომიყვანა აქ, მართლაც ვამბობ: სამ ადგილას უკვე ლამის ბეც მქონდა მიცემული – კოტორაანთკარში, ნაგდარაანთკარში, საგურამოში, – არცერთი გარიგება არ მოხდა და აქ მომიყვანა უფაღმა, რომლის არსებობაც შენ არ გჯერა... მოდი, არმაზის სადღეგრძელო იყოს – თავისი ისტორიით, თავისი გმირებით, თავისი ყველაფრით: კეთილი სულებით, კეთილის მოსურნეებით, კეთილი დამსვენებლებით, კეთილი მაცხოვრებლებით, სიკეთის შემქმნელებით...

– ეს მართლაც დალოცვილი ადგილია, – ჭიქა ავწიე მეც, – და, როგორც წინათ იტყოდნენ, ღვთით კურთხეული ადგილი! მარტო ისტორია რამდენს გვეუბნება! მხოლოდ ეს შენი აგარაკი, ერთი ხელისგულისდადება ადგილი, უკვე ისტორიის კუთვნილებაა – რამდენი ადამიანი ყოფილა აქ, რომლებიც შენ, ჩემო გოგი, შენი მაგნიტური მიზიდულობით აქ მოიყვანე...

– ახლა, თებერვალში, ოცდამეათე წელიწადი შესრულდება, რაც აქ დავფუძნდი!

– ეს აუცილებლად უნდა აღინიშნოს – საიუბილეო თარიღი იქნება! მე მგონია, არმაზმა შენს ხასიათზეც იმოქმედა, შენს შემოქმედებაზეც – მრავალმხრივ იქონია გავლენა.

– ეს ვარ მე! აქ, ყოველი ქვა რომ გდია – ეს შენ ხარ!

– აქ თუნდაც ყოველი აგური რომ არის ამ ბუნარში, რაღაცას გახსენებს, რაღაცის ნიშანი არის... ნიშანი – სიმბოლური გაგებით. გაუმარჯოს აქაურობას! ჩვენ წავალთ და კიდევ ბევრს, ძალიან ბევრს, რომ იტყვიან, ცხოველ ნიშატად, ნათელ გვირგვინად დაადება – არაჩვეულებრივად ნაყოფიერია! არ ვიცი, არმაზი მდებარებითი სქესის ღვთაება იყო თუ მამრობითი, თუ საერთოდ უსქესო იყო, მაგრამ საოცრად მრავალფეროვანი და მდიდარი, ძვირფასი შთამომავლობა მოგვცა!

– მცხეთა – დედაა, მშობელი!

– ნამდვილად! და ის ალბათ თავის სათქმელს კიდევ იტყვის მომავალშიც! ბევრი გაანაყოფიერა შემოქმედებითად, აქ ხომ, ანტიკური დროებიდან მოყოლებული, საუკუნეების მანძილზე ოქრომჭედლების უბანი ცალკე იყო, მეთუნეების, მეირაღეების, ხატმწერლების და სხვათა კიდევ – ცალკე. ლითონმქანდაკებლობა, მეტალურგია აქედან წამოვიდა. რა ვიცი, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ცივილიზაციის აკვანი აქ დაირწა და ალბათ არმაზი ისევ გაბრწყინდება მომავალშიც! შენი და შენისთანების წყლობით, ჩემო გოგი! გაუმარჯოს არმაზს!

არმაზში, ამ აგარაკზე, გოგის მიწვევით, უთვალავჯერ ვარ ნამყოფი; ზოგჯერ ამ ადგილის ხიბლი, აქ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობა დამაწერინებდა ჩანახატს – მსიამოვნებდა და მახალისებდა არმაზში გატარებული იმ ჩვეულებრივი, და, ამავე დროს – არაჩვეულებრივი, დღის მოგონება... განუმეორებელს მას ხდიდა არმაზი: არმაზში გატარებული დღე სულ სხვაა! ასე შეიკრა ეს მცირე წიგნიც, რომელიც მივუძღვნი ჩემი კეთილი მასპინძლის დაბადებიდან 65-ე წლისთავს.

ჩემო გოგი!

ხსოვნა – ჩვენი სიმდიდრეა და თუკი შენდამი მიძღვნილი ამ უბრალო ჩანახატების, – რამდენიმე განუმეორებელი დღის გახსენების, – წაკითხვისას შენც და სხვა მკითხველიც ოდნავ მაინც იმ სიამეს იგრძნობთ, რა გრძნობითაც ვწერდი, ამითაც კმაყოფილი დავგრჩები!

არმაზი

ოქტომბრის დასაწყისია.

როგორც იქნა, ნამდვილი თბილისური შემოდგომა მობრძანდა – წყნარი, თბილი, ალერსიანი.

ოთხის ნახევარზე სამსახურში მოულოდნელად გოგიმ გამომიარა ავტომანქანა “ნივით” – არმაზში მივიღივარ, ღვინიან ბოცებს უნდა დავხედო, თუ გინდა, წამომყევი, გავისეირნოთო.

გოგის ორ ათეულ წელზე მეტია, ვიცნობ – ძლიერი მხატვარია, გამორჩეული ნიჭისა და შრომისმოყვარეობის; მარად ფუსფუსა, მოუსვენარი, დაუდგომელი – სულ ახლის ძიებაშია, ნახევარი მსოფლიო მოვლილი აქვს (იქნებ მეტიც); საწყენია, რომ მისი გამორჩეული შემოქმედებითი ნაღვაწის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ, კერძო კოლექციონერებთან დარჩა... ხშირად ჩვენი შეხედულებები დიდად განსხვავებულიც არის, მაგრამ მასთან ბჭობა-კამათი ხელოვნებაზე ყოველთვის საინტერესოა და გამდიდრებს.

გზა საუბარში გაილია. სულ ნაცნობი ადგილებიაო რომ ვთქვა, ცოტაა – თვალდახუჭულმაც კი ზეპირად შემიძლია, წარმოვიდგინო მთელი გზა: გავივივართ დიდმის ველზე, მერე გავივივართ რკინიგზის ხიდქვეშ და მას შემდეგ სულ რკინიგზის გასწვრივ მიემართება საავტომობილო გზა; მარჯვნივ რჩება ზაპესი, ჩამოვიტოვებთ გორაკის წვერზე ჯვრის მონასტრის საოცრად ზუსტად და კოხტად მორგებული “ქუდიც”; მის იქით გამოჩნდა ზედაზნის შემოდგომურად შეფერადებული ტყით დაფარული კალთები; მარცხნივ ატომური რეაქტორი და კარსნის ასახვევი მოვიტოვეთ... გზის გასწვრივ – დიდმის ველზე და ახლა აქაც – რესტორნები, სალონიები, სახაჭაპურები... ბაგინეთთან კი, პირდაპირ, მტკვარგაღმა – მცხეთის ნაირფერადი მოზაიკიდან ამაყად და ძლიერად ამოზიდული სვეტიცხოვლის გოლიათური დაკუნთული ტანის თბილი გამონათება...

ღიახ, გეოლოგიური ხეტილის რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, უთვალავჯერ გამივლია ამ გზაზე... და ყოველთვის გულაბგერებული და თვალგაფართოებული შევცქეროდი ამ ჩვენთვის წმინდა ადგილებს – ყოველ გორაკს და ყოველ ხევს ხომ წამებული წარსული და შარავანდით მოსილი სახელი აქვს...

თითქოს ზედმეტად ვაჭიანურებ თხრობას, მაგრამ საოცრად მსიამოვნებს კიდევ და კიდევ წარმოვთქვა და დაგწერო სიტყვები: დიღომი, კარსანი, ჯვარი, ბაგინეთი, ზედაზენი, მცხეთა, არმაზი...

მცხეთის რკინიგზის სადგურთან გავცდით მარჯვნივ, ქალაქისკენ მიმავალ გზას (და ხიდს დამლოვრებულ მტკვარზე), – პირდაპირ ვაგრძელებთ სვლას, – აქედან იწყება არმაზი, ამაჟამად მცხეთის ერთ-ერთი უბანი. გოგის აგარაკი არმაზის დასახლების თითქმის ბოლოშია, ზედ მტკვართან, უფრო სწორედ – მაღალი, კლდოვანი ქარაფის ნაპირას, იქ, სადაც მარჯვნივ ძეგვს და მარცხნივ შიომღვიმეს გამომცდარი მტკვარი რამდენიმე მუხლს აკეთებს, მერე ღრმა მორგვს აჩენს და შედარებით დამლოვრებული, პირდაპირ მივიდინება მაღალ ნაპირებს შორის. სწორედ ამ მორგევთან მოსახვევშია ნახევარკუნძულივით შეჭრილ კლდოვან ქიმზე გოგის აგარაკი.

დიდებული ადგილია, მშვენიერი გადასახედი ყოველი მხრივ... გოგიმ შინიდან წამოდებული ლობიოიანი ღვეზლები დამიღო თეფშზე, ჭაშნიკად სურნელოვანი, ოდნავ მომწარო, მაჭრობიდან თითქმის გამოსული, სასიამოვნოდ დასალევი ღვინოც ჩამოასხა ჭიქებში – დავილოცეთ, ლუკმაც გავტეხეთ... აქ სხვანაირი, განსაკუთრებული გემო აქვს ყველაფერს – საჭმელ-სასმელსაც და თითოეულ წარმოთქმულ სიტყვასაც... გოგიმ ერთიცი დამისხა, თვითონ კი გაუჩინარდა – საქმე ელოდა.

მე ცალ ხელში ღვეზელი მიჭირავს, მეორეში – ღვინიანი ჭიქა და ნება-ნება მიმოვიღივარ გაყვითლებულ-გაყვავისფრებული ფოთლებით მოფენილ ეზო-ბაღში და გარშემო განფენილ ზღაპრულ მშვენიერებას ვისრუტავ, ვჭამ და ვსვამ თვალებით, ტანში უჩვეულო გრძნობით ვიმუხტები – მარადისობა გამჯდარა აქ ყოველ გოჯ მიწაში...

მოაჯირს მიყუდებული, მაღალი ნაპირიდან ჯერ მომწვანო-შაბიამნისფერი მტკვრის მოლივლივ ზედაპირს დავცქერი, – როგორ ირეკლება მასში გაღმა ნაპირის მუქი ვულკანოვანი ქანები; ციცაბო, ხრიოკ ფერდობებზე ფეხი მოუკიდებია მეჩხერ, გვალვაგამძლე მცენარეულობას; აქა-იქ საერთო რუხ ფონზე თბილად დუდღუდებს თრიმლის ბუჩქები; ზედ მტკვართან ახალგაზრდა ჭალის ვერხვი რაღაც სასწაულით ფესვებით ჩაფრენია ნაპრალში თითქმის შვეულ კლდეს და თვალს ძალაუნებურად იტაცებს მისი ხასხასა ყვითელი ვარჯი, უზარმაზარი სანთელივით ანთებული...

აქეთა, მარჯვენა ნაპირზე, თხუთმეტ-ოცმეტრიანი ქარაფის შემდეგ, შედარებით დამრეცი, აგარაკებით დამშვენებული უბანია – რკინიგზამდე; მერე მაღალი ქედი აიზიდება უცებ – ქედს იქიდან ჩამავალი მზის სხივთა მარაო ეფინება ნებიერად გატრუნულ მიდამოს... რა სიმყუდროვეა – გვგრძობ საუკუნეთა სუნთქვას, ვუსმენ მარადისობას და მარადისობაც თითქოს აყურადებს ყოველივეს – ბუნებას, ადამიანებს...

და უცებ რკინიგზის შემადგენლობის რაკარუკი მაბრუნებს თანამედროვეობის სიმფონიაში – ნავთობის შავად გაზინზლული ცისტერნებით, ელექტროგადამცემი ხაზებით, უშფოთველად აყუ-

დებულები მუქი მთა-გორებით და მათ ძირებში მიყუჟული სახლებით... ჩაიხრივინა გრძელმა შემადგენლობამ და ისევ უშფოთველობამ დაინადგურა, თითქოს დრო შეჩერდა. მხოლოდ თითო-ორი-ლა შეუჩინებელი ფოთოლი მოწყდება კაკლის ხეს, ნელა მოფარფატებს ქვევით და მიწაზე დაფენილ ჭრელ ხალიჩას უხმაუროდ ემატება ჩემს ფერხთით... შრიალთ დაგაბოტებ ჩამოცვენილ ფოთლებში და აქა-იქ მიმალულ კაკლებს ვაგროვებ. მერე ისევ გარემოს გავცქერო: დასაგლეით – ძეგვს, მის მარჯვნივ, მტკვარგაღმა – კედელივით ამართულ ქედის ძირში, ციცაბო ფერდობის უბეში მერცხლის ბუდედავით მიყუჟულ შიომღვიმის მონასტერს; ჩრდილოეთით – ჯაგნარიან, აწოწილ გორაკს; აღმოსავლეთით – მტკვარი მიღუღუნებს-მისრიალებს მედიდურად მცხეთისკენ...

ჩრდილები სულ უფრო მუქდებიან, შესამჩნევად აგრილდა – მალე დადამდება.

გამოჩნდა გოგი, მანქანისკენ მივდივართ.

– გინდა, შიომღვიმეში ავიაროთ?

ვინ იტყვის უარს!

მანქანა ძეგვისკენ მიცუხცუხებს, მერე მტკვრის ჭალაში ვეშვებით; ტყის გზამ მტკვრამდე მიგვიყვანა, მერე პონტონებზე გადავდივართ გაღმა და მიხვეულ-მოხვეულ აღმართზე მივჯაყჯაყებთ-მივბღუივართ. დაღარულ ხრიოკ ფერდობზე გაფანტულა ასკილის, ძეგვის, ღვიის ბუჩქები... ბოლო მოსახვევიც და – მონასტრის დიდი ტაძრის წინ, საკმაოდ ფართო ეზოში შევგრივალდით.

მყუდრო საგანე!

მარჯვნივ ტაძარია, ფრად უსახური ფასადი აქვს (შიგ რომ შევედით, ინტერიერმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა); მარცხნივ – რაღაც ერთსართულიანი გრძელი შენობაა, ალბათ – სენაკები... ირგვლივ, კლდოვან გამონაშვებებზე, აქა-იქ მუქი ღვია მწვანედ გაწოლილა: გრაფიკულად მკვეთრი, თან ფერადოვანი, დეკორაციულად მეტყველი სურათია – ბერებმა იცოდნენ სილამაზის ყადრი!

აჩრდილებით წყნარად დადიან შაოსანი ბერები, თითქმის უჩინარნი – გარშემო სიწყნარეა, ხმამაღალ სიტყვასაც კი ვერ გაიგონებ (ჩვენ სამართლიანად გვისაყვედურეს, რატომ მანქანა ცოტა ქვევით არ გააჩერეთ).

ბინდი მოიპარება, ჩვენც ვდაბლდებით, ამ კლდე-ღრეზე მიმბობლავი ღვიის ბუჩქებით ბინდიანი ვხდებით, ვწყნარდებით... ბერებთან საუბარი სხვადასხვა თემაზეა: ამინდი, ამ ადგილების წარსული და აწმყო, სულის სიმშვიდის მომფენი განდგომა ცხოვრების დულილისა და ყოველდღიური წვრილმანი ვნებათაღლევისგან... ერთი შუახნის მოსაუბრე – ნოდარი – მხატვარი ყოფილა, აქ განრიდებია ქალაქს... აპირებს შიომღვიმის შემოგარენის პეიზაჟები შექმნას; საუბარში გარდასული დღეებიც გაიხსენა და როცა ერთხელ ხელი ასწია, წამიერად გამოჩნდა მაჯაზე სვირინგის ლურჯი ნახატი...

ლურჯად დადამდა... მერე, როცა უკანა გზობაზე გოგომ მანქანის ფარები ჩართო, უცებ ჩაშავდა გარემო და მხოლოდ უსწორმასწორო, მიხვეულ-მოხვეული გზის ყვითლად განათებული ვიწრო ზოლი ჩანდა...

ასეთ ნათელ ზოლად დარჩა და ანათებს ჩემს ხსოვნაში ეს ერთი, თითქოს ჩვეულებრივი ოქტომბრის დღე – არმაზის წყნარი მშვენიერება, შიომღვიმის ბინდისფერი მომხიბვლელობა...

2001

სარკინე-საგანეთი

ესხედვართ მე და გოგი არმაზში, მისი აგარაკის ქვედა სართულზე, მაგიდასთან. ბუნარში ცეცხლი ცეკვავს, ალის ენებს ასარსალებს...

ნოემბრის წყნარი დღეა. შემოდგომურად ჟინულდავს, საკმაოდ გრილა.

მათლაფაზე გადმოღებულ, მარილმოყრილ, მოხარშულ ღორის ხორცს ოხშივარი ასდის; მაჭრობა ეს-ესაა თითქმის დამთავრებული, ახლად გადაღებული, ევროპული წესით დაყენებული რქაწითელი ჭიქებში ისხმება; ბუნარის ნაკვერჩხლებზე გახუხულ ხმალივით თონის პურს ხრაშუნით ვტყებთ – მისი განუმეორებელი სურნელი ავსებს ოთახს და ეზოში შემოხეტებულ, მაწანწაღად ქცეულ (ვიდაცას მატარებლიდან გადმოუგდია არმაზში) ლამაზ, ჭრელ ძაღლს მიხურულ კარს უკანაც კი მაღლა ახტუნებს და კარის მინაზე თათებს მოუსვენრად აფხოჭინებს, შემომიშვითო.

კედლებზე გოგის ადრეული პერიოდის უჩარჩო სურათები ჰკიდია – ნატურმორტები.

რამდენჯერ ვარ აქ ნამყოფი და მხოლოდ ახლა დამებადა კითხვა:

– გოგი, ამ მთას რა ჰქვია?

– არ იცი? სარკინე.

მთავარი, რამაც ჩემი შეკითხვა წარმოშვა, აი, რა არის: კარის მინაში მოჩანს მტკვარის გაღმა ნაპირის კლდოვანი ციცაბო ფერდი, თითქმის კედელი – თითქოს ჩარჩოში ჩასმული სურათია! დასრულებული სურათი!..

საზოგადოდ ჩარჩო, ეტყობა, რაღაცნაირად შემოსაზღვრავს არეს, დაასრულებს ხედს, აქცევს სურათად – ჩვენ წარმოსახვით ვაგრძელებთ მას ყველა მხარეს და ამით ფანტაზიას ავამუშავებთ.

როცა ნახევარი საათის წინათ ეზოში შემოვედით, მერე ეზოს კიდეს მივადექით მაღალი ფლატის თავზე რკინის მოაჯირთან და მტკვარგაღმა კლდოვან მთას გაგხედეთ, დიდხანს ვიდექი, დიდებულები ხედით მონუსხული... უსასრულოდ შეიძლებოდა აქ დგომა!

წყალდიდობა – ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვდგავართ, მცხეთის კლდოვან ვიწრობაში მომწყვდევული ტალახისფერ-მომწვანო მტკვარი მოღვლავს, მცირე ტალღებს მოათამაშებს, მოცეკვავს და წყნარად მოიმღერის, წყლის მიერ ნაპირებიდან წარტაცებულ ხმელ ტოტებს, ფოთლებს და რას აღარა მოატივტივებს.

ხელმარცხნივ, მტკვრის მოსახვევს გაღმა – დაბალი, სილიანი ნაპირის ნათელი ზოლია, მერე – ჭალის სიმწვანე, უკვე ოდნავ ფერშეცვლილი, გამოხუნებული...

გოგი თითს ხან ჭალისკენ იშვერს, ხან – კლდეებზე მიყუჟული ბუჩქნარისკენ:

– აი, ის – პისაროს სიმწვანეა, ის – ჩვენი ნიკალასი...

– იქ კაკაბი თუ იცის?

– ჩემს ეზოში ჩამოფრინდებოდნენ ხოლმე, აქ დასეირნობდნენ, ახლა სულ გადაშენდა. რა დაემართათ, არ ვიცი, ნადირმა გასწყვიტა თუ ბრაკონიერებმა... გასაშვებია და მოსამრავლებელი.

ფართოდ გაშლილი სივრცე ერთგვარად ფანტავდა ყურადღებას, ახლა კი, როცა ოთახიდან გავცქეროდით იმავე შეუქმნელ კლდეებს, შუშინ კარში – "ჩარჩოში" – ჩანსული, შემოსაზღვრულ არეში მოქცეული სურათი პირიქით, მზერას ამახვილებდა ერთ კუნჭულზე, აცხოველებდა აღქმას და უფრო ცხადად წარმოაჩენდა მას. შუა ეოცენის უხეშნატეხიანი ანდეზიტური ტუფ-ქვიშაქვიშით და ტუფბრექჩიებით აგებული ვულკანოგენი ქანები – რა მრავალგვარია ეს დასახსრულ-და-ნაპრალიანებული, გვალვამძლე ბუჩქნარ-ბალახით აქა-იქ შემოსილი სალი კლდეები!.. ზარმაცი მზერისთვის ერთფეროვანი, მოსაწყენი მონოტონურობაა, სინამდვილეში კი ამ რუხი, მოყავისფრო-მოიისფრო ტონების რა სიმდიდრეა! ეს ველური პეიზაჟი მხატვრისთვის ამოუწურავი სიმდიდრეა! გოგის მრავალგზის აქვს შექმნილი სურათები, ამ თვალმწარტაცი ხედის ფორმები და ფერები თავისებურად გადატანილი ტილოზე – ვერ ჰგუობს პირდაპირ "სესხებას", აუცილებლად უნდა ერთგვარად შეცვალოს, ახლებურად, თავისებურად გააცოცხლოს.

მორიგეობით წარმოვთქვამთ სადღეგრძელოებს და ნება-ნება ვწრუპავთ ჯერ კიდევ მღვრიე, სურნელოვან ღვინოს; ვიხსენებთ ჩვენს მშობლებს, წინაპრებს – ჩვენს ფესვებს, რომლიდანაც ამოვსულვართ, ამოვზრდილვართ...

წარსული და დღევანდლობა...

– ერთ "სისულელეს" გაუმარჯოს, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი არ არის – ხელოვნებას! ხელოვნების გარეშე აზრი არ ექნებოდა ცხოვრებას!

საუბარი მხატვრობას უტრიალებს: უნა ჯაფარიძე ("შეიძლება, დიდი რეფორმატორი არ იყო, სკოლა არ შექმნა, მაგრამ დიდი პროფესიონალიზმის ნაყოფი რჩება, მისი ნამუშევარი ღირებულება"), დელაკრუა, სეზანი, კამილ კორო, ვან გოგი, ჩვენი ნიკალა, კოკი მახარაძე, ირაკლი ფარჯიანი, გივი კასრაძე, პიკასო...

– ხაშლამასავით რაღაც გამოვიდა... ამან მწვადს ხომ აჯობა?

– არა, ძმაო, კახელები არ ცდებიან. გოგი, როგორ შეიძლება, ყველაზე ბინძური ცხოველი ყველაზე გემრიელი იყოს? საოცარია!

მერე გოგი – ძველი მონადირე – ჰყვება ამას წინათ თრუსოს ხეობაში მოგზაურობის შესახებ; ნახა დედალი როჭო, მაგრამ არ ესროლა ("იქ დათვიც იცის, შეიძლება, მოულოდნელად დაგადგეს თავზე"); იხსენებს, კარგა ხნის წინ როგორ მოკლა დათვი... ამატებს:

– ფოლკნერს რომ მოთხრობა აქვს დათვზე – მაგარია!

გოგი მეკითხება, ვინ მიყვარს მწერლებიდან ყველაზე უფრო და მთხვეს დავასახელო სამი ქართველი და სამი უცხოელი მწერალი. ქართველები: გიორგი ლეონიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, რევაზ ინანიშვილი; უცხოელები: ლევ ტოლსტოი, ივან ბუნინი და ანტონ ჩეხოვი (მიკვირს, რატომ მაშინ არ გამახსენდა ჩემი უსაყვარლესი ჩეხი მწერლები – იაროსლავ ჰაშეკი და კარელ ჩაპეკი).

– მზე მილიარდობით წლების შემდეგ ჩაქრებაო... თუ დაფიქრდები, რომ სამყაროს აქვს დასასრული – გააფრენ!

გოგი ბუნებრივად მიდის, მის ეზოში ფოთლოვან-ცვენილი კაკლების ქვეშ შეგროვებულ კაკლებს ტენს, თან ჰყვება ნათესავების შესახებ, რომლებიც გაჭირვებამ აიძულა და სადღა არ გაიფანტნენ: თურქეთი, ისრაელი, ესპანეთი... ახლა ერთ-ერთი უფრო შორს, კანადაშიც კი აპირებს წასვლას.

მერე – ქვაკაცას შესახებ: კარგა ხნის წინათ ნადირობისას, გარე კახეთში, ვლდარის ველზე, ლეკისწყალის ხეობაში, ერთი მთის ძირში გოგის უნახია ქვის დიდი, პრიმიტიულად გამოჩორკნილი ქანდაკება; სიგრძით ყოფილა დაახლოებით მეტრნახევარი. ქაღალდის ფურცელზე დამინატა კიდევ მისი კონტური: ზემო ნაწილში გამოკვეთილი ჰქონდა მრგვალი თავი, ქვედა ნაწილი კი – წაწვეტებული; შესაძლოა, ამ ბოლოთი ჩარჭობილი იყო სასაფლაოზე... ქანდაკების სიმძიმე-

სა და ზომის გამო იმხანად მისი მსუბუქი მანქანით წამოღება ვერ მოხერხდა, შემდგომ კი რამდენჯერმე საგანგებოდ წავიდა გოგი მხლებლებთან, ამ აღმოჩენით დიდად დაინტერესებულ პირებთან ერთად, მაგრამ უშუალოდ, ძვირფას ქანდაკებას ვეღარ მიაკვლია... (სხვათა შორის, ჩემი გეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობის დროს გარე კახეთის სამხრეთში, ულამაზეს ნახევრად უდაბნოში, ბევრჯერ მინახავს გეოლოგიური ჩაქუჩით გამოთხრის შემდეგ თიხის ჭურჭლის ნამტვრევები; დარწმუნებული ვარ, ეს ადგილები ადრე მჭიდროდ იყო დასახლებული და მომავალი არქეოლოგიური გათხრები მრავალ ადგილას ძალზე მდიდარ, ჩვენი ისტორიისთვის ძვირფას მასალას აღმოაჩენს).

გოგიმ გაუკეთა ძაღლს საჭმელი – ხორცის ნახარში ჩაყარა ნახრაგი ძელები, ჩაუფშვნა პური, გაუტანა გარეთ მოუთმენლობით ავსებულს:

– აბა, მოდი!

მაშინ, გოგისთან საუბრისას, არ ვიცოდი, ახლა კი, როცა ამ ჩანახატს ვწერდი, წიგნებში ამოვიკითხე: მისი აგარაკის პირდაპირ, მტკვარგაღმა მდებარე ამ მთებს სავანეთის ქედი ჰქვია; სავანე – იგივე მონასტერია, ხოლო ამ ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებიდან დასავლეთისკენ თუ გაუფყვებით, უამრავი ეკლესია-მონასტერი შეგვხვდება – სამთავროთი დაწყებული და შიომღვიმით დამთავრებული... ამ ქედის დასავლეთ დაბოლოებაზე მდებარეობს სარკინის მთა, რომელსაც აგვირგინებს კარგად ცნობილი ქსნის ციხე, იგივე – მტვერის ციხე, იგივე – კონსტანტილიაბათი. ბაგრატ მუხრანბატონმა ეს ციხე ააშენა 1511-1514 წლებში (1746 წელს ძლიერ დაზიანებული ციხე კონსტანტინე მუხრანბატონმა თითქმის ხელახლა ააგო და უწოდა კონსტანტილიაბათი). როცა კახეთის მეფემ გიორგი II-მ (ავგიორგიდ წოდებულმა) ქსნის ციხის აგების შესახებ შეიტყო, ქართლს უკვე მერამდენედ შემოესია, ალყა შემოარტყა ქსნის ციხეს, მაგრამ სამი თვის განმავლობაში ამოდ ცდილობდა მის აღებას. როცა 1513 წელს ავგიორგი ისევ შემოესია ქართლს ასაოხრებლად, ბაგრატ მუხრანბატონმა იგი შეიპყრო, ამ ციხეში დაამწყვდია და აქვე მოკლეს (“ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის” მიხედვით – მუხრანის ციხეში, რაც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას ეწინააღმდეგება).

კიდევ უფრო ძველ ამბებს გადავწვდით.

როცა 1400 წლის ზაფხულში თემურლენგმა ძამის ციხე აიღო, მეფე გიორგი VII ლაშქრითურთ ციხიდან გამოვიდა, გარღვია ალყა და სავანეთის ციხეს მიაშურა. საინტერესოა, სად მდებარეობდა ეს ციხე? ცნობილი ისტორიკოსი კარლო ტაბატაძე წერს (“საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, თბილისი, 1979 წ., გამ. “საბჭოთა საქართველო”, ტ. III, გვ. 698): “სავანეთის ციხე, რომელიც თანამედროვე ტოპონიმთა შორის ზემო ქართლის მიდამოებში აღარ ჩანს, უნდა ყოფილიყო ძამის ციხიდან დასავლეთით, იმერეთში მიმავალ გზასთან. სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, აქ იგულისხმებოდეს ლიხის ფერდობზე არსებული ის ადგილი, რომელსაც დღეს “სავანისუბანი” ჰქვია”. ისტორიკოსის ეს მოსაზრება სარწმუნოდ არ მეჩვენება. უპირველესად აღვნიშნავ, რომ ეს სავანეთის ციხე უნდა ყოფილიყო არა ზემო, არამედ შიდა ქართლში; მეორეც: მთელ დღევანდელ ხაშურის რაიონში, სადაც მდებარეობს სოფელი სავანისუბანი, ერთადერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა იყო სურამის ციხე (ქვიშეთის ბულბულისციხე ადრევე იყო დაქცეული). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სავანეთის ციხე მდებარეობდა სავანეთის ქედზე (შესაძლოა, აწინდელი ქსნის ციხის ადგილზე; ასევე, შესაძლებელია, ბაგრატ მუხრანბატონის მიერ ქსნის ციხის აშენებამდე აქ ძველად არსებული ციხის – სავანეთის ციხის(?) – ნანგრევები არსებობდა); უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ “დიდი მცხეთის” ზეობისას, მას ოთხივე მხრიდან იცავდა ერთმანეთთან დაკავშირებული ციხე-სიმაგრეების სისტემა, მათ შორის, დასავლეთიდან – სავანეთის ქედზე განლაგებული სასიმაგრო ნაგებობანი.

მცხეთის დასავლეთით მდებარეობდა სარკინე; ერთი ძველი ქართული წყარო მას იხსენიებს ცალკე ქალაქად, მეორე – მცხეთის ერთ-ერთ უბნად, რომელშიც მეღვინეობას მისდევდნენ. ძველი წელთაღრიცხვის II – ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეებში აქ სახელისნოებში ლითონის დამუშავება ხდებოდა სრული მეტალურგიული ციკლით – რკინის, ტყვიის, სპილენძის გამოღობიდან იარაღ-ხელსაწყოების დამზადებამდე; იყო საოქრომჭედლოც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებში აღმოჩენილია, აგრეთვე, ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებით დათარიღებული ტერაკოტის ნიღბები, ღიონისესა და არიადნეს ქანდაკებები – ცხადია ცხოველი კავშირი რომაულ-ელისისტურ სამყაროსთან...

ჩემო გოგი, სხვათა შორის, ეს ტერაკოტის ნიღბები – პირდაფრენილი, მღიმარე სახეები – მიჩნეულია ადგილობრივი ტიპის გადმოცემის ცდად და ისინი გამოიყენებოდა ინტერიერის სამკაულად; ალბათ ჩვენს წინაპრებს მაშინაც უყვარდათ ლალი ლხინი შესაბამის ლამაზ გარემოში. და 2000 წლის შემდეგ ჩვენც ვსხედვართ მყუდრო ოთახში, ვწრუპავთ ღვინოს, მე დროდადრო შევაგლებ თვალს: ხან – გარეთ, “ჩარჩოში” ჩასმულ ნაირფერ კლდეთა სურათს, ხან – კედელზე შენს ნატურმორტებს და ალბათ იმ ძველებივით თავს ვიქცევთ გემრიელი საუბრით: ხან – მთისას ვამბობთ და ხანაც – ბარისას...

არმაზი, შემოდგომის ბოლო დღე

გოგომ შუადღეზე დამირეკა, არმაზში გავისეირნოთ და აი, მისი “ტოიოტა” რბილად მისრიალებს მცხეთისკენ.

2007 წლის 30 ნოემბერია, დღეს ვემშვიდობებით შემოდგომას.

– აი, კოროს პეიზაჟი! – მეუბნება გოგი.

გზისპირა ხე-ბუჩქნარი შემოდგომურად რუხ-ყვითლად და ნაზ მოწითალოდ თითქოს დნება... ხელმარჯვნივ, საგურამოს ქედის მკვეთრად აზიდულ ლურჯ მწვერვალებზე დაფენილა პირველი თოვლის თხელი ფენა. ახლა ფერმწერებისთვის და, ზოგადად, ბუნების სილამაზის ტრფიალთათვის გამორჩეული დროა!

გსაუბრობთ ფერზე, ფერწერაზე... რაც ჭეშმარიტ ნიჭს თავისთავად გამოუდის – დაუძაბავად, თითქოს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ფუნჯის თავისუფალი, ლაღი მონასმებით შედევრს ჰქმნის, მეორესთვის ძნელად დასაძლევია თუ მისაღწევია – დიდი გარჯის შედეგადაც კი...

არმაზში, გოგის მტკვრისპირა აგარაკზე, გეხედება მზის სხივებით განბანილი, ნიაგით ატოკებული ხეები; დობესთან – ფოთოლგაძარცვული ბუჩქის წვეროკინებზე – ნელა მოქანავე პირდაფენილი ბროწეულები; მხოლოდ კომპოს შერჩენია გაყვითლებული ფოთლები, მის ქვეშ კი რუხ-მომწვანო ბალახზე წაფენილ კაკლის ყავისფერ ფოთლებზე მოჩანს ჩამოვარდნილი უკანასკნელი სამი ოქროს ნაყოფი... გოგიმ წამოკრიფა და გამომიწოდა – რა საოცარი სურნელი აქვს!

კუთხეში მდგარი შინდის წვრილ ტოტებზე წამომსხდარა ქინძისთავის ტოლა ბურთულები – ადრე გაზაფხულზე მისი უფერული ყვავილები ერთ-ერთი პირველი გაიშლება; ყოჩივარდა კი, რომლის ლამაზად დაჭრელებული, მუქი მწვანე ფოთლები ერთგან მიწაზე გათხმულან, ყველას დაასწრებენ და ზამთრის დამთავრებასაც არ მოუცდიან, ისე წამოყვლეყვლაფდებიან მისი გრძელკისერა ნატიფი, თვალგასახარი ყვავილები...

მტკვრის თავზე გამოჩნდა დაღმა მიმფრინავი იხვების სამკუთხედი – სულ ერთიანად შავი ფერის ჩვამები. ალბათ შორიდან მოდიან, აქვე, მტკვრის მარჯულის გამართვისას წარმოშობილი მღოვრე ადგილიდან არ წამოფრინდნენ – სხვა ჩვამები ახლა იქ დაცურავენ. გოგის თქმით, ძალიან ფრთხილი ფრინველებია; მართლაც, თუმცა კარგა შორს იყვნენ ჩვენგან, ფლატის კიდესთან არც ვიყავით მისულები, წამომალნენ და გაფრინდნენ. ლამაზად მიფრინავენ: ფრთები – მშვილდი, ხოლო ერთ ხაზად გასწორებული თავ-კისერი, ტანი და ფეხები – ისარი!

სანამ მე აქეთ-იქით დაგბოდიალობდი და თვალს წყალს ვაღვლეინებდი, გოგი თავის საქმეს აკეთებდა (წყალს იმარაგებდა ღიდ ავზში), მერე, ეზოს კიდესთან მისულს, ყავისფერქუდიანი სოკო გამომიწოდა:

– ვარგა თუ გადავაგდო?

– კარგია! ზაფხულობით ბაკურიანში 14 წელიწადს ზედიზედ დამყავდა ბავშვები, არ შემეშლება.

– რა ჰქვია?

სახელი უცებ არ გამახსენდა (ეჰ, დაგებრდი!), მერე შინ წიგნში ვნახე – დუმასოკო ან ქონასოკო! საკმაოდ გვიანი იყო ამ სოკოს აღმოცენებისთვის – ალბათ ამიტომ ყველაზე დიდი ეგზემპლარი (სულ სამი ცალი ვიპოვეთ ნორჩი ფიჭვების ქვეშ) დაჭიანებული აღმოჩნდა. აგრეთვე, ამავე მიზეზით, გადაბერებული და უვარგისი იყო უზარმაზარი კუნძის გვერდზე ერთ ბუდედ ამოსული რამდენიმე ცალი კალმანასოკოც.

იმ სად დუმასოკოებს კი ქუდიდან კანი გადავაძვრე, რამდენიმე ნაწილად დავჭერი და შამფურზე წამოვაცვი.

სანამ მე კარტოფილს ვფცქენდი, გოგიმ ბუნარში ცეცხლი გააჩაღა. შემდგომ მის ნაკვერჩხლებზე თონის პური გავხუხეთ, ის სოკოიანი შამფურიც მივუმარჯვეთ – სურნელი დატრიალდა, სურნელი, რომ მკვდარსაც გააღვიძებდა! ამას კიდევ დაემატა ღორის შაშხში შემწვარი კარტოფილისა და ჭიქებში ჩამორაკრაკებული, გოგის მეგობრის, დათო ჭელიძის დაყენებული ხაშმური საფერავის სურნელიც – სამოთხეში დავფრინავდით!..

გულდინჯი საუბარი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხების, მწერლობის, მხატვრობის შესახებ...

ტრადიცია და ნოვატორობა...

ჩემი თხოვნით გოგიმ ჩამომაწერინა იმ ქართველ მხატვართა გვარები, რომლებიც, მისი შეხედულებით, ნოვატორები არიან: ავთო ვარაზი, დავით კაკაბაძე, კარლო გრიგოლია, გოგი მესხიშვილი, გოგი მიქელაძე, ოთარ ჩხარტიშვილი, ომარ დათაშვილი, მამუკა ჯაფარიძე, გია ბიგვავა, გია ებგვერაძე, ლევან მაღალაშვილი, ირაკლი ფარჯიანი...

როცა წამოსვლის დროც დადგა და გარეთ გამოვედი, მეორე სამოთხეს უკვე თვალებით ვისრუტავდით: ჩამავალი მზის სინათლე დაეფინა მტკვარგაღმა საგანეთის ქედის კლდეებს, ადრე ასეთ მოღუშულებს, ღვინისფრად ჩამუქებულებს, – ახლა რა თბილად არიან გასხივოსნებულები, რა ნათელმოსილი იერი აქვთ! ხელმარჯვნივ ჭალის ვერხვები, რამდენიმე დღის წინათ სანთლე-ბივით ყვითლად ანთებულები, ახლა სულ განძარცვულან ფოთოლთაგან (დამით უკვე ყინავს) და შიშველ ტოტებს იშვერენ ცისკენ – ალბათ პირველ თოვლს ელიან...

ის ნელი ნიავიც ჩამდგარა, ჩვენი აქ მოსვლის დროს რომ იყო, საოცარი სიწყნარე და უმფოთველობა განფენილა ირგვლივ... კეთილი მზე გვემშვიდობება, ოქროს სხივების ირბე წვიმას უხვად აფრქვევს გარემოს – ყველაფერსა და ყოველივეს მშვიდობასა და სულის სიმშვიდეს გვი-სურვებს.

დადექ და უყურე! უყურე ამ კედელივით ამართულ კლდეებს, ამ მოღუდუნე მტკვარს, იმ ერთადერთ იხვს, – ყურყუმელას, – მტკვრის უბეში რომ დაცურავს და მოკრიალებული ზეცის ანარეკლს აშფოთებს...

მზე გვემშვიდობება და ჩვენც ვემშვიდობებით არმაზს...

ზოგიერთი იკითხავს: ღირდა კი ამ ერთი ჩვეულებრივი დღის გახსენება... ღირდა! იმიტომ, რომ, თუ დაუკვირდები, ყოველი დღე განუმეორებელია, ყოველი საათიც კი, განსაკუთრებით – ისეთ არაჩვეულებრივ ადგილას გატარებული, როგორც ზღაპრული არმაზია!

2007 წლის 2 დეკემბერი.

არმაზი, ზამთრის ლამაზი დღე

დღეს 2008 წლის 21 იანვარია, ორშაბათი. გოგი და მე მისი მანქანით მივდივართ არმაზში – ხომ გინდა, ნახო, არმაზი ზამთარში როგორიაო.

შუადღეა, მზიანი ამინდი, მაგრამ საკმაოდ ცივა, სულ რამდენიმე გრადუსით თუ დათბა ჰაერი. თუმცა, ესეც საკმარისია, რომ გზა თოვლისგან გათავისუფლებულიყო, ეტყობა, მარილი დააყარეს.

ზაჰესის კაშხალს ზევით დაგუბებული მტკვარი გაყინულა...

როცა მცხეთას მივალწივით, არმაზის გადასახვევთან შემოგვხვდა ვინმე წიე, გოგის ნაცნობი ელექტრიკოსი და ჩავისვით მანქანაში. არმაზის გზა დატკეპნილი და ყინულად ქცეული თოვლითაა დაფარული; იგი ალაგ-ალაგ დამდნარა და ასფალტი მუქად ჩანს.

მცირე საუბრის შემდეგ წიე ჩამოვსვით. წიე ობოლია, გოგის თქმით სულ “ბირჟაზე” იდგა, ხანდახან გოგი გამოუვლის და დაიხმარებს ხოლმე.

ახლა მეორე შემხვედრმა კაცმა აგვიწია ხელი – ეტყობა, გაჩერებას კი არ გეთხოვდა, მოგვესალმა.

– ამან გამარჯობა კი არ იცოდა, მის ნათესავს ვუთხარი, ხელი მაინც აწიოს-მეთქი, – ამბობს გოგი.

ნახევრად გამლხვავი თოვლით დაფარული გზის ორივე მხარეს ჩარჩებულ შიშველ, უთოვლო, მუქ ხე-ბუჩქებს ოდნავ იასამნისფერი დაჰკრავს – ლამაზი სანახავია!

მტკვრის ნაპირისკენ გადავუხვიეთ გოგის აგარაკისკენ – ციცაბო, მოყინულ გზაზე დაშვება (და შემდეგ ხომ უკანაც უნდა ამოვიდეთ!) გოგის მანქანას – “ტოიოტას” ჯიპს – არ უჭირს. შემოგვეგება და შემდეგ მანქანას კუდის ქიციანით მოსდევს ნაცნობი ჭრელი ძაღლი.

ძაღლს ძველი მეგობარი ხომ არ ვგონივარ? ჭიშკართან მანქანიდან გადმოვდივარ თუ არა, შემომახტა მეგრძე წინა თათებით, გაგუწყერი და ახლა გოგის მიეტმანსა, ანცად დახტის მის გარშემო – აღარ იცის, როგორ გამოხატოს სიხარული.

მზით გაჩახჩახებული ეზო, ფეხდაუდგმელი სპეტაკი თოვლი...

მტკვრისპირა ფლატისკენ მივდივარ; ნაცრისფერი კატა გამოჩნდა, კრუტუნით მომდევს – სახლის კედელს მიუყვება, სადაც თოვლ-ყინული არ არის.

ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივარ კბოლეს კიდისკენ, კატაც მომყვება – უჰ, რა გაყინულია ყველაფერი!

ფისო ფეხებთან დამისკუპდა. რა იყო, ფისუნია, მოგენატრა ადამიანის სითბო?

გოგი შორიდან მიყვირის, წყნარად იყავი, მანდ იხვეები ხომ არ არიანო.

იხვეებს აქ რა გააჩერებს – მტკვარი მკვდარივით უძრავია: მოჩანს შაბიამნისფერი ყინულის დახეთქილ-დანაპრალიანებული, უსწორმასწორო “ბელტები”, მათ ალაგ ენაცვლება თოვლით დაფარული, შედარებით მოსწორებული მცირე ველები... ქათქათა თოვლი თითქოს ცოცხით დაუღარავთ, ეტყობა, ძლიერი ქარი ყოფილა.

მდინარის გაღმა – უთოვლო, რუხი გოლიათი, საგანეთის თუ სარკინეთის მთა, ამართულა. თავისებურად ძალიან ლამაზია და დიდხანს ვაკვირდები მის ციცაბო, თითქმის შვეულ, დაღარულ-დანაპრალიანებულ, კლდოვან ფერდს, ალაგ დამშვენებულს ძეძვით და სხვა გვაღვაგამძღე, აწ გაშიშვლებული, ბუჩქებითა და მცირე ხეებით, გადამხმარ-გადაყვითლებული ბალახით... ზოგან კი თვალის გასახარად ხასხასებს მუქი მწვანე ღვია!

მოვიდა გოგი.

ძაღლი კატას მიახტა, გაეთამაშა, მაგრამ ფისომ ისე გამეტებით მოუქნია თათი და თან საშინელი ხავილით უღვაშებიც გაფხორა, რომ ძაღლს მასთან ურთიერთობის ყოველგვარი სურვილი გაუქრო.

გოგი ძაღლს გაუწყრა.

- ეს კატა და ძაღლი როგორ ეთვისებიან ერთმანეთს? რანაირი თვალები აქვს ფისოს, ძაღლიან ღია ფერის, ვისია?
- ძაღლიან ჭკვიანია, - მპასუხობს გოგი, - არ ვიცი, სადაურია, გამიშინაურდა. რა ხდება, ხედავ? ასე გაყინული მტკვარი, ღიდი ხანია, არ მინახავს, ერთხელ იყო თუ ორჯერ. ერთხელ აქ იხვზე ვნადირობდით და ჩამოგდებულნი ჩვამა ჩაგვივარდა შუა მდინარეში, ყინულზე. მტკვარი თითქმის ასე იყო გაყინული, მაგრამ უფრო ნაკლებად - დარჩენილი იყო ჭეჭყობი ადგილები, ისე, რომ იხვი კიდევ ჯდებოდა წყალზე. და დავინახე, რომ ვალერაა უკვე შესული, მარგიანი, აი იქამდე - ჯოხი აუღია და მიდის. თოკი მაინც წაეღო, ვუშველიდით. დაფუყვირე, მავთულიც ჰქონია წაღებული თან; ნელ-ნელა მივიდა, მოსდო მავთული და გამოათრია ეს ჩვამა. ჰოდა, მე ვუთხარი ბიჭებს, ახლა ეს სვანი, როცა დავლევთ, შეგვჭამს ტრაბახით-მეთქი.
- აი, წყალი ეგერ არის, ხედავ? ყინულისგან თავისუფალი ვიწრო ზოლია კლდის ძირას, როგორ სწრაფად მისრიალებს წყალი მოსახვევში! ალბათ ამიტომ ვერ გაიყინა იქ. ისე აცხუნებს მზე, რუს კლდეებზე თოვლი არ გაჩერდა, დადნა.
- გარინდებულა ირგვლივ ყველაფერი, მდინარის ჩვეული ტკბილი დუღუნი აღარ ისმის; მოწმენდილ ცაზე მზე ბრდღვიალებს, მაგრამ ჰო-ჰო-ჰო, როგორ ცივა, ძაღლიან ცივა!
- რომ დაგხატო თეთრი თოვლი, ზემოთ - ლურჯი ცა და... რაღაც ვერ ზის ერთმანეთში, - გოგი ათვალიერებს თოვლ-ყინულით დაფარულ მდინარეს, გაღმა - გორაკს და სულ ზევით - უღრუბლო ცას.
- უნდა დაიწყო და მუშაობის დროს გამოჩნდება, როგორ უნდა გააგრძელო...
- პლენერზე მუშაობისას ბუნება გძლევს - ზეპირად უკეთესი გამოდის. ჩემი “ზამთრები” ნატურიდან შესრულებული უფრო ცოცხალია, მაგრამ კომპოზიციურად დახვეწილი არ არის. ნიუ იორკში ყოფნისას მე ხშირად დავდიოდი “მეტროპოლიტან მუზეუმში”; მუზეუმში უნდა იარო ყოველდღე ან დღეგამოშვებით მაინც, ისე კი არა, რომ გაივლი-გამოივლი... ბევრ რამეს სწავლობ. აი, უყურებ: კუბისტური ნატურმორტი აქვს ბრაკს და გვერდით - პიკასოს ნატურმორტია. ბრაკის სურათი არის ფერში უკეთესი, ვიდრე პიკასოსი; კომპოზიციურად პიკასოსი ჯობს, კომპოზიციას მიყავს სურათი, ფერში - დიდი არაფერი... ეტყობა, მანე ჯერ სქლად წერდა, პირველი პერიოდია, - კურბეს კი არა ჰგავს, მაგრამ სქლად ნაწერია, კლოდ მონე რომ წერს, ისე ჰქონდა გაკეთებული... ხანდახან რომ რაღაცას ამტკიცებ, გამოუხტება მეორე, საპირისპირო მოსაზრება, ნახავ - სხვანაირად მუშაობს. ნიკალას თავისთავად ჰქონდა ეს ყველაფერი. ნიკალა იყო ძაღლიან მაგარი.
- ნიკალა არასდროს მუშაობდა ნატურიდან.
- რად უნდოდა ნატურა: შეხედავდა - გადაღებული იყო, მაგაშია მაგის ძაღა. შეიძლება, მაგან თეგზები, სხვა რაღაც ნატურა გამოიყენა; მე რატომღაც მგონია, რომ სტამბოლში გამძვრალი იყო, იქ უსწავლია...
- რატომ ფიქრობ ეგრე? სტამბოლში მაშინ როგორ უნდა წასულიყო, მიმოსვლა არ იყო.
- როგორ არ იყო, მაშინ იყო მიმოსვლა თუ იყო, - არ მეთანხმება გოგი.
- ეს ძეძვი როგორია, ხედავ? მოიისფროდ...
- ამ ძეძვის ბუნებებს ახლა მკრთალი მოლურჯო რაღაც დაჰკრავს.
- ხედავ, იქ, ღვიის ჩრდილში, თოვლია შერჩენილი - მზე ვერ ურტყამს და ლურჯად ჩანს.
- უკან “ცა” არის! მახსენდება მსგავსი რამ, საზღვარგარეთ ვნახე: ერთ მხატვარს ხუთმეტრიანი სურათი ჰქონდა, - ფრანგი იყო თუ ამერიკელი, - და ისე ჰქონდა დაწერილი! ახლა რაღაცებს აკრავენ ხოლმე ზოგჯერ, მაგრამ მაინც ფერწერა - ფერწერაა!
- კოლაჟის ვარიანტიში?
- კოლაჟის ვარიანტიში არაჩვეულებრივ რაღაცეებს გავაკეთებდი.
- აქ უნდა დაჯდე და ნატურიდან გააკეთო. როცა მუშაობ, მეტს ხედავ.
- ხანდახან წაგიყვანს ნატურა, ვერ გამოდიხარ იმის ტყვეობიდან - ძაღლიან ძნელია.
- დაამთავრე, გადადევნი და მერე მეორე ზეპირად გააკეთე.
- იცი, მერე რამდენი რამ უნდა, რომ ადამიანი აწიო და ჰაერში დაკიდო, მიწას მოწყვიტო?
- გააფრინო?
- იცი, რამდენი წვალება უნდა მაგას? მიწას მოწყვიტო ადამიანი და ზევით წავიდეს. აი, შაგალს რომ აქვს გაკეთებული - ჰაერში მფრინავი ადამიანია დახატული; მიწაზე ხარ მაინც, რეალობიდან გამოდიხარ... უცხოეთში ახლა ძაღლიან მოდაშია თვითნასწავლი მხატვრები და ფსიქიკურად არანორმალურები. საკუთარი შეხედულებები აქვთ, მაგრამ მათი სურათის სახლში ჩამოკიდება და ქონა ძნელია... გიჟის სურათი ცოტა მძიმეა, მძიმე აურა შემოაქვს.
- სურათი სიხარულის, სიამოვნების მომტანი უნდა იყოს.
- არა, არის სხვაგვარი მაგარი სურათებიც სამუხეუმო, მაგარი მხატვრების გაკეთებული...
- რეპინის - ივანე მრისხანე რომ შვილს ჰკლავს... ნიკოლაი გეს სურათი “პეტრე I და უფლისწული ალექსეი”: პეტრე ზის, გაბრაზებული, სკამზე და მისი შვილი, თავდახრილი, ფეხზე დგას.
- პეტრე მაგარი იყო.
- დედა უტირა, აწამებინა საკუთარი შვილი - შეთქმულების ამბები დააყაჭვინა.

– მიკვირდა ხოლმე ეგეთი რაღაც. შაჰ აბასმა რომ დაავალა თავის ვეზირს, შვილი მომიკალიო, ის მამაბაღლი იყო: მე შენს სისხლს და ხორცს ხელს ვერ ვახლებო. მერე მეორე ვეზირს დაავალა – იმან მოკლა. ხომ იცი, რამდენი შვილი ჰყავდა. მერე ამ გაიძვერამ მისი შვილის მკვლელს უთხრა, ახლა შენი შვილი მოკალი და ერთად ვიტროთ მერეო.

– სისხლის მსმელი იყო.

– აი, ასეთი მურტალი რაღაცეები ხდება ცხოვრებაში. ამას უყურებ? – გოგომ ნახმარ ჰილ-ზზე მკითხა.

– ნასროლია?

– აბა? შემოდინ და ისერიან.

– ვინა, კაცო?

– აგერ, მონადირეები.

– მერე, როგორ შემოდინ?

– გვერდით ეზოს გავლით შემოდინ, გზა იციან ზეპირად. ვიცნობ, მეზობლებია, საყვედურს ხომ არ ეტყვი.

– რა უფლება აქვთ? მათ ეზოში რომ დაუკითხავად შევიდეს ვინმე, ესამოვნებათ?

– აბა, ეს რისი ნაკვალევია თოვლზე, ქვევით, მდინარის პირას? ვისი ნავალია, საინტერესოა, ძაღლის?

– არა, ძაღლისას არა ჰგავს.

– აბა, რას ჰგავს? ხომ არ ჩავიდეთ, დავდგეთ ყინულზე, გაგვიძლებს?

– მერე, რად გინდა, რომ ჩავიდეთ?

– მე რომ მოსკოვიდან 60 კილომეტრში, სენეჟის მხატვართა შემოქმედებით სახლში დავდიოდი, იქაური ტბა იყინებოდა. ერთხელ მანქანა ეყენა ვიღაცას და თევზაობდა – ამოჭრიან ყინულში ნახვრეტს და უშვებენ შიგ ანკესს. ეს ტიპი იყო შიგ ჩავარდნილი – გაზაფხული რომ მოდის, ყინული უკვე თხელია და ვერ მოზომა – და ყვიროდა: “მაგ მანქანას გაჩუქებთ, ოღონდ გადამარჩინეთ!”... იფორჩხიდა, იფორჩხიდა და დაიხრჩო ტბაში – თბილად რომ აცვიათ, უცბად, ეგრევე იძირებიან... მახსოვს, წაღკაში ერთი ბერძენი მეუბნებოდა: “მისმინე, ჩემი ვაჟი მოვიდა; “საიდან მოხვედი? – ვეკითხები, – იქ გზა არ არის!”... თურმე, მთვრალი ყოფილა და პირდაპირ გაყინულ წყალსაცავზე გადმოსულა მძიმე მანქანით. მე კინაღამ გავგიჟდი, ჩემი ცოლიც; მეორე დღეს ფხიზელმა შეხედა და...”

– რამდენი გიჟია ამ ქვეყანაზე!

– დათვრა და პირდაპირ გადავიდა – მანქანით მივიდა შინ!.. გადარჩა. რუსებს რომ ომი ჰქონდათ ყინულზე, რამდენი ჩაიხოცებოდა შიგ...

– ალექსანდრე ნეველის ბრძოლა ტევტონებთან ჩუდის ტბის ყინულზე...

– მაგარი ჩახაჩუხი იყო და ყინული ჩაიმტვრა.

– რა ასოციაციები გვაქვს, არა?

– ოჰ, საშინელება იყო. შეტევის წინ ცოტა სასმელი უნდა დაგეგვიენებინა და – მიდი! ისე გახურდებოდნენ, ვეღარ გრძნობდნენ ყინვას.

– ომის დროს ახლაც ყველას ასმევინ, ისე ვერ მიდიან წინ!

– აბა რა, სტალინიც მაგას აკეთებდა.

– უკან კი “სმერში” მიჰყვებოდა.

– რაუდენ გვეტაძის ბიჭი ტყვედ იყო ჩავარდნილი; მეუბნებოდა: რომ მოშივდებოდა ჯარსო, იგინებოდნენ – სტალინის დედაც... ჰიტლერისაცო, მერე მოვიდოდა საჭმელი და იერიშის წინ სპირტსაც ასმევდნენ. მერე: “სამშობლოსათვის, სტალინისათვის!” – მიდი, მაგის დედა ვატირე! აგერ გარბის კაცი წინო, და უცებ ქურთუკიდან უკან გამოდის გამოგლეჯილი ბამბა სისხლიანი, ეს კაცი კი მინც გარბისო, გაირბენს 20 მეტრს და ვარდება. ვერ იგებს, ტყვიამ რომ გაუარა.

– გამჭოლი ჭრილობა. სანამ გული არ გაჩერდება, ფეხები მაინც მოძრაობენ... აი, გაღმა, ჭალაში, ეს ვერხვები რა ღამაზია, არა?

– იქ სამუშაოები გააჩერეს თუ ვეღარ ამუშავებენ? დააბინძურეს იქაურობა მაზუთით...

გოგი იღებს სურათებს მობილური ტელეფონით.

– მერე, ხომ იცი, შეგიძლია, კომპიუტერში ნახო, ფოტო დაბეჭდო. ისე, ფოტოდან თუ გიმუშავია? – ვეკითხები გოგის.

– ერთხელ გამოვიყენე, სურათს “მოლოდინი” ერქვა. ორი მოხუცი სახლთან ზის...

– ნიკალაც მუშაობდა ფოტოებით.

– ნიკალა ყველაფერს იყენებდა, იქიდანაც კარგად აკეთებდა. ერთი ზამთარი ბათუმში უნდა გავატარო, სურათები მინდა, გავაკეთო...

– ბათუმი ყოველთვის კარგია, ზაფხულშიც და ზამთარშიც.

– ახლა მე ვფიქრობ, შიომღვიმეში ხომ არ ავიდეთ? როგორი იქნება შიომღვიმე ამ ზამთარში! წავიდეთ შიომღვიმეში, გადავიდეთ სურათები, მერე ვჭამოთ ზეინაბის ხინკალი მცხეთაში!

ვინ იქნებოდა უარს!

მივდივართ მცხეთისკენ და თოვლ-ყინულიან თეთრ გზაზე ჩვენსკენ ქალის შავტანსაცმლიანი ფიგურა მოდის. ნებისმიერი მცირე რამ, ჩვეულებრივ, გოგისა და მე მხატვრობასთან გვაბრუნებს.

- ეს შავი ლაქა თეთრ ფონზე რა კარგად არის ჩამჯდარი! ეს არის ჩემი მხატვრობა! - ამბობს გოგი.
- მართლაც, რა ლამაზია! პიტერ ბრეიგელი!
- უფრო ლამაზებს გაჩვენებ! ბრეიგელი ძალიან მიყვარს, მისი სურათი ვნახე რაღაც საოცარი "მეტროპოლიტან მუზეუმში" - "მკა": მომკელები, ხის ქვეშ წამოწოლილები და მოქვიფენი... პურის ყანაა და ისეთი სივრცე... საოცრად აქვს გაკეთებული.
- მცხეთაში გზაზე თოვლი სულ არ არის.
- აი, აქედან უნდა იყოს ასასვლელი, ახლა გაჩვენებ მაგარ ადგილებს.
- შევუხვიეთ და შევუდექით აღმართს. მალე მცხეთას გაცივდით და მიხვეულ-მოხვეული, აღმართ-დაღმართიანი გზით შიომღვიმისკენ გავეშურეთ.
- დროდადრო შაშვები შემოგვხვდებიან - მიწაზე, გზისპირა ბუჩქებზე ან ხეებზე მსხდარნი, შეძვრებიან ბუჩქებში ან აფრინდებიან, გადაიკარგებიან...
- ხეთა შიშველ ტოტებზე არცთუ იშვიათად მრგვალი, მწვანე ბუჩქები დიდ ბუდეებით მოჩანს:
- ნახე, რა ლამაზია ფითრი! პარაზიტია, თანაც - მარადმწვანე.
- ყველა ხეზე იცის ფითრი? - კითხულობს გოგი.
- უფრო ფოთლოვან ხეებზე: ალგაზე, წნორზე, არყზე, ვაშლზე, მსხალზე... მუხაზე პირველად ვნახე. თანაც რა ბევრგან ჩანს!
- დაკლანკანილი გზა ხეებისა და გორაკებს შორის - ძალიან ლამაზი ადგილია. გადაიდე? მე სხვას ვხედავ, შენ - სხვას... - უცებ გოგი მანქანას აჩერებს: - ის ძალიან?... თუ ტურა?
- მგელი!
- გზის პირად რაღაცის მომლოდინე მგელი ჩვენი გამოჩენისას სწრაფად დაეშვა ხევში და გაუჩინარდა.
- გოგიმ გაზი მისცა, იმ ადგილას მივვარდით და გაქცეულს თვალით ძებნა დაუწყვეთ, მაგრამ, რა დაგიკარგავს, რას ეძებ!
- დაღმართში განვაგრძეთ სვლა და გავაკებულზე ისევ არ დავვლანდეთ მგელი? არც აქ მოგვიცადა და ახლა აღმართში მოუსვა - იქ რაღაც შესახვევი იყო. იმ ადგილსაც მივადწიეთ და გოგიმ მგლის კვალზე შეუხვია; გაუბედურებულ გზაზე ჯაყჯაყით გავიარეთ რამდენიმე ათეული მეტრი და გაგჩერდით - უაზრობა იყო მხეცის დევნა.
- ნაღდი მონადირე ხარ, გოგი, ახლა იმ მგელს დაეწეოდი თუ რა? როგორ გიჟივით გავარდა, ბიჭო, ტყვიასავით!
- ახლა ბავშვები რომ გადაეყარონ? მშიერია...
- არა, ადამიანის მაინც ეშინია. ახლა, სადაც თოვლი აღარ არის, მინდვრის თაგვები და სხვა მღრნელები გამოჩნდებიან, მათზე ნადირობს.
- განვაგრძეთ გზა და - ახლა ჩხართვები გამოჩნდნენ.
- მაგაზე ნადირობენ გურულები, - ამბობს გოგი, - გემრიელია!
- დაწინწკლული გულისპირი აქვს... ჩინელების სურათები თუ გიყვარს? იმათ პეიზაჟებს მაგონებს აქაურობა: კონტრასტული დაპირისპირება ერთიან სურათში - რუხი კლდოვანი გამონაშვვრები და ალაგ-ალაგ მწვანე ღვიის ბუჩქები...
- საოცარი დამთხვევაა: გუშინ ჩინელთა ხელოვნებაზე წიგნს ვათვალიერებდი... ახლა ლამაზია, მაგრამ უფრო ლამაზია, როცა აქ თოვლი დევს. ისე, ზაფხულშიც გადასარეგია. როგორ შეიძლებოდა აქ მიწების დარიგება? ტყეს ჩეხავენ, რელიეფს აუბედურებენ...
- აქ ნაკრძალი უნდა იყოს, აუცილებლად!
- გოგიმ მთავარი გზიდან გადაუხვია - მტკვრის მიმართულებით წავედით.
- გამოჩნდა მტკვარგალმა ნაპირი - მაღალი, ფრიალო კლდოვანი კედელი, მის კიდეზე - გოგის აგარაკი.
- რაღაც უშნოდ შეკოწიწებულ, ერთსართულიან, გრძელ შენობასთან გაჩერდით; შაოსანი, გრძელწვერა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბერი და თეთრი ნაგაზი შემოგვეგებნენ.
- გამარჯობა! ის საქონელი ზევით თქვენია თუ ძეგველების? - ეკითხება გოგი.
- გაგიმარჯოს! ეს საქონელი და ცხვარი ფშაველებისაა, ელუპებოდათ და გვთხოვეს, აქ მოვადოვებთო. დუშეთის რაიონიდან არიან.
- მგელი იმიტომ იყო, - ვამბობ მე.
- გუშინ ამათ ხბო დაუგლიჯა. მეორე ხბო დაუგლიჯეს ამ კვირაში.
- ზემოთ არის ერთი მგელი, გზაში შეგხვდა. - ამბობს გოგი. - აქ ტურა იყო ძალიან ბევრი.
- ტურა ახლაც არის, არ არის საშიში, - ამბობს ბერი.
- ტურა კივის, კივიან ხოლმე ტურები. თქვენ აქა ხართ, ხომ? - ეკითხება გოგი ბერს.
- კი, უკვე ოთხი წელია; მესუთე წელია, აქა ვარ.
- აქ ყოველ ზაფხულს ბავშვი იღუპებოდა, მტკვარში იხრჩობოდა.
- შარშან, მაღლობა ღმერთს, გადავრჩით. ვცდილობ, არ შემოვუშვა ბიჭები. მოდიან, გვთხოვენ - იქ საქეიფო ადგილია, მოსწონთ.

- მანდ ჩამოდიოდნენ, - ამატებს გოგი, - იყო ღრეობა, დათვრებოდნენ და...
 - მაგიტომ დაგაყენებინე შლაგბაში. დღეს გავადე, სურსათი მოვიტანე, საღამოს დაგვეტავ.
 - აქ ჩემი აგარაკიდან ცურვით გამოვიდოდი ხოლმე, ვათვალიერებდი, საოცარი ადგილია. რა უყვეს აქაურობას... მტკვრის ნაპირიდან შლამს და ქვიშას რომ იღებენ, მიწას გუულ-ღვიძლი გაუფატრეს, ჭაღები მოსპეს, გათახსირებულია ყველაფერი - ეგ ხალხი უნდა გაუშვათ აქედან!
 - რა ვიცი, ყიდიან აქაურობასო, ახლები მოვლენ...
 - ამ უღამაზესი ადგილის ასე წაბილწვა როგორ შეიძლება, აქ ირმები ჩამოდიოდნენ წყლის დასალევად, შევლიც ბლომად იყო - უნდა გააკეთდეს ნაკრძალი.
 - იქ ქარხნები რომ არის, ცემენტის, ასფალტ-ბეტონის, ბოლი ამოდის, - მოაგარაკები ჩიოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.
 - მთავრობა უნდა ჩაერიოს. უნიკალური ადგილია, უღამაზესი... ძეგვლებს ხიდის გაკეთება უნდოდათ და ერთი კაცი იყო, ძეგველი, იმან თქვა, რომ ირმები მანდ წყალს სვამენ და ვეღარ დალევდნენ; კვდებოდნენ ძეგველები სიცილით, დასცინოდნენ. კაკაბი იყო რამდენი, ჩემი აგარაკის ეზოში სხდებოდნენ. დედა უტირეს, გააპარტახეს ყველაფერი. არმაზში რომ ნაკვეთები დაარიგეს, შემოვიდნენ ეს ვიგინდარები, ღვიები იყო, - ზოგი ასწლოვანი, - გაჩხეს. "რას აკეთებ, - ვეუბნები, - ამაზე უკეთესი ეზოში რა უნდა დარგო?". ერთი ასეთი ღვია, აი, ზევით რომ ჩანს, უნდა მოვიყვანო დიდი მანქანა, ამწეთი ამოვიღო და არმაზში, ჩემს აგარაკში გადავრგო. უცხოეთში მხატვრები აკეთებენ ხოლმე... ზემოთ სამებაზე თუ ხარ ასული? - ბოლოს ეკითხება გოგი ბერს.
 - არა.
 - უნდა ავიყვანო ერთი...
 - სხვებიც შემპირდნენ, მაგრამ... დიდგორშიც...
 - თქვენი სახელი?
 - თამაზი!
 - გოგი! - გაუწოდა ხელი გოგომ, - კარგად ბრძანდებოდეთ!
- მეც ვემშვიდობები და ვაგრძელებთ გზას შიომღვიმისკენ. გადასარევი ადგილებია, დროდადრო ვჩერდებით და სურათებს ვიღებთ.
- მარტო ჭკვიანი კი არ იყო, ეტყობა, ესთეტიკური გრძნობაც ჰქონდა შიოს, ასეთ ადგილს რომ მიაგნო, - ვამბობ მე.
- ბლულით შევუდექით შიომღვიმისკენ მიმავალ აღმართს და მალე მის ჭიშკარსაც მივადექით. გადმოვედით მანქანიდან და ირგველივ მიმოვიხედე.
- აქ, შეიძლება, მთელი დღე იდგე და უცქირო აქაურობის რაღაც ზეადმტაც სილამაზეს...
- სხალტბის ქედის თითქმის შევულ კედელში - ოქროსფერ კლდეში ნაკვეთი მღვიმეების ანუ ქვაბების შავად მზირალი თვალები, მის ქვევით - დადარული ციცაბო ფერდობები და მის პირში მიყუჟული შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსის შენობები; მონასტრის მარჯვნივ და მარცხნივ - კლდოვანი გამონაშვებები ალაგ თავმოშწონედ მოკალათებული ღვიის მარადმწვანე ბუჩქებით...
- სადა და მკაცრი, "გრაფიკულად" მკვეთრი სილამაზეა, ამავე დროს - ფერწერულად მდიდარი - არა, ამ მშვენიერების აღწერა შეუძლებელია! აქ წლობით უნდა ცხოვრობდეს მხატვარი, ამოუწურავი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით აღტაცებული, დაუღალავი მღელვარებით შექმნის მრავალ სურათს და ნაწილობრივ მაინც თუ შეძლებს, გადმოსცეს ამ სიტურფის ხილვით გამოწვეული სიტყვით გამოუხატავი სულიერი სიამე და აღმაფრენა...
- ჭეშმარიტად, ბუნებაზე მშვენიერი ამქვეყნად არაფერია!
- დაუღალავად ვიღებთ და ვიღებთ სურათებს...
- უკან გამობრუნებისას საკუთარ მსუბუქ ავტომანქანასთან მოფუსფუსე შუახნის თეთრწვერა ბერმა გაიკვირვასავით, რატომ არ მოვინახულეთ ტაძრები, მაგრამ იმდენად დამუხტული და აღელვებული ვიყავით ამქვეყნიური სილამაზის ხილვით, რომ მონასტრის პირქუში, "იმქვეყნიური", განწყობის გამომწვევი გარემოს ხილვა აღარ გვსურდა.
- მზე გადაიწვერა და ახლა სხვაგვარად ჩანს: სულ მადლა - შუქჩრდილით გამკვეთრებული კლდე-ქარაფთა დასახსრული კედლები; უფრო ქვევით - გორაკთა და ხევხუვთა თეთრი კალთები დაჩითულია ფოთოლგაცვენილი, მუქი ხე-ბუჩქნარის სილუეტებით: მუხის, ძეძვის, თრიმლის, ბერყენისა...
- გოგი ჰყვება:
- რომ დავარდებოდა წყალი გაზაფხულის წყალდიდობის შემდეგ, მე "საჭაშნიკეს" პირდაპირ, მტკვრის პირს ვათვალიერებდი ხოლმე და დანიშნული მქონდა ლამაზი ფორმისა და ფერის დიდი ქვები, აგარაკზე უნდა წამედო. იქ ქვის სამტვრევი გააკეთეს, იქიდან გამოვიდა ვიღაცა თუ რა იყო, რომელი ლამაზი ქვაც იყო, ყველა იყო დამტვრეული, ურო ჰქონდა ნარტყამი. ვნახე და გული მომიკვდა... ლამაზს ერჩოდა, ის ალიზიანებდა, მოსწონდა მისი დამახინჯება... აი, ხომ არის, რომ ვიღაცა ლამაზ ქალს ერჩის. ძალა დახარჯა იმაში, რომ ლამაზი ქვები დაემტვრია.
- გოგი ალაგ-ალაგ ღვიებს ათვალიერებს, არჩევს, რომელი მოეწონება არმაზში აგარაკის გასამშვენიერებლად, თანაც - ამოსაღებად შედარებით იოლი უნდა იყოს და წასაღებადაც სატივრთო მანქანა უდგებოდეს.

გოგის ვეუბნები:

– თოვლი მაინც კარგია, არა? კონტრასტი: მუხის მუქი ტანი და გაფარჩხული ტოტები, ამ ტოტებზე – მწვანე ფითრი და ფონად – თეთრი, სპეტაკი თოვლი... ფითრი პარაზიტია და მაინც სილამაზეს ჰქმნის... სხვაგანაც, ირგვლივ – სუფთა თოვლი და მუქი ღვივები, რუხი კლდეები... შენ გიყვარს სურათებში კონტრასტები. ორი სურათი რომ გაქვს “ზამთარი სტამბოლში”, გული მწყდება, რომ საზღვარგარეთ დარჩა, თუ შეგიძლია, ასლები გააკეთო?

– ომერმა შემომითვალა, რომ ეგეთები გამიკეთეო, ორი ცალიო; გაგუკეთე და გაგუგზავნე სტამბოლში, ოღონდ ცოტა სხვანაირი: ერთზე წინა პლანზე კატა დავსვი, მეორეზე – ყვავი.

გოგი ჩივის, რომ მისგან ყველანი ზამთრის პეიზაჟებს მოითხოვენ – კარგად იყიდებაო; მე ჩემის მხრივ შევეკამათე: გოგის ისინი ძალიან კარგები გამოსდის და ცოდვას ამგვარი სურათების შექმნაზე უარის თქმა, მით უმეტეს, რომ ისინი დიდად განსხვავებულნი არიან – კომპოზიციურადაც და განწყობითაც.

გზა-გზა ისევ ვათვალიერებთ ღვივებს, ვარჩევთ – საარმაზედ გოგის აგარაკზე გადასასახლებლად რომელი ჯობს.

სასაფლაოსთან გაჩერდით და ზევიდან გადავხედეთ მცხეთას, ჯვარს...

გოგი მარჯვნივ მახედებს:

– აი, იქ, ხორთუმივით რომ ჩანს, ქედი სადაც თავდება – ბაგინეთში იყო მისული წმინდა ნინო.

სწრაფად დავეშვით მცხეთაში, გავცდით ბებრისციხეს, მერე ახალ დასახლებაში ერთგან მარჯვნივ ჩავუხვიეთ – იქ ერთ დაბალ, შეუხედავ სახლს მცირე ფირნიში ჰქონდა: “ზეინაბის ხინკალი”...

შევედით კარში, მივესალმეთ სამზარეულოში მოფუსფუსე ქალებს, ვიარეთ დერეფნით, დავეშვით კიბეებით; გამყოლმა ქალმა შეგვიყვანა ერთ-ერთ პატარა ოთახში და მაშინვე პატარა ღუმელი ააგუზგუზა...

როცა საათნახევრის შემდეგ, უზომოდ კმაყოფილები, გრძელ, ღია აივანზე გამოვედით, საგსებით დაღამებულიყო და საგსე მთვარის უზარმაზარი ყვითელი დაირა დაბლა დაკიდებულიყო მუქი ზედაზნის ქედის თავზე...

2008 წლის 21-28 იანვარი.

არმაზი, თებერვლის მიწურული

არმაზში, გოგის აგარაკზე გატარებული თებერვლის მიწურულის ერთი წყნარი, მზიანი დღის პატარა, მშვენიერი ფრაგმენტი...

ნელი ნიაგი, ლილოჭრელო – ეზოს თოვლის საბანი ალაგ-ალაგ რუხ-მოყვითალო ბალახების მოზრდილი ლაქებითაა აჭრელებული.

გოგი თოვლზე წვრილი ნაფეხურების ძეწკვს აკვირდება – კვერნას “ავტოგრაფია”?

ფლატის კიდესთან მივდივარ. მომწვანო-ტალახისფერი მტკვრის მღოვრე დინებას დაღმა უშფოთველად მიჰყვება ორი ჩვამა.

ხელმარცხნივ, მოსახვევიდან, კიდევ ოთხი ჩვამა გამოჩნდა; ძეწკვად გამწკრივებულნი, ნება-ნება მოცურავენ წყლის წყნარ ზედაპირზე; დახვდათ ათამდე იხვი და ერთად განაგრძეს დინჯი სრიალი დინების მიმართულებით.

გოგი გამოვიდა სახლიდან, ხელში თოფი უჭირავს; მოხრილი მიიპარება ფლატის კიდესთან.

ირგვლივ გამეფებულ უშფოთველობაში იჭრება უხილავი თვითმფრინავის გუგუნის და მატარებლის ბორბლების რაკარუკი.

თავზევით ბლომად იხვებმა გადაგვიფრინეს.

– ძალიან მაღლაა, იხვს სანამ ფეხს არ დაუნახავ, არ უნდა ესროლო, – ამბობს გოგი და იხვებს თვალს აყოლებს.

ნადირობაში არ გაგვიმართლა, სამაგიეროდ, ვიხილეთ ულამაზესი სურათი, ზღაპრული სანახაობა:

ქვევით, ჩრდილში – მტკვრის მუქი, მომწვანო-რუხი ზოლი;

მის ზევით – ჩამავალი უღონო მზის ოქროთი განბანილი, შავი ნაპრალებით დასახსრული, მოღუშული კლდეები სარკინეს მთისა, ალაგ – ღვივის მწვანე კუნძულებით, ალაგ – გაყვითლებული ბალახით დალაქავებული ციცაბო კალთებით...

და სულ ზევით – მოკრიალებული, თვალისმომჭრელად ღურჯად გასხივოსნებული ცა, რომელზეც პარალელური გეზებით თანაბრად მიემართებიან თეთრი ყანჩა და თეთრი თვითმფრინავი!..

2008 წლის 23 თებერვალი.

ფეშანგის მზითევი და არმაზის ზღაპარი

2008 წლის პირველი ოქტომბერია, – ოქროს თვის დასაწყისი, შუაღლე – და გოგის მანქანით მივყვარ არმაზში – იქ ნატურიდან ნატურმორტიც შექმნას აპირებს.

ოქტომბერი თბილისში ყველაზე “გემრიელი” თვეა: უკვე აღარც სიცხე გაწუხებს, არც სიცივეა ჯერ დამდგარი, თანაც უმეტესწილად დარი დგას და უქარო, მზიანი დღეები წაეწყობა ერთმანეთს...

დღეს კი, ცოტა არ იყოს, გრილა და, თუ საკმაოდ ძლიერ ქარსაც მივიღებთ მხედველობაში, ოდნავ ცივა კიდევ. მანქანაში კი მყუდროდ ვართ და ჯერჯერობით არაფერი გვაწუხებს. გვხვდებიან და მიგვაცვილებენ ნაცნობი პეიზაჟები: ავჭალა, ჯვარი, ბაგინეთი, მცხეთა... და აჰა, რკინიგზის სადგურთან არმაზის გზაზეც გაეფხვივით.

გზა-გზა ჯერ პოლიტიკაზე ვკამათობთ – ძალიანაც რომ არ გვსიამოვნებდეს, მასზე საუბარს სად გაექცვივო! თვენახევრის წინ ჯარში სასწრაფოდ გაწვეულ ჩვენს რეზერვისტ შვილებს – და-თუნასა და ლუკას – ავტომატები ეჭირათ ხელში და კიდევ კარგი, რამდენიმე დღეში ისინი შინ გამოუშვეს... თუმცა საომარი მოქმედებები შეწყდა, საქართველოში ისევ დაძაბული მდგომარეობაა: ქვეყნის სიღრმეში თავხედურად შემოჭრილ რუსულ საოკუპაციო ჯარებს ჯერ არ დაუტოვე-ბიათ ჩვენი მიწა-წყალი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან წასვლას საერთოდ არ აპირებენ – იქ სამხედრო ბაზების მოწყობას გეგმავენ...

– ეს კოროს პეიზაჟია, – ამბობს გოგი. მართლაც, გზის ორივე მხარეს კედელივით ამართული ხე-ბუჩქები აღარ არის ისეთი ხასხასა მწვანე, თითქოს ჩამქრალია და გაკეთილშობილებული. – “მეტროპოლიტან მუზეუმში” ვიყავი-მეთქი რომ ვუთხარი აეთო ვარაზს, პირველად ეს მკითხა: “კორო ნახე?”.

მერე – მხატვრების შესახებ: ბროიგელი, პიკასო, ბრაკი, გოია, დელაკრუა, ფიროსმანაშვილი, ისევ – პიკასო, ისევ ჩვენი ნიკალა...

გოგის დიქტოფონზე მოგონებების ჩაწერას ვთავაზობ...

შემდგომ ეს ჩანაწერი გადავიტანე ქალაქში, შევასწორე და კომპიუტერზე ამობეჭდილი მივეცი გოგის, რათა მას იგი შეეტანა მისი მოთხრობების კრებულში. “არა, ასეთი სახით იგი არ მაკმაყოფილებს; მე ამ მონათხრობს განვავრცობ, ხასიათებს უფრო გამოვკვეთავ – სულ სხვანაირად გავაკეთებ...”. ჩემს წინადადებას, რომ ორივე ვარიანტი გამოექვეყნებინა, რადგან თვითოეულს თავისთავადი ღირებულება ექნებოდა, გოგი არ დაეთანხმა. თუ გოგი თავის ჩანაწერს განახორციელებს, რა თქმა უნდა, უკეთეს ვარიანტს შექმნის, მაგრამ, მე მგონია, რომ პირვანდელი სახითაც იგი არ უნდა დაიკარგოს: ზეპირად მონათხრობს თავისებური ხიბლი აქვს... ამიტომ იგი აქ მომაქვს თავდაპირველი სახით:

ფეშანგის მზითევი

დღეს რომ არის, ასეთივე შემოდგომის აწრიალებული დღე არის, ქარიანი. ოქტომბრის ბოლოა, უკვე ნოემბერი მოდის და მე და ჯუნა ქუთელია, ცხონებული, დაგბოდიშალობთ ჩემი “ზაპოროჟეცით” თბილისში. და ეს ჯუნა მეუბნება, რომ წამო, სანადიროდ წავიდეთ სადმეო. ვფიქრობ, სად უნდა წავიდეთ... როცა სანადიროდ მიდიხარ და მალაზიებში რაღაცეებს ყილულობ, როცა გოგებ ქალაქს, მაშინ ყველა ქალი მოგწონს რაგომდაც... ჰოდა, ასე დაგბოდიშალობთ აღმა-ჩაღმა, რუსთაველზე გავედივართ-გამოვდივართ. შევხედე: აგერ მირიანა არ დგას, შავგულიძე? და საწყალი ზაზა გილაური... “რას აკეთებთ-მეთქი?” – გაგაჩერე მანქანა. “ფეშანგის მზითევი გადაგაქვს”. “როგორ გადაგაქვთ, ცოლი არ მოუყვანია?”. “აი, ახლა მოყავს და საგვირთო მანქანით იქ, გრიბოედოვის ქუჩაზე, სამხატვრო აკადემიასთან უნდა მივიდეთ”. “მოგეხმარებით-მეთქი” – მე არ ვიცი, ახლა რა ხდება იქ. “კარგიო” და ერთი მანქანა ვნახეთ, მოფერმა თქვა, ერთ თუ ორ საათში მოვალო.

ავედით გვეთ ფეშანგასთან; ვიფიქრე, ჩემს მანქანაში რაღაცას ჩავაწყობთ, ჯუნაც მოგვეხმარება – ძლიერი კაცი იყო, ჯანიანი, ცხონებული, მიქელას ვეძახდით, ძალიან მიყვარდა. ჰოდა, მე და ჯუნა მივედით გრიბოედოვის ქუჩაზე, ფეშანგაც ვნახეთ. პაგარძალი არ მინახავს, შეგვხვდა სასიამაო და სასილედრო. მიგვიპატიჟეს სუფრაზე, პურ-მარლი აქვთ გაშლილი: “მობრძანდით, დაბრძანდით!”, უშანგამაც თავი გამოიღო: “მოლით, მოლით!” – ესეთი გიპია. მივუჯექით ამ სუფრას, სანამ საგვირთო მანქანა მოვა ბარგის წასაღებად.

რომ დავიწყეთ სმა, ფეშანგამ: “აი, ამას ხომ უყურებთ, – ჩემზე ამბობს, – ამას წამოვარგყამდი ხოლმე...”. ჯუნამ გაკვირვებულმა შეხედა. “ხატვა მე ვასწავლე ამათ, ესენი ვინ არიან! ხომ მაგარი ვარ?!”. მე თავს ვუქნიე: “კი, თან ახლა, ხომ იცი, მართლა მაგარი ხარ!” – მოკლედ, ფეშანგა ფრთებით დაფრინავს.

“კი, ფეშანგი, კაცო, ვიყავი შენი დიპლომის დაცვაზე!” – ამბობს მამამთილი. ვუყურებ და საიდანაც მეცნობა, ვერ მოვედი აზრზე – რკინიგზებზე, მეგრული. უცებ გამახსენდა: სამხატვრო აკადემიაში დიპლომების დაცვისას ერთი პარტია ხალხისა ისხდნენ უკან და მერე, როცა გამოაცხადეს, გამოდის ფეშანგი მეგრულიშვილი, წამოვიდა რამდენიმე ადამიანი და წინ დაჯდა. შევხედე – ეს კაცი იყო ერთ-ერთი იმათგანი. ელისო, ფეშანგის დედა, საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად; სასილდროც იქ იყო ექთნად და გაურიგა ფეშანგის თავისი დინარა; დინარა ჰქვია ფეშანგის ცოლს, სხვათა შორის, აქამდე არ მინახავს.

დავლიეთ. ეს ფეშანგა ხომ: “ეს ვარ, ის ვარ, ამას წამოვარტყი თავში, იმას წამოვარტყი, მხატვრად მე გავხადე”... ჩვენ გაჩუმებულები ვართ; ჯუნა ქუთელია, ჩემი მიქელა, არ იცნობს კარგად, ჭამს და თან უყურებს.

მოვიდა მანქანა და ახლა გადავიტანოთ უნდა მზითვი, უკვე მთვრალეები ვართ. ჩავედით ქვევით, – სარდაფშია, რაც უნდა წაიღოს ფეშანგამ – “მოგეხმარებით!”.

ფეშანგა გაქანდა-გამოქანდა, გაირბინა-გამოირბინა და “მატყუებენ! – მითხრა, – უნდა იყოს შვიდი ნაჭერი და ექვსი ნაჭერი, ამის დედა... აუჰ! – გაბრაზდა, – გვატყუებენ”. მუყაოში შეფუთული დევს ავეჯი. ისევე გავარდა-გამოვარდა ფეშანგა და: “ასეო, უნდა იყოს შვიდი ნაჭერი და არის ექვსი!”. “კაცო, ფეშანგი, ორი მიტყუებულა, ბიჭო, ვერა ხელავ?!” გადავთვალეთ და – “ბიჭო, შვილია!” – ფეშანგას ვუთხარი. “ოჰ, შვილია? მაგის დედაც...”.

მიგვაქვს ეს ბარგი და ვღებთ ამ მანქანაზე. აი მანქანაზე ფეშანგა მოახტა გემოდან და ყვირის იქიდან: “მაიგათ!”. ამ დროს გამოვიდა მემობლის ქალი და, თალიკო ერქვა ფეშანგის სიდედრს, იმას ეუბნება: “თალიკო, გაასაღე გოგო?”. “რა ჭირს გასაღებელი!” – დაუდრიალა თალიკომ; “არა, არა, წამომცლა! – მემობელმა, სოფლის ქალები რომ არიან, ისეთი იყო. – სასიძო ქე მინდოდა მენახა, მარა ალბათ არ მოდის ასეთ დროს”. თალიკომ არ უთხრა, ამ დროს შემომჯდარი ფეშანგა ამ მანქანაზე და – “მაიგათ!” – ყვირის.

ჯუნამ ვერ გაიგო, მზითვი, საერთოდ სადღაც გადადიან თუ რა ხდება, დაავლო ხელი გელევიზორს და საკერავ მანქანას “ზინგერს”, მეორე სართულიდან ჩამოაქვს ქვემოთ. თალიკო მოსდევს უკან და “შვილო, ეგ არ არის მზითვი, ეს სახლისაა!”. “მე რა ვიცი, – დაყარა მანქანაზე ჯუნამ, – სად წავივლო?”. შემოხედა ფეშანგამ. გავჩერდით სუყველა და ფეშანგა ამბობს: “მე თუ არ გავასწორე საქმე, თქვენ არ ვარგისართ არაფერში!” და დააძრო ქაღალდი; წაიკითხა, წაიკითხა და: “სიაში არ არის, უკან წაიღეთ!”. “მე მაგის უკან წამლები არ ვარ!” – ჯუნამ. ჰოდა, ვტაცე, ხელი: “კაი-მეთქი, უხერხულია, წავიღოთ უკან”. “მოიცა! – ეს ქაღალდი მოატრიალა ფეშანგამ, თურმე გვერდზე ჩამატებული აქვს, წაიკითხა და: – წაიღეთ უკან!”.

დავღეთ ეს ყველაფერი, და ახლა ჩემს “მაპოროქეში” ჩავაწყვეთ ლეიბები და რაღაცეები – მარტო მე და ფეშანგას სიმამრი ჩავსხედით, დანარჩენები საბარგო მანქანას გაჰყვნენ. ფეშანგა ნაძალადევში ცხოვრობს, ლოტკინზე და იქ უნდა აიტანონ ბარგი. “რა კარგი მანქანაა შენი მანქანა, ჩაგელო, – სულ ამას ამბობდა ფეშანგი, აქებდა ამ მანქანას!”. “რა მანქანაა ეს!” – ვფიქრობ.

დავეშვიტ დაღმართზე ოპერასთან, ადრე იქ შუქნიშანი იყო, ჰოდა, მარცხენა მხარეს გახვიდოდი, ახლა დაკეტილია. რომ მოვუხეი, ამ დროს არ მოძვრა ნახევარდერძი! ასანთის ღერებივით ნახევარდერძები ჰქონდა “მაპოროქეს”. აუჰ! – ჩამოვარდა, ჭანჭიკებით ჰქონდა დამაგრებული. შევძვერი მანქანის ქვეშ... “რა მოუვიდა, გოგი ბატონო? რაფერაა, ბიჭო?”. “ამ წუთში გავაკეთებ!” – ვუთხარი და ბოლო-ბოლო მოვუჭირე ეს ორი ჭანჭიკი – კიდევ კარგი, არ იყო დაკარგული ნახევარდერძი.

გავაგრძელეთ გზა და მივაღექით ლოტკინის გორაზე ფეშანგას სახლს. მივაღექით და ეს საბარგო მანქანაც მოვიდა.

რომ დავიწყეთ ბარგის გადმოლაგება, ამ დროს ფეშანგას მამა, ცხონებული მამუკა, გამოვიდა; გამოვიდა და მუსტად იმ ქაღალდის ორეული დააძრო ჯიბიდან, ფეშანგას რომ ჰქონდა!.. და რომ დაიწყო ბარგის თვლა – ამან მთლად გაასწორა რა!..

არმაზში, გოგის აგარაკზე მისვლისას, შემოგვეგება ჩვენი ძველი ნაცნობი ჭრელი ძაღლი – სინარულით იწმაცნებოდა, კუდს ათამაშებდა და გრძნობათა სისავსისგან წინა თათებით მკერდზეც კი შემომახტა...

გავიარ-გამოვიარეთ ეზოში, უკვე ნახევრად გამხმარ ბაღახზე, ჩამოცვინილ ფოთლებზე წამოგორებული კაკლები აგერიფეთ და დავამტვრიეთ – საუცხოო გემო აქვს ნედლ ნიგოზს! შემდეგ პირდაპირ ხიდან მოწყვეტილი თაფლივით ლღვავს გეახელით, არც მას აქვს ნაკლები გემო!..

გოგი საეტიუდე ყუთს მართავს, ტიუბებიდან პალიტრაზე საჭირო საღებავებს გამოწურავს და, სკამზე მჯდარი, თვალებს ჭუტავს – მის წინ ხუთიოდ მეტრში ყვავილნარს ხანგრძლივად აკვირდება...

ხელი რომ არ შევუშალო, მარტოს ვტოვებ (ძაღლს, როგორც ჩანს, ძალიან შია და, მოლოდინით აღვსილი, “მასპინძელს” – გოგის – არ შორდება, იქვე წამოწევა).

ცოტა გავისეირნე, ღობესთან რამდენიმე მტევანი ჩაშავებული იზაბელას მტევანი მოვწყვიტე და დავაგემოვნე, შემდეგ, ძლიერი ქარისგან ცოტა შემცივნული, ქვედა სართულზე სამზარეულოში შევედი და ახალი სამხატვრო ჟურნალების თვალიერება-კითხვას შევუდექი.

საათნახევარში გოგიც მოვიდა, თითქმის დამთავრებული საშუალო ზომის ნატურმორტი კედელთან მიაყვდა. განცვიფრებული დაგრჩი მისი მუშაობის ასეთი ინტენსივობით – აი, რას ნიშნავს ნიჭი და გამოცდილება, უმაღლესი პროფესიონალიზმი!

გოგი ისევ ვერ ისვენებს: კარტოფილს ფცქენის და თან მესაუბრება. იგონებს ბავშვობას, მშობლებს, ახალგაზრობას, კოლეგებს, საკუთარ თავგადასავალს – ნახევარი მსოფლიო აქვს მოგელილი!..

ჩამობნეულა, გოგიმ სანთელი აანთო და სუფრას შემოეფარებოდა: შემწვარი კარტოფილი, გაცხელებული ხაჭაპური, კიტრის, პომიდორისა და ხახვის სალათა და საუცხოო ღვინო – პირადად მე უკეთესს ვერაფერს ვინატრებ! გოგისაც ვეუბნები: “არ მიყვარს გატყლარჭული, ხორაგეულით გაძეპილი სუფრა-მეთქი”...

მაგრამ მთავარი, რამაც ეს ჩანახატი დამაწვინა, ბოლოს მოხდა, როცა კარგა ხნის შემდეგ გარეთ გამოვედი სიბნელეში და ერთგულად მომლოდინე ძაღლსაც არ გავუცრუეთ იმედი.

ქვევით თითქმის უხილაგი მტკვანი დინჯად მიდუნუნებს...

ქარი ისევ მძლავრობს, მაგრამ ღრუბლები აღარ ჩანს და მუქ ლურჯ ცაზე მიმობნეული უჩვეულოდ ბევრი, უჩვეულოდ სხივოსანი, კაშკაშა დიდ-პატარა ვარსკვლავი გვიპაჭუნებს თვალს... და ამ ცას ქვემოდან შემოდგომია ერთი გორაკი სავანეთ-სარკინეთის ქედისა, უფრო სწორედ, მტკვართან მიმდგარი მისი სამხრეთი შვეული ფერდი – საიდუმლო იერის, შავად ჩამუქებული, რომელზეც ზოგან უფრო ნათელი, ფართო, შვეული ზოლები და ლაქებია, თითქოს ალაგ-ალაგ უზარმაზარი ფუნჯი ჩამოუსვიათო – მოჩანს იდუმალი იერის ბუჩქები, ოდნავ გამომკრთალი კლდეთა ქიმები – დევივით წამოყვადებული მთა მუქი და ნათელი ზოლებითაა დაჭრელებული...

– თითქოს სინამდვილეს კი არა, რაღაც ზღაპრული წარმოდგენის თეატრალურ დეკორაციას ვუყურებთ! – ამბობს გოგი, მობილური ტელეფონით სურათს იღებს და სინანულით ამატებს: – არ გამოვა!.. საიდანაა ასე განათებული ეს ზოლები?

– ალბათ მთვარეა – არმაზის მთების ჩრდილში ვართ და მას ჩვენ ვერ ვხედავთ.

ვდგავართ თავადერებულნი, უჩვეულო, მომხიბლავი სურათით მოხიბლულნი!

მიხარია, რომ 72 წლისამ ასეთი საოცრება ვნახე! რამდენი მიხეტილია საქართველოში გეოლოგიურ ექსპედიციებში მუშაობისას, ღია ცის ქვეშაც ღამე უთვალავჯერ გამოთევია და ბევრი ლამაზი ღამეც მინახავს, მაგრამ ამგვარი არ მახსოვს – მართლაც ფეერული სანახაობაა!

არმაზული ზღაპარი!

2008 წლის 2 ოქტომბერი.

არმაზი, ოქტომბერი იწურება...

შუადღეა, მე და გოგი ავტომანქანით არმაზისკენ მივეშურებით...

მიხარია, თუმცა ერთი შეხედვით, უფერული და წყნარი დღეა: არც მზე ჩანს, ცის სუფთა ნაგლეჯსაც კი ვერ ნახავ – ერთი მთლიანი ნაცრისფერი საბანია – და არც წვიმას აპირებს.

საუბრით გავლიეთ გზა მუხათგვერდამდე, აქ გოგი გამოცოცხლდა:

– აქ ჩავდივარ ხოლმე მტკვრის ნაპირას, დიდი ქვების თვალიერება მიყვარს – ადამიანზე კარგად მოქმედებს; აწყნარებს წყალი, მისი დინება. იმ დღეს ჩასული ვიყავი, ბრტყელ ქვებს ვეძებდი და უცებ წავაწყდი ერთ ლამაზ ქვას, უნდა გაჩვენო... ლამაზი ფორმა აქვს და ვფიქრობ, ბიჭო, რამე დიდი ქანდაკების ნატეხი ხომ არ წამოიღო მდინარემ საიდანდაც – თურქეთიდან... რაღაც ისეთი ნატეხია, სადმე ხომ არ არსებობდა – ქანდაკება იყო, ქვა გამოთლილი... ძალიან საინტერესოა. და რამდენიმე დღე აღარ მეძინა, სანამ გადავწყვეტდი, წამოვართვე-მეთქი. ვზომე თვალით, იმით, ამით და, ბოლოს, დავიჭირავე მანქანა. ძლივს შევათრიეთ მანქანაში, დაგვიბუქსავდა... წამოვიდე ეს ქვა არმაზში, ეზოში დავდე.

– მანქანაზე როგორ დადეთ?

– ისეთი მანქანა წამოვიყვანე, რომელსაც თავის ამწე აქვს. ძლივს მივიყვანე მტკვრამდე, მის ნაპირამდე. ასი ლარი რომ მივეცი მძღოლს, ეს გოჩა პატარიძე ჩვენი, მოქეიფე ბიჭი, კინაღამ გაგიჟდა: “ამითი ჯობდა, ერთი ციკანი გვეყიდა!”; ის მძღოლიც გაგიჟდა – რად გინდა ეს ქვებიო.

– მხატვრების ოფოფები არ იციან?

– რომ მივიდა არმაზში, რომ ნახა ეს ქვები და რაღაცეები და გადახედა მტკვარს, თქვა: “ო-ო-ო!” – მოეწონა მძღოლსაც, ბავშვი ახლდა თანაც.

ამ დროს მტკვრის მეორე ნაპირზე უკვე მცხეთა გამოჩნდა, გოგიმ განაგრძო:

– აი, აქ შევედი და დაგხატე, მომენატრა უცებ ნატურიდან მუშაობა, “სვეტიცხოველი” – კაი მზიანი ამინდი იყო და ერთი ელიშუქა ქოქრაშვილი გვეყავს, ტრავმატოლოგი, მანუქა ძველი კარებების გულები და იმაზე გავაკეთე. სად მონახა, სად გაასუფთავა ამდენი!.. რა მაგარი ბიჭია, საინტერესო კაცია ელიშუქა, ერთი სურათი ალბათ მაგას უნდა ვაჩუქო. ჰოდა, ახლა გამოფენას ვაკეთებ, ალბათ მაგაზე იქნება, ფიცრებზე გაკეთებული არმაზის პეიზაჟები... და მაგ ფიცრებზე კარგი იქნებოდა მიტოვებული ძველი თბილისის სერისის გაკეთებაც. არმაზში მარტო ვერ ვჩერ-

დები. ახლა ექვს საათზე ღამდება... ხდება შვიდი, რვა, ცხრა, ათი საათი, კაი, ტელევიზორი ჩაერთო, მაინც ძალიან რთულია მარტო ყოფნა, სულ მარტო... სხვათა შორის, შენი თავი გაშინებს და შეიძლება, საგიჟეთში მოხვდე, ფსიქოლოგიურად ძნელი ასატანია ღიღი დატვირთვა. მარტო ყოფნა კარგია, მაგრამ არა ყოველთვის. 1986 წელს ჩემი პირველი გამოფენა რომ გააკეთე... – გოგომ მოგონება ამ მოვლენის შესახებ აღარ გააგრძელა, უცებ წამოიძახა: – ო, მაგის დედა ვატირე!.. პური, პური!

გამოირკვა, რომ გოგის ძაღლებისთვის შინიდან მოხარშული ხორცი კი წამოუღია, მაგრამ პურის ყიდვა დავიწყებია! აი, ასეთი კაცია – უკან გამოვბრუნდით და გოგომ მაღაზიაში პური იყიდა.

– მწვადი – ძაღლებისთვის და შემწვარი კარტოფილი ჩვენა? – ვიცინი მე.

გოგი საუბარს აგრძელებს, სულ სხვა ამბავს ჰყვება:

– მე ახლა სანადიროდ ვიყავი, გავისეირნე – გაგიჟდები! საფარაში ავედი, ვარძიაში – ცეცხლი ეკიდა მთებს, წითელი ხეები... რას ამბობ, აუჰ, რა სილამაზეა!

– მერე, არის იქ სანადირო ადგილები?

– იქ არის თუ არის, ბიჭო, აბა! ღორი, კაკაბი, დათვი, როჭო იყო ისეთი ლამაზი... რომ ნახავ, ედემის ბაღაო, იფიქრებ. მერე გავიარ-გამოვიარე, ეს გნოლები გამოვიდნენ, როგორც მწყერები, საწყლები...

არმაზში გოგის აგარაკს მივადწიეთ, ადრევე გახარებული ყფით აგვედევნა ორი ძაღლი.

– რა ერთი ამბავით გვხვდებიან!

– გიჟები!

– ეს მეორე ვინაა? პირველად ვხვდავ! – წაბლისფერ ძუკნაზე მივუთითებ; მეორე, უფრო ღიღი, – ჭრელი ხვადი, – ძველი ნაცნობია.

– საიდანღაც გამოჩნდა. გუშინ არაყიანი პური ვაჭამე და მიირთვა, ვითომც არაფერი – მაინტერესებდა, რას გააკეთებს-მეთქი. არაყში დაგულბე პური და ვერევე ყლაპავდა. კაკლის ჭამა დაიწყეს, მე ამათი... გამოვდივარ, ვეძებ – ესენი აკნატუნებენ! ყურძენსაც ჭამენ!

– პირის გემო ჰქონიათ, ძმაო, რას ერჩი!

გოგომ ერთი თონის პური აიღო, მოახვედა ნაჭერს და გადაუგდებდა ხოლმე – მთელი პური შეაჭამა! მერე შინიდან ძაღლებისთვის წამოღებული (საგანგებოდ!) მოხარშული ხორციც – კარგა ბლომად...

მივედით გოგის “ასლარიან” ქვასთან, გუგლით გარშემო.

– ახლა უყურე, რა კარგი ფორმა აქვს! იქით ხომ არ მივატრიალო? – კითხულობს გოგი.

– ყველა მხრიდან ლამაზია – თავისებურად! ფერებიც აქვს, მხოლოდ ღია მონაცრისფრო კი არ არის, მერე ზევით, “თავისკენ”, მუქდება...

ღიახ, ეს საკმაოდ ღიღი ვულკანოგენური ქვიშაქვის ნაჭერი თუ ნატეხი ადამიანის მიერ გამოქანდაკებულ ნამუშევარს ჰგავს – XX საუკუნეში ამაზე უფრო აბსტრაქტული ქანდაკებებიც უამრავზე უამრავი შექმნილა; ამას კი აშკარად ეტყობა ანტროპომორფული მინიშნებები: ზევით “თავია”, შემდეგ მოდის “ტანი” თითქოს დამჯდარი ქალისა – რაღაც ტანსაცმლის ნაკეცებით...

– თითქოს ჰქონდა გვერდზე რაღაც ძველქართული წარწერა, – ამბობს გოგი; ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს.

აღტაცებული ვარ:

– ისე კარგად არის დამუშავებული ბუნებისა თუ ადამიანის მიერ, აღარაფრის შეცვლა არის საჭირო! ჰენრი მურის ქანდაკებას ჰგავს!

კმაყოფილი ძაღლები ღლაბუცობენ, დარბიან, სულ არ აინტერესებთ გოგის “ქანდაკება”.

ცრიატი დღეა.

როგორი უშფოთველობა განფენილა ირგვლივ! ზამთრის პირის სიწყნარე, უშფოთველობა, სიმშვიდე...

ქვევით ნელა მოღუდუნებს მტკვარი – დაწმენდილი, მოსარკული, ალაგ – ოდნავ დატაღღული, ბოთლისფერი მწვანე ფერისა, ასე რომ უყვარს გოგის და მისი პალიტრის ძირითადი ფერია.

მტკვრის გაღმა რუხი კლდეები მოღუშულა; ალაგ მარადმწვანე ღვიის ჩამუქებული ბუჩქები გამოიყოფა, დანარჩენ იშვიათ ხე-ბუჩქებს ჯერ სიყვითლე არ შეჰპარავიათ, მხოლოდ თრიმლი ღუის უკვე წითლად...

არ მოგებზრდება მათი ყურება!

თეთრი თოლიები მუქი კლდეების ფონზე მდინარის თავზე დაღმა მისრიალებენ: ერთი, მეორე, მესამე – ნარნარად, ნარნარად...

ჩამქრალია ფერებში ყველაფერი, გაყუჩებულია არე-მიდამო ზამთრის მოსვლის მოლოდინში. გაიხედავ აღმოსავლეთით, მცხეთისკენ, თუ დასავლეთით, ძეგვისა და შიომღვიმის მიმართულეობით – ყველგან ოდნავ მოიისფროდ იბურება შორეთი.

“ქანდაკების” თემა კვლავ ამოტივტივდა, როცა მანქანით წავედით ძეგვში წყაროდან წყლის მოსატანად. გზად, როგორც ყოველთვის, უმთავრესად მხატვრობაზე ვსაუბრობთ. ძეგვში ცხოვრობდა თვითნასწავლი მხატვარი მიხეილ სოლოლაშვილი, მეორე თვითნასწავლი მხატვრის ვანო მელიაშვილის გამოფენა გახსნილი ერთ-ერთ გალერეაში...

- საინტერესო კაცი იყო, გაჩერებულ ტიპებს ხატავდა ხოლმე, - ამბობს გოგი.
- აქაც მიგდებოდა სახლები, დანგრეული... - ვამბობ მე.
- ნაომარ ცხინვალსა ჰგავს... - მერე გოგი რკინიგზის პირას მიმითითებს: - ნახე, რა ჯარ-თის გორებია, გააქვთ და გააქვთ...

უკან რომ ვბრუნდებოდით, გოგის გზისპირა თეთრი ქვა დავანახვე:

- აი, პატარა ქანდაკება, წავიღოთ, გვერდზე დავუდოთ, შენი ქვის “შიფილი” იქნება!..

გოგიმ მანქანა არ გააჩერა, ერთი ამბავი კი მოჰყვა:

- კავთისხევიდან მოვდივართ და ჩემს ქვისლს, პატას, დავანახვე, რა ლამაზი ქვაა-მეთქი. პატას აგარაკი აქვს ჭოპორტში, ამას წინათ მივედი და ეს ქვა იქ არ უდევს?

- შენი გატაცება სხვებსაც ავადმყოფობასავით გადასდეს!

კიდევ ერთხელ გამახსენდა გოგის ახალშექმნილი ქვის “ქანდაკება”, როცა აგარაკის მესამე სართულზე, მანსარდა-სახელოსნოში ვიყავით. გოგი ახალდაწყებულ ტილოზე მუშაობდა, უფრო სწორედ, ხეზე - ძველი კარის ფიცარზე, თან მესაუბრებოდა: მოკლე ხანში აპირებს პერსონალური გამოფენის მოწყობას გალერეა “ორიენტში”, სადაც გამოიფინება მხოლოდ არმაზული პეიზაჟები. ფიქრობს, სურათების გაყიდვით შემოსული თანხით რუსეთთან ახლანდელი ომის დროს ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გამოძევებულთა დახმარებას. უკვე შესრულებული ოცამდე პეიზაჟი იყო მიღებული კედელთან - გოგის აგარაკიდან დანახული ხედები! (მხოლოდ ერთი, ძალიან წაგრძელებული ფორმატის სურათი ასახავდა მცხეთის პანორამულ ხედს).

- გარემოს იმდენად “დაჭერილი” ვყავარ, რომ სულ ნატურიდან და ნატურიდან მაიძულებს, ვიმუშაო!

თითქმის ყველა პეიზაჟი კამერულია: საგანეთის (თუ სარკინეს) ქედის პატარა კუნჭულები - მტკვრის ზოლი, ზევით - კლდოვანი ფერდი: შთამბეჭდავი ფერადოვანი, მაგრამ არა ხასხასა, გოგის ხელი და ფეროვანი გამა რომ მაშინვე იგრძნობა. მუქი რუხი კლდოვანი ფერდის მდინარესთან ჩასულ-მიდგმული ნაწილი უფრო ნათელი შეფერილობისაა წყლის მდინარებით მუდმივი ლოკვის გამო, - სწორედ გოგის ქანდაკების ფერისა. და ვიფიქრე: “იქნებ მდინარის მიერ არის “გამოქანდაკებული” გოგის ქვა და შემდგომ, რაღაც დროს, წყალდიდობისას, დედა-კლდეს მოწყვეტილი და შემდეგ ქვევით წაღებულ... ან იქნებ გოგის ვარაუდია სწორი და ეს ამჟამად ლოდი ერთ დროს ნამდვილი ქანდაკება იყო, შემდგომ მდინარის მიერ მოტაცებული?”.

ამ ჩანახატის დასასრულ, ერთსაც აღვნიშნავ: ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გამახსენდა: ისტორიკოსთა და არქეოლოგთა მონაცემებით, მცხეთის დასავლეთით 8,5 კილომეტრში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში არსებობდა სარკინე: ან - ცალკე ქალაქი (“მოქცევაი ქართლისაი”), ან - დიდი მცხეთის უბანი (“ცხოვრება ქართველთა მეფეთა”). დასახლებაში განვითარებული ყოფილა ფერადი და შავი მეტალურგია, სახელიც შესაბამისი და ერქვა. გარდა ამისა, “საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში” (საქართველოს ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1990 წ., თბილისი, წიგნი V, გვ. 308) ვკითხულობთ: “სარკინეს ცენტრალურ ტერასაზე გაითხარა ხის ნაგებობის ფრაგმენტები, რომლის კრამიტის ჩაწოლილ-ჩაღეწილი სახურავის ქვეშ, იატაკის დონეზე აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებით დათარიღებული ტერაკოტის ნიღბები, დიონისესა და არიადნეს ქანდაკებები. ქანდაკებები გამოქვეყნდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში გავრცელებული სტილით”.

2008 წლის 29 ოქტომბერი.

ლამაზ ქვებზე ნადირობა

დღეს, 2008 წლის 4 დეკემბერს, ხუთშაბათს, დათქმულ დროს - ზუსტად თორმეტის ნახევარზე და დათქმულ ადგილზე - დიდუბის ხიდან, გოგის მანქანაში, ჯიპში “ტოიოტა”, ვვადები და - ისევ არმაზისკენ!

თუმცა ამჯერად გოგიმ “საჭაშნიკესთან” გზიდან მტკვრისკენ ჩაუხვია:

- გავიარ-გამოვიაროთ, ნაპირზე ლამაზი ქვები დავათვალიეროთ!

მიხვეულ-მოხვეული დანგრეული გზით (გული გვიკვდება: ეს ულამაზესი ადგილი წაუბილ-წავთ - ალაგ-ალაგ დაყრილ სამშენებლო ნაგავს ვხედავთ) ჯაყჯაყ-ჯაყჯაყით ჩავედით ქვევით და მდინარის პირას რიყნარში გაჩერდით. აქ, ჩვენამდე მოსულ ფურგონში, ნარიყ შეშას აგროვებდა ვიღაც წვერგაუპარსავი კაცი. გადმოვედით მანქანიდან, მივესალმეთ ამ კაცს და ნაპირს დავეუყვით.

აქა-იქ სილნარსა და ქვიშაში მოჩანს მდინარის დინებისგან მომრგვალებული ვულკანოგენური ქვიშაქვის საკმაოდ დიდი ლოდინები.

მტკვარი აქ წყალმარჩხია, წყლის ძირითადი ნაკადი არხით ზაჰესისკენ მიემართება. წყალში ჩამდგარა სამი მებაღური, ანკესებით თევზაობენ; ნაპირზე დგას მათი დიდი ჯიპი.

- რა ლამაზი ქვა არის! – ჩერდება ერთ ქვასთან გოგი, მერე მეორეზე, მესამეზე მითითებს:
- აი, ესეც ძალიან კარგია! ეს კი ქალის ტანია! აი, ეს – ფეხია!
- ქვებზე მონადირე ხარ, გოგი!
- აქ შუა ეოცენის საკმაოდ ციცაბო დაქანების მქონე შრეობრივი ქვიშაქვების დასტები (“ჯოტოს მთებია!” – აღნიშნა გოგომ) ეშვებიან წყალში, მტკვარს თითქმის მართი კუთხით ჰკვეთენ და ისევ შიშვლდებიან გაღმა ნაპირზე. დროთა განმავლობაში წყლის დინებას მისი შრეები “გადაუხერხავს”; ალაგ-ალაგ უფრო მტკიცე შრეები უსწორმასწორო კბილებივით მაღლა არის ამოჩრდილი. სწორედ ამ შრეობრიობის წყალობით ზოგი დიდი ქვა წაგრძელებულია, ორმხრივ გაბრტყელებული. ცალ მხარეს ქვები სველია, გასლიპინებული, სიარულისას ფეხი გვისრიალებს, გვიცდება – დეკემბრის დაბალმა, უღონო მზემ ისინი ჯერ ვერ გააშრო.
- ეს ბრტყელი ქვა ზევიდან დაედება “ფეხებს”, დააჯდება ორ ქვას და გამოვა საოცარი მაგიდა, – ამბობს გოგი.
- შენ, გატყობ, უკვე წინდაწინ გაქვს გააზრებული, სად რა უნდა დადო.
- ეს ქვები უკვე მესამედ ვნახე...
- ძალიან ლამაზია და დიდი მრავალფეროვნება ქვების! გოგი, ეს ქვა თუ გაქვს ნანახი? – ვუთითებ მომწვანო ფერის დაახლოებით ერთი მეტრის სიდიდის მომრგვალებულ ქვაზე, რომლის ზედაპირზეც თითქოს უცნაური დამწერლობა არის ამოკვეთილი. – ნახე, რა კარგია, რა ფაქტურა აქვს, ნაქარვ მაქმანს ჰგავს! როგორი მომწვანო ფერისაა, შენ რომ გიყვარს. ეს ყველაზე უკეთესი ქვაა, რომელიც კი ვნახეთ!
- მოვიყვან მანქანას, ფურგონს ვიშოვი და ავაგორებ ზედ! იაპონურ ეზოს გავაკეთებ!
- ჰო, იაპონური ეზო... იაპონური ეზო კი არა, ბადი ჰქვია, ქვების ბადი!
- ზევით, ქედის თავზე, მოჩანს სილუეტი რაღაც ეკლესიისა. გოგი ამბობს, რომ იქ ახალი მამათა მონასტერი აუშენებიათ.
- მტკვარი წყნარად მისრიალებს და მის სარკვეზე აქა-იქ ამოშვერილია ქანთა წყლის დინებისგან მომრგვალებული თავები, თითქოს აქლემების ქარავანმა ჩაყვინთა და მათი კუზებია წყალზევით დარჩენილი...
- ნახე, როგორ არის ამოჩრდილი ქვები წყლიდან... აქ უნდა მასწავლებლებმა მოიყვანონ მოწაფეები და ეს სილამაზე ანახონ!
- გიღვიძებ, გიღვიძებ სიყვარულს ქვებისა! – მეუბნება გოგი.
- მე რა გიღვიძება მინდა, გეოლოგი ვარ! ქვების მეტი რა მინახავს!
- გეოლოგი სხვაა, მაშინ სხვა რამე გაინტერესებდა, ახლა – ფორმა... უფლისციხეში ხომ ხარ ნამყოფი?
- არა...
- ზღაპრული ადგილია! წელსაც ვიყავი, ყოველ წელს დავდივარ.
- აქ ბადის გადაგდებაც შეიძლება, ხომ, გოგი?
- შეიძლება, მაგრამ ამ დროს ვერაფერს აიყვან; რომ აიმღვრეს, მაშინ შეიძლება. კინოგადაღება რომ გინდოდეს, ნახე, როგორ ლამაზად არის ჩაწყობილი ქვები... ახლა შენ გადაგიღებ სურათს... აი, აქ დადექი!..
- შუქჩრდილის თამაში... ნაპირებზე: თბილი ფერი ჩამოცვენილი გამხმარი ფოთლებისა და ჭაღის ვერხვებზე ნაწილობრივ შერჩენილი კაშკაშა ოქროსფერი ფოთლებისა; ხეთა მუქი ტანები გრაფიკულად მკვეთრად, მაქმანივით “ედება” ამ ფერადოვან, პასტელურად ნაზ ფონს...
- ნაპირ-ნაპირ მდინარის დინებას ქვევით დაუწყვებით, ლამაზი ფორმის ქვებს ვეძებთ – ვათვალიერებთ მომრგვალებულ ლოდიანებს, ზოგსაც – ფიცარივით ბრტყელს.
- ამას ვერ წავიღებ? – საკმაოდ დიდ, ბრტყელ ქვაზე მიმითითებს გოგი. – ამას სამ ქვაზე დავღებ და ორი მეტრის სიგრძის ულამაზესი სკამი იქნება. უჰ, წამოვწვები ბანაობის შემდეგ! ეზოში იქნება ნივთივით, ამის ფასი ჯერ არ იცინა! შენ რას ფიქრობ?
- ზოგიერთი კაცი რომ ამბობს, ულამაზო ქალი არ არსებობსო, შენ იტყვი, ულამაზო ქვა არ არსებობსო, მაგრამ გიგანტომანიამ ხომ არ შევიპყრო, გოგი?
- კიდევ ერთ გრძელ ქვას მივადექით.
- ეს შეიძლება, ეგვიპტური ობელისკები რომ არის... ზედა ნაწილი ისეთი აქვს, რომ ძალიან მოუხდება შვეულად დაყენება.
- არა, პლაჟიდან რომ ამოხვალ ზაფხულში და წამოწვები ამაზე... – გოგი აქეთ-იქიდან აკვირდება ქვას, ზომავს: – ორი და ათი სანტიმეტრი არის სიგრძე და ორმოცდახუთი – სიგანე... ესეც წავიღოთ. ამას ოთხი კაცი წავიღებს?
- ჯალამბარიანი მანქანა... ჯალამბარი უნდა მოაბა და გაათრიო. ან მცოდნე ხალხს ჰკითხე, როგორ შეიძლება ამ ქვის აქედან წაღება.
- გოგი ქვას უკაკუნებს.
- რა ხმა აქვს, არა? – მომწონს მე. – მუსიკაა, ამ ქვებზე შეიძლება, მუსიკა დაუკრა... გვერდი ამწვანებულია, ხავსი აქვს.
- ისევ დაფიქრობიალბობთ, გოგის მოსაწონი ქვები არ ელევა:

- აი, ესეც კარგი ქვაა... ახლა ეს რომ ჩემს ქვისლს ვუთხრა, ხომ, ხვალ აღარ იქნება, მოკიდებს ხელს და გააქცუნებს მამაძაღლი პაატუკა...
- მოიპარავს? აქვს მასაც ბალი?
- წაგიყვან მაგის რანჩოში ჭოპორტში. მოიკლა თავი, რომ ჩემზე უკეთესი ჰქონებოდა. წყალთან უნდოდა მაინცამაინც და იქ ტბაც არის.
- მერე, შეძლო?
- აუზი და ყველაფერი – მშვენივრად...
- პაატას ალბათ შენგან გადაედო ეგ სენი!
- აბა, აბა!..
- ეს, ნახე, რა ლამაზად არის – ღარები და ჩაღრმავებები! – კიდევ ერთ ქვასთან შეგჩერდი. – აქ პატარა სურათს ხომ არ გააკეთებ? მე რომ გადამიღე სურათი ,აი, ის ხედი.
- ჰოლანდიური სკოლა... – ამბობს გოგი. – გაკეთებულია უკვე. ჩვენ აქ დაგძრომიანობთ და შენ ფრთხილად იყავი, არ დაშავდე, თორემ დამბრალდება მე, წაიყვანაო და...
- ქვევით კარგა შორს დაუწყევით ნაპირს.
- ბიჭო, ბიჭო, აქ რა ლამაზი ქვებია, ერთიმეორეზე უკეთესები! – აღტაცებული ვარ მე.
- ლამაზებია, მაგრამ აქედან წაღება ცოტა რთულია; შორსაა გზიდან, ხუთასი მეტრი იქნება.
- ვერტმფრენი რამდენს აწევს? საინტერესოა.
- ექვს მუშას მოვიყვან და ამას ამომიგდებენ... ჯიმიკიას ვეტყვი და ის ამომიგდებს, ვნახო ერთი მისი ტელეფონი...
- ესე იგი, ურიკაზე უნდა დაიდოს, მუშებს ელიავას ბაზრობიდან წამოიყვან?
- ურიკა ბურთულსაკისრებზე არ უნდა იყოს, ჩაფლდება სილაში. მე მაინც მგონია, რომ ფიცარზე უნდა დადო და გააჩოჩო.
- მოკლედ, არის ვარიანტები... საბოლოო ჯამში, შენ გინდა, მუზეუმივით გააკეთო არმაზში...
- მსიამოვნებს, ბიჭო, რომ ვუყურებ ამ ქვებს... ამ მთავრობის დედა ვატირე, რომ არ ჩამოეჭრათ იქ ჩემთვის ნაკვეთი, მართლა მუზეუმს მოვაწყობდი! სახლები ჩადგეს. ქანდაკებებს და უფრო მასშტაბურ რაღაცეებს გავაკეთებდი... უცხოეთიდან რომ ჩამოვიდოდნენ, ნახავდნენ: იყო ასეთი მხატვარი...
- ამათ კულტურა და ხელოვნება სულ ფეხებზე ჰკიდიათ.
- ბალტიიპირეთში რომ ვიყო, ახლა კაცი ვიქნებოდი, – ამბობს გოგი.
- გინდაც – სომხეთში.
- მაღაზია “საუნჯე” რომ არის, ჩემი ქართული, ინგლისური და რუსული წიგნები მივიტანე. გაიყიდა უცბად, დამირეკეს, კიდევ მოიტანეთო. “ვინ წაიღო-მეთქი”, “სომხებმა წაიღესო”, – იქ მუზეუმი აქვთ რაღაცა და სურათებს, ყველა ახალ წიგნს ესენი ყიდულობენ.
- აქეთ მტკვარი ჩურჩულებს, მეორე მხარეს, სამხედრო გზაზე, მანქანები მიჯილგინობენ და სულ ზევით, ცაში, თვითმფრინავი მიფრენებს...
- ეს ქვა იქ უნდა გადავიტანო, თუ გამიტყუებს, აზრი აღარ აქვს, – აგრძელებს გოგი. – ყველაზე ნაღდი რა არი, იცი? ვირი თუ ჰყავთ ზემოთ, სოფელში, დავაბმევენებ და გამოვათრევენებ აქა, რას იტყვი?
- მართლა?
- წარმოიდგინე, ვირი, იცი, რას გამოათრევს? დედას უტირებს! კაი თოკი უნდა ჩააბა... მე მყავს ერთი კალატოზიშვილი ჯიმი...
- ვირუკა, ვირუკა! ყველაფერი ძველი მაინც ჯობს, არა? – წამოვიძახე მე.
კიდევ ბევრი ვიარეთ, ვიარეთ... ხან – აღმა, ხან – ჩაღმა...
- კარგი იყო! ქვების დათვალიერების მშვენიერი ექსკურსია გამოგვივიდა, – ვამბობ მე.
- აქ ჩამოვდივარ ხოლმე და ნერვებს ვიწყნარებ.. ახლა ვირის ამბავზე წავიდეთ.
- თაფლივით დღეა, მზიანი, სიცივე სრულებით არ იგრძნობა.
- გზიდან მარცხნივ გადავუხვიეთ, მანქანა გაძვრა რკინიგზის ქვეშ გვირაბივით ხვრელში.
- რკინიგზის იქით სოფელი მუხათგვერდია, ლამაზად შეფენილი ფერდზე; ავიარეთ ციცაბო, ტალახიანი აღმართი და ერთი სახლის წინ გავჩერდი. აქედან მშვენიერი ხედავია: ჯვარი, მცხეთა, ზედაზენი...
- გოგის დაძახებაზე გამოვიდა თენგი – დაბალი, ჩადგმული, ცისფერთვალა, შუახნის კაცი.
- შენი ვირი მუშაობს? – მისაღმების შემდეგ ეკითხება გოგი.
- კი, როგორ არა!
- შენ გენაცვალე, წამოდი; ახლა მე გაჩვენებ ერთ ადგილს, მტკვარზე ჩავალთ და თუ გამომითრევ ერთ ქვას... მერე მანქანას მოვიყვან და შევაგდებთ.
- აუცილებლად ვნახავთ, ყოველმხრივ ვეცდები, რომ თქვენი საქმე გავაკეთო.
- შენ ისეთი ერთგული და კაი კაცი ხარ, რომ...
- კი, ბატონო, ვნახოთ, შეგხედოთ...
- ჩავისვით თენგი მანქანაში და დაველოდით დაღმართში.
- ის შენი ძმა იყო, რომ გამოვიდა?
- სულ არ შემხედია.

- გვერდზე რო ცხოვრობს.
- არა, ის თაღლითია, ყარაული. ყარული კაცი საქმეს არ გაგიკეთებს, მშრომელი არ არი; მაგას ბარი თავის დღეში არ სჭერია ხელში.
- რამდენი ხართ?
- სამი ძმა ვართ, სამივე დაცოლშიღლებული.
- აქ მსუბუქი მანქანა თუ ამოდის? ცოტა გაუჭირდება... - ვეუბნები თენგოს. - ამ გზას სხვა-ნირად გაკეთება უნდა, თორემ წვიმაში...
- წყალი გვიყენია, საქონელი რომ სვამს, გადმოდის... შეგვიპირდნენ, სრემს მოვიტანთ, დაგყრითო. ერთი კი ჩამოატარეს ტრაქტორი, მაგრამ დატოვეს ეგრევე.
- ულამაზესი ადგილია, - ამბობს გოგი. - ბინები აღარ იყიდება აქა? ან ნაკვეთი? არის რამე კარგი ნაკვეთი გადასახედით?
- ნაკვეთი კია, მაგრამ სადაოა, ვიღაცას იჯარით აუღია ორნახევარი ჰექტარი, მთელი ეს მხარე აქვს დასაკუთრებული. ათი წლის მერე გაახსენდა მაგ დალოცვილსა, სასამართლო გვაქვს მაგაზე.
- აი, ამისგან თუ გაიგონებ ცუდ სიტყვას და გინებას, - მეუბნება გოგი, - კაი ქართულით ლაპარაკობს. გარყვნილი ენა გვაქვს ქალაქში.
- არადა, მიღება, ჩაბარების აქტები გვაქვს, ყველა საბუთი გვაქვს... - აგრძელებს თენგო.
- ჰოდა, ვერ უნდა წაგართვან წესით მაშინ. წყალი გაქვთ აქა? - ეკითხება გოგი.
- აი, ეგ არი გასაჭირი, რომ წყალი არა გვაქვს...
- ისევ მტკვრის ნაპირზე დაგბრუნდით, გოგის ლამაზ ქვებთან.
- თენგო ამბობს:
- სხვათა შორის, აქედან წაიღეს ქვები ეკლესიისთვის.
- აიმ ახალი ეკლესიისთვის, ზევით რომ აუშენებიათ? რა ჰქვია? - ვეკითხები თენგოს.
- ნაქულებაქვეი. ჰო, აქამდე მოვიტანთ ამ ქვებს დ მერე აქ ამოშვერილია და იმაზე ნელ-ნელა უნდა გადაატარო. აქამდე რომ მოვიტანოთ, ჩათვალე, რომ უკვე წაღებულა.
- აქ დადის, ხომ, ხალხი ქვებზე სანადიროდ?
- კი, როგორ არა.
- ვირი ვერ მოერევა? ქვას ქვეშ მიღები უნდა დაუტანო გასაგორებლად. მიხედავ ამ საქმეს? - ეკითხება გოგი.
- აუცილებლად, დღესვე! მერე წვიმები დაიწყება და აღიდდება მდინარე, აი, აქამდე ავა წყალი, რიყეს სულ დაფარავს. ჯერ ტყეში უნდა წავიდე, საქონელი მყავს გაშვებული...
- ეგრე პირდაპირ, უპატრონოდ?
- რვა სული მომპარეს შარშანა... სალობიეს უკან მალლა უნდა ავიდე ავგრე.
- ხომ არ გინდა, მანქანით აგიყვანო?
- არა, მანქანით ვერ ახვალ...
- გზაზე დაგბრუნდით, თენგო პროხების მისახედად წავიდა, ჩვენ კი არმაზისკენ გამოვწიეთ.
- ეგ ნამდვილად ვერ მოისვენებს და დღესვე გამოთრევს იმ ქვებს, მოუსვენარია, - ვამბობ მე.
- ახლა ექვსი კაცი რომ წამოიყვანო ელიავას ბაზრობიდან, იმ ექვსს ეს ერთი სჯობია, - მპასუხობს გოგი.
- ადამიანს რომ შეხედავ, იმ წამსვე მიხვდები, საქმის გამკეთებელია თუ არა.
- ოციოდე წუთში მივედით გოგის აგარაკზე არმაზში - სამოთხეში!
- ავედით მანსარდში გამართულ გოგის სახელოსნოში, სადაც მან განაგრძო მუშაობა სურათზე - ქალაქური ზამთრის პეიზაჟია: დათოვლილი სახლები, ქუჩა, გამგლევი ქალები... პირველი სართულის ფანჯრიდან შავი კატა იცქირება...
- სადამოს, სუფრასთან, მშრომელი კაცის მარჯვენაც ვადღეგრძელებთ.
- როცა რამდენიმე დღის შემდეგ გოგის შევხვდი და კვლავ არმაზში წავედი, გოგის მიერ შერჩეულ ორი ქვა უკვე აგარაკის ეზოში მათთვის მიჩენილ ადგილებზე იყო მოთავსებული.

2009 წლის 20 იანვარი.

არმაზი, გაზაფხულის ლამაზი დღე

- 2009 წლის 20 მაისია - მზიან-ღრუბლიანი დიდებული დღე!
- მე და გოგიმ ნაძალადეგში გაგუარეთ ხელოსანს, ნატიქს, - დაახლოებით ორმოცდაათი წლის თბილისელი აზერბიჯანელია, - და არმაზისკენ გავწიეთ.
- და აი, ისევ არმაზულ სამოთხეში ვართ: გარშემო - დიდებული ბუნება, შერწყმული ირგვლივ გამეფებულ სიწყნარე-სიმშვიდესთან...
- გრილა, ალერსიანი ნიაგი ჰქრის, ეთამაშება ფოთლებს.

მთელი დღე, დილიდან საღამომდე, უხილავი შაში გვატკობს გალობით! დანარჩენი ჩიტობაც – ყველა საკუთარი ხმით – მღერის, სტვენს, წივივებს, ჟივივებს, ჭყვივის, ჩხავის, ჟღურტულებს, ჭიკჭიკებს, ჭახჭახებს, წიწკინებს, კაკანებს, კუთავს, კრუალობს...

და გამუდმებით სულ სისინ-შრიალი ისმის ქვევით მიმსროლავი მტკვრისა! ადიდებული, ამღვრეული დედა-მდინარე მოღელავს, მოშხუის, ლოკავს ნაპირებს, თეთრ ქაფს ატრიალებს მორეგებში.

ზევით – ცის უპირლ ლურჯი ოკეანე, ქვევით – მტკვრის ჭალაში, მთა-გორებზე მცენარეულობის მწვანე ზღვა მძლავრობს; ეს ზურმუხტის ზღვა შუაზე გაკვეთილია მომწვანო-ტალახის-ფერი მდინარის სარტყელით, რომელიც სულ ჩიფჩიფებს რაღაცას, ალბათ, მღერის: “მიერბივარ, მიეჩქარი და საით, რატომ, რისთვის – ამაზე ფიქრისთვის სად მცალია! ბუნების მიერ ნაშობი ვარ და ბუნებრივი ვარ: არავის აქვს ჩემი ვალი და არც არავის მევაღე ვარ, ალალი ვარ, გულღია და თუ ტალღებს მივათამაშებ და მივიმღერი, იმასაც – წრფელი გულით ადვსილი!”.

მოუთოკაგმა, მოუღლეღმა მტკვარმა საუკუნეების განმავლობაში აქ ჩაჭრა ვულკანოგენი ქანები – წყალს რა ძალა აქვს! – და არმაზიდან მცხეთამდე კლდოვან ვიწრობაში მიედინება. “წყლის ძალა მოცაო!” – კაცს ტყუილად არ დალოცავენ ასე.

აი, ასეთი დაუღვარო ძალა აქვს თითქმის სამოცდახუთი წლის მოუსვენარი ბუნების გოგინაც და მხოლოდ მხატვრობაში არა!

გოგი:

– რამეს თუ ჩავთქვამ, რომ არ გავაკეთო, არ იქნება!

აღრე ნატიქმა გოგის გაუფართოვა მტკვარზე გადასახედი ბეტონის მოედანი, რომელზეც რკინის სადგარზე შეყვებულნი უზარმაზარი ბრტყელი ქვა დადეს მაგიდად, დღეს კი ისინი სამზარეულოში აკეთებენ ბუხრის ძირს – აქაც ქვიშაქვის წაგრძელებული დიდი ფილა დადეს და ასწორებენ. ამ მიმე და, ამავე დროს, ფაქიზ საქმეს არ მეგონა, თუ მოერეოდნენ!.. მთელი დღე კი მოუნდნენ...

გოგი:

– კარგი მასალაა ქვა – როგორ მიყვარს! მილიონი წლები გავიდა მისი წარმოშობიდან; მერე ეს ქვა აქ მოვიდა, დაიდო და თითქოს სულ აქ იდო!

შუადღეზე სამზარეულოში ვსადილობთ, თან ვსაუბრობთ.

გოგი კაპადოკიურ შთაბეჭდილებებს ჰყვება:

– რომ უყურებ, რაღაც საოცრებას ხედავ... ათასი ვარძია და უფლისციხე რომ ჩასვა ამ ტერიტორიაზე... ძალიან მწირი მიწაა, მხოლოდ ყურძენი მოდის მანდ ძალიან კარგი. ქართველებს გვაქვს ერბოსავით კარგი მიწა. იტყვი: აი, ამ მიწის პატრონს როგორ უნდა გაუჭირდეს? საბჭოთა კავშირმა გააზარმაცა ხალხი, შრომის ხალხის დაუკარგა; რა თქმა უნდა, ომებმაც, შემოტევებმაც... და არ იციან ახლა, რა მიწაზე ცხოვრობენ, ეტყობა, მუქთად უნდათ ყველაფერი... აი, ეს მაგიუებს! ნახე, პატარა ხეს, ვახს როგორ უფლიან ვეროპაში და აგერ, მიშვებული მაქვს, ჩააგდე თესლი, ჩაყარე ნერგი სადაც გინდა – იხარებს, ამოვა, გალადდება, მაგრამ მოვლა ხომ უნდა.

– ცოტა უპატრონო ქვეყანა გვაქვს...

ნატიქი წამოდგა, თავის საქმეს მიუბრუნდა, გოგის ეუბნება:

– ხომ არ დაიღალე? გასვენებ ახლა.

– არა, კაცო! – გოგიმ მომცრო ჭიქებში ღვინო ისევ ჩამოასხა: – კარტოფილი კაი შემწვარი გამოვიდა.

– ცოტაც რომ დავლიო, მაწყენს, აღერგიული რეაქცია მაქვსო, – ვამბობ მე ნატიქზე. – შემწვარ კარტოფილს არაფერი სჯობს ამ ქვეყანაზე!.. შენ გამალოთებ, ძმაო! – ხუმრობით ვეუბნები გოგის.

– დღეს არ დავლევ-მეთქი, გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ შენ რომ ატყვი, ღვინო მირჩევინაო... თუ ჩამოვიდნენ ის ბიჭუნები, ჩემი ნათესავები, მერე ნახე!

– მე რაღა დამრჩენია ამქვეყნად, წასვლის წინ ერთი დღესასწაული უნდა მოვაწყო!

– სად აპირებ წასვლას?

– საიქიოს!

– ჰა-ჰა-ჰა!.. – იცინის გოგი. – მე ვთქვი, სადმე უცხოეთში აპირებდი წასვლას და...

– მთლად უცხოეთში!.. ჯერ არა, ოთხი წიგნი მაქვს გამზადებული, დაბეჭდვა უნდა.

– რაც დაბეჭდე, ცოტა დაბეჭდე, კაცო?... მე რაზე გითხარი... მოთხრობა რომ გაქვს ერთი – “ასკილი” – ეს არის ბედისწერის ვარიანტი... ვხვდები ახლა. ეგ რაზე გაქვს დაწერილი?

– ბიბი მომცა ერთმა შემთხვევამ: ბავშვები პატარები მყავდა და შემოდგომობით ავტობუსით ავდიოდი ხოლმე წყნეთში და იქ გკრფოდი ასკილს ზამთრისთვის. ჰოდა, ერთხელ გკრფე ასკილს და უცებ გხვდავ: გამოფრინდა ჰაერში ავტომობილის დიდი საბურავი, გვერდით ასე ჩამოფრინა და წავიდა ქვევით შლიგინ-შლიგინით, ბუჩქების მტვრევით. ვიფიქრე, მე რომ დამცემოდა, ხომ გამათავებდა ადგილზე-მეთქი... და აქედან აიკინდა ნელ-ნელა ყველაფერი.

– რაც ცხოვრებისეულია, ხელოვნებაში ის რჩება ხოლმე, – ამბობს გოგი.

– გოგი, წინათ რომ გთხოვე, გაიმეორე-მეთქი...

– სელჩუკის ამბავი? ეს სელჩუკი, თუ ამის მაგვარი რაღაც ჰქვია, ცნობილი კაცია; მე არ ვიცი, რა მხატვარია. გალერეის წინ რომ გაიარა, ომერამ დაინახა – “ეფელი, ეფენდი!” – გაეკიდა და შემოიყვანა. ჩემი თურქულად თარგმნილი წიგნი ვაჩუქე – რამდენიმე მოთხრობაა. იქ ერთი შეცდომა იყო გვარში, როგორც კი აიღო წიგნი, იმ წუთშივე დააღო თითი – ვინ გააკეთა ეს წიგნიო.

– ეტყობა, ალღოიანი კაცია.

– ცოტა უცნაური ტიპი იყო. თურქეთში როგორ არის, იცი? აი, საქართველოში რომ ვართ, ჩვენი მწერლებია თუ მხატვრები, ოდნავ თუ მაინც რაღაცას წარმოადგენენ, ცხვირბაბუკილები, გაფუფულები დადიან, ყველას ზემოდან უყურებენ. იქ, თურქეთში, დაინახავ და გეტყვიან: “აი, ის არის!” – არაფრით გამორჩეული, ქუჩაში მიდი-მოდის, ყურადღებას არავინ აქცევს... იქაც, კი, პატივისცემა როგორ არ იციან თურქებმა, მაგრამ უბრალო ხალხია. შენ წარმოიდგინე, მდიდარი უცხოელები სტამბოლში უფრო იშენებენ ან ყიდულობენ სახლებს, ვიდრე ლონდონში ან პარიზში, რატომ? იმიტომ, რომ ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი, იტალიელი – ზემოდან უყურებს, როცა ამერიკელი თუ სხვა იქ სახლდება. თურქი არ არის ეგეთი, ის არ იბრიქება, რომ მე თურქი ვარო, როგორც ფრანგი, იტალიელი, ინგლისელი იბახის, ხედები? და იმიტომ იქ ადვილად ხდება ასიმილაცია. კი, აქვთ თავისი თურქული ვარიანტი, ახლა იწყება ეს, მაგრამ გემსახურება და ამიტომ ძალიან ადვილად ცხოვრობენ მანდ უცხოელები – ყიდულობენ სახლებს და კარგად გრძობენ თავს. მანდ შენ რომ ტაქსიმზე გაგიყვანო, იმ ქუჩიდან ასორმოცდაათ მეტრში არის ომერას გაღერვა – დაუღალავად არის გატენილი ქუჩა ხალხით. გამოსვალ უგუნებობაში მყოფი და ხედავ: ჩემზე მახინჯი, ჩემზე სუფელი, ჩემზე გიჟი – ყველა იქ არის! და შენ მოგეხსნება დაძაბულობა. გერმანიაში – ჩემი ფეხები! კაცს ვერ ნახავ გარეთ. თვითონ ხალხი იქნებ კარგია, მაგრამ ბარებშია ჩაკეტილი და უბრაახუნებს ლუდს. სტამბოლში გამოყრილია სუყველა გარეთ, გარეთ ცხოვრობს ხალხი.

– ურთიერთობის სხვა ფორმაა...

– უფრო ღიაა, რომ დაუკვირდე, უფრო უშუალო, – ძალიან უშუალოები არიან, ძალიან თბილები... და ძალიან ბრაზიანები – უცებ აფეთქდებიან! თუ გააბრაზეს, შეიძლება, დანა გლიჯოს, მაშინ დაუნდობლები არიან. შენ იქ ხედავ შენს გარემოს. მთელი კავკასია – აფხაზები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ბალყარელები, დაღესტნელები – აქ არიან, კავკასიამ აიღო მთელი თურქეთი. თვითონ თურქები პატარა და შავები არიან. როგორ არჩევ მაგას, იცი? რომ მიდისარ, ტიპი მოდის და გგონია, რომ მაღალია, გაგივლის და – დაბალია. გერმანიაში რომ მიდისარ, ტიპი დაბალი გგონია, გაგივლის და – მაღალია...

– ბოლო სადღეგრძელო შენ!

– გაგვიმარჯოს მე და შენ – ყველაზე დიდი სადღეგრძელო ეგ არის! ჩვენი თავით იწყება სამყარო და ჩვენი მთავრდება, გაიგე? მე და შენ გაგვიმარჯოს!

მერე გარეთ გამოვედით, გარემოს გადავხედეთ.

მე:

– ის ძუკნა ძაღლი და მისი მეგობარი ჭრელა აღარ გამოჩენილან!

გოგი:

– მოეფერები და ეგ არის სულ, სხვა ხეირი მათგან არ არის!

– მხატვრის მიერ შექმნილი სურათიც ვერე არ არის? თვალის მოსაფერებელია, მეტი რა... ზოგადად, მოფერება არის ამ ცხოვრებაში მთავარი!

გოგი და ნატიქი ბუხრის ქვასთან ჭიდაობას უბრუნდებიან, მე კი ვზივარ სავარძელში მტკვრის პირას – მაღლა, გადასახედზე...

გაღმა: კლდოვანი მთის ციცაბო კალთა, შემოსილი ბუჩქნარით; მარად მოუსვენარი მდინარის დუღუნ-სიმღერა, ჩიტების საამო ჟღერტული – სამოთხეა, აბა რა! თანაც, სულ ახლახან სუფრაზე გეახელით შემწვარი კარტოფილი, სოსისი ტყემლით და რამდენიმე ჭიქა გოგის ღვთიური რქაწითელიც დავაყოლეთ – მის გრილ სარდაფში ამ დრომდე ბოლომდე დაუღულებელი!

დასავლეთით საკმაოდ გადახრილი მზე პირდაპირ თვალებში მიჭყიტინებს, ისიც კმაყოფილი ჩანს განვლილი დღით...

ჩემს წინ მტკვარი ბორგავს, შფოთავს, ტრიალებს; ისმის ბაყაყების ყიყინი, ყვავმა ყრანტა-ლით გადაიფრინა – ისიც რაღაცით კმაყოფილია...

იდილიური სურთია!

ნიავე სახეზე მეაღერსება: “ზომ კარგია?”

მდინარეც იმავეს მეჩურჩულებს: “რა კარგია!”

მოდის გოგი, მეუბნება:

– ბიჭო, მზემ არ დაგარტყას!

– სამოთხეში ვარ, გოგი, ნამდვილ სამოთხეში! მოდი, კაცო, შეისვენე; მაგარი მოუსვენარი ჯეელი ხარ!

– ამ ქვებს რომ მოვათრევი, ზოგს ეცინებოდა... ვიღაცა მოვა, ნახავს, ესამოფენება! აქ საერთოდ სამხატვრო მუზეუმის მოწყობასაც ვაპირებდი, პატარა ხელშეწყობა რომ მქონოდა, მაგრამ ჩვენს ხელისუფალთ კულტურისთვის არ სცადიათ...

ნატიქი ეუბნება გოგის:

– გოგი, მოიტა, თუ რამე ძველი ვედროები გაქვს, დაგჭეკოთ, მერე მოიყვანე შენი ძმაკაცები ევროპიდან და კარგ ფასად გაყიდი!

სალამოს 6 საათია. “ჭუტა-ჭუტა-ჭუტა!” – არ იღლება მსტვენავი ჩიტი. შედეგ გადაფრინდა ცოტა მოშორებით და ახლა იქიდან ისმის: “ჭუტა-ჭუტა-ჭუტა!.. ჭუტა-ჭუტა-ჭუტა!..”.

შენ გაიხარე, მგალობლო! შენი უბრალო სიმღერაც მშვენიერია – მზის ჩაბრძანებას უგალობ, გამოსამშვიდობებლად თბილი ხელებით რომ ეალერსება არე-მიდამოს.

ისევ გადაიფრენს ყრანტალით ყვავი, მერე – მეორე, მესამეც, ისინიც თითქოს თავისებურად მღერიან!

უჰ, რა კარგი ხარ, მზევ! რა თბილი, რა ალერსიანი! თვითონ შენ თვალში ვერ გიყურებ; თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ შინაგანი მზერით ვხედავ: რა ლამაზად აფერადებ გარემოს, რა უშურველად უწილადებ სითბოს ყველას – დიდსაც და პატარასაც! ათასგვარი ქინქლა-ბუზი ირევა სალამოსპირის ჰაერში, ცეკვავს, ცეკვავს დაუღალავად!

შვიდის ნახევარზე, როცა წასვლას ვაპირებდით, გამოგვეცხადდნენ ნაცნობი ძაღლები: ხვადი – შავ-თეთრი ჭრელია და დედალი – მურა-წითელი, რომელსაც, ჩამოგრძელებულ ძუძუებზე ეტყობა, ლეკვები ჰყავს.

– აქამდე სად იყვნენ? – ვეკითხები გოგის.

– მაგარი მამაძაღლები არიან, იციან, ამ დროს ვჭამთ პურს, მაგრამ დღეს არ გაუმართლათ – ადრე მივუსხედით სუფრას.

გოგი ცხიმთან ჭურჭელს თბილი წყლით ჩარეცხავს თასში, შიგ სადილის შემდეგ მორჩენილ ნასუფრალს ჩაყრის, პურის ნაჭრებს დაუმატებს და ძაღლებს დაუდგამს.

ისევ შაშვის გალობა ისმის...

2009 წლის 20 მაისი.

არმაზი, ნიკალას ძაღლი

2009 წლის 16 ივნისია; შუადღე გადასული იყო, როცა არმაზში მოვედით მე და გოგი.

ზარმაცად წვიმს, აგარაკის ფლატედან გადავყურებ მტკვარს: ჰო-ჰო-ჰო, რა მოდიდებულია! ტალახისფრად ამღვრეულია და მოაქვს-მოატივტივებს ხის გამხმარ ტოტებს, პლასტმასის ბოთლებს და ათასგვარ სხვა ხარახურას.

– მინერალურ წყალს დალევ თუ “კოკა-კოლას”? – სამზარეულოდან მიძახის გოგი, არ გვში-ა.

– ღვინოს!

მერე მე და გოგი ვსხედვართ სახლის წინ გრძელ სკამ-საქანელაზე, ნელ-ნელა ვაგემოვნებთ გოგის დიდებულ რქაწითელს და ვაგეყურებთ გაღმა აყუდებულ მთის ციცაბო ფერდობს; კლდეების სველ, გამუქებულ მკერდზე აქა-იქ ახალშეფოთლილი ძეძვის ბუჩქები ყვითლად ჰყვავის, ღვიის ხე-ბუჩქები მწვანედ ხასხასებს... ხან კი ძაღლებზე ვსაუბრობთ – ჩვენს წინ, მეტლახის ფილებზე, თამაშობენ ლეკვები; ორი შავია, ძმები, ორიც – ნაცრისფერი, ისინიც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ერთი ჭრელია – მხოლოდ ის ჰგავს მამას, ძალიან ჰგავს. არსად ჩანან მათი მშობლები: დიდი ხნის ნაცნობი ჭრელი ხვადი და მურა-წითელი ძუენა.

ნიკალას ძაღლი!

რამდენჯერ მყავს ნანახი ეს ჭრელი ძაღლი და მხოლოდ ახლა მოვიაზრე: რა ძალიან ჰგავს ფიროსმანაშვილის სურათში “ლხინი თალარში” გამოსახულ მაგიდის წინ დაყუნცულ ჭრელ ძაღლს!

ამ ჩანახატსაც, ნიკოს პატივსაცემად, შესაბამისი სახელი ვუწოდე...

გოგი ჰყვება:

– რაჭაში ვიყავი, ჩემს დეიდაშვილს დედა გარდაეცვალა... ისეთი ლამაზი ადგილებია, ახლა განსაკუთრებით, გაზაფხულზე; მაისი ძალიან მიყვარს. შენ წარმოიდგინე, 350 კაცი ჰყავდა ქელესში. მოდიან მოხუცებულები, გახუნებული ტანსაცმელით, გული მოგიკვდება...

– რა უბედურებაა, კაცო, ამხელა ქელესის გადახდა, სად აქვთ ამდენი შეძლება...

ლეკვები ერთმანეთში ბღლარძუნობენ; ერთი ცოტა მოზრდილი უცხო ლეკვიც მოცუნცულდა საიდანღაც; თავხედი ჩანს, სხვა ლეკვებს ეჩხუბება, ჩაგრავს.

– ერთმა მითხრა: “ოთხი მილიონი რომ გქონდეს, ნახევარს ხომ მომცემდიო”, – ჰყვება გოგი.

– მე ვუთხარი: “რაღა ჩემი მოცემული გინდა, შენთვის ინატრე, თვითონ გქონდეს!”.

– ნატვრაშიც კი გაუბედავია.

– ერთი ანტონა მყავს, საწყალი კაცი, კარგი კაცი; ვეუბნები: “ოქროს ქვა რომ გამოვანგრიოთ მე, შენ და თემურიკამ, მილიონ-მილიონი რომ ჩავიდოთ ჯიბეში, შენ რას იყიდი?”. “ოთხ ლიტრ ბენზინს რომ წვაგს ას კილომეტრზე, ისეთ პატარა მანქანას!”. თემურიკა მოკვდა სიცილით: “კიდევ პატარა მანქანას ყიდულობ?”. ვერც იოცნება საწყალმა კაცმა... ვგრევა, შენ ახლა

უცებ ბევრი ფული რომ გაგინდეს, დაიბნევი. აი, მაგის შესაძლებლობა არ მაქვს, რომ ექსპერი-
მენტი ჩავატარო, თორემ მოგცემდი და ვუყურებდი: რას გააკეთებდი? თან ვუყურებდი და მერე
წიგნს დავწერდი... რას მოიმოქმედებდი?

- გორში გავაკეთებდი კარგ სამხატვრო გალერეას!
- გორში რატომ?
- გორელი ვარ და იმიტომ.
- ვის რა ფეხებად უნდა გორში გალერეა?
- როგორ არ უნდათ, ყველგან უნდათ.
- იტყვიან: “ეს კაცი გასულელდაო, ჯობდა, ერთი კარგი რესტორანი გაეკეთებინაო”, ჰა-ჰა-
ჰა!..

- მართალი ხარ. მერე დრო გავა და მიხვდებიან, რა უფრო საინტერესოა, უფრო საჭიროა –
გალერეა თუ რესტორანი.

- რა თქმა უნდა, მერე დაგაფასებენ და ძეგლს დაგიდგამენ, იდგება შენი ქანდაკება, – მატ-
რიზაევებს გოგი. – შენა, “ზინგერი” ვინ გააკეთა? “ზინგერია” თუ რაღაც, V ავენიუზე ნიუ იორ-
კში დგას ტიპი და ასე საკერავი მანქანაა... ვინ არის? ძალიან საინტერესო ტიპია, ქანდაკება
ხოშიანი.

- “ზინგერის” 100 წლის წინათ გამოშვებული მანქანები ჯობია, ახლა რომ უშვებენ ელექ-
ტრულ საკერავ მანქანებს. თბილისის ყველა სამკერვალოში ფეხით მომუშავე ძველი “ზინგერე-
ბია”.

- დედამე მქონდა. გივი დიდუბელიძე იყო, თუ იცი, ცხონებული, როგორ მოულოდნელად,
უდროოდ წავიდა... კოლაჟებს აკეთებდა, ნაწილებს მიაკრავდა ხოლმე – კაი რაღაცეები ჰქონდა...
დავინახე: დაუშლია “ზინგერი”, მისი ნაწილებით კოლაჟი გაუკეთებია და “მშრალ ხიდთან” გა-
მოუტანია გასაყიდად. ბიჭებში ხმა დაგყარე, რომ ვიღაც უცხოელია ჩამოსული, იმ ზინგერის
შვილიშვილი, და ეძებს რომელიღაც წელს გამოშვებულ “ზინგერის” საკერავ მანქანას, უცხოეთ-
ში უნდა წაიღოს და, მგონი, მასში აგტომანქანას იძლევა... მთელმა სანაპირომ იცოდა ეს ამბავი
და ეს ფუსფუსა გაგიჟებულა: ეს კოლაჟი გაუყიდა და დარდობს, ის “ზინგერი” ხომ არ იყო,
რომელსაც ეძებენ?

- გურამზე მოყვები, როგორი იყო?

(“მაპროვოცირებელი” კითხვა: კოკა იგნატოვს, ტიტე შეყილაძეს, გივი კასრაძეს შეგუწინდი
და დაგაწერინე მოგონებები, რომლებიც გამოქვეყნებულია, გოგის კი, ეტყობა, ვერ დავიწყოლიებ
– ბევრჯერ გცადე! – და ასეთი “პარტიზანული” მეთოდით მოპოვებული მისი მცირე მოგონება
მანც მინდა, ჩაერთო ამ ჩანახატშიც და სხვაგანაც!).

- გივი? გივი იყო საოცარი ტიპი! ჩემზე 5-6 წლით უფროსი იყო, დიდი მხატვრის სახელი
ჰქონდა. ძალიან ჩაკეტილი იყო, თავისთვის დადიოდა. მერე, აკადემიიდან ჩემი მეგობრის, ფეშან-
გი მეგრელიშვილის მეზობელი იყო ნაძალადეგში, დაგვიახლოვდა; თუ ვინმეში რამე არ მოეწო-
ნებოდა, იმასთან არ მეგობრობდა. ჩალიჩი უყვარდა, ჰოდა, ფუსფუსა დავარქვით – სულ ფუსფუ-
სებდა: “შენა, შენა, ბიჭო, შენა ეხლა...” – ასე იცოდა ლაპარაკი. ირაკლი ფარჯიანს გაუკეთა კა-
რები; კარებს ისე გაგიკეთებდა რა, მუქთად, უნდა მიგეტანა საჭმელი და რაღაცეები – მიახუჭუ-
ჭებდა, მოახუჭუჭებდა, აკეთებდა ეგეთ რაღაცეებს. ელიავაზე სახელოსნოში მისი გაკეთებული
ტახტი მქონდა ზემოთ. რა გამიკეთა, იცი, ცხონებულმა? მოვიდნენ ეგ და შოშიტა სვანიძე, პატა-
რა რომ არის. “ჩაგელ, ბიჭო, მახარაძე რომ იყო, ფილიპე, მისი შვილია, შვილიშვილი თუ ვილა-
ცა, სოლოლაკში ცხოვრობსო, სხვენზე ისეთი ორი ცალი საწოლია, გაავადები! ყრია სხვენზე!
მოვიპაროთ! ერთს ავიღებ და მეორეს შენ მოგცემ!”. “როგორ მოვიპაროთ, დაგვიჭერენ?”. ჰოდა,
მე, ფუსფუსა და შოშიტა წავედით... წამიყვანეს ღამის პირველი საათის შემდეგ. მანქანა მყავს,
ენგელსის ქუჩაზე მივაყენე სადღაც, მახარაძის ქუჩა როა; ესენი გადავიდნენ...

- რას გრძნობდი მაგ დროს? – სიცილით ვეკითხები.

- აჰჰ! რას ვგრძნობ, იცი? ჩემს დღეში ხომ არაფერი მომიპარია... გახდა ღამის ორი საათი,
მილიციის მანქანამ ჩამოიარა; ვითომ რაღაცას ვჩალიჩობ. ესე შემომხელა სხვანაირად...

- რა მანქანა გყავდა?

- ფურგონი “ჟიგული”. მერე კიდევ გამოიარა ამ მილიციის მანქანამ, ვფიქრობ: “რომ დამიჭი-
რონ...”. ჰო, გახდა ღამის სამი საათი, გახდა ოთხი საათი, ზაფხულია... კიდევ ჩამოიარა მილიცი-
ამ... და შემომხედეს ცოტა ისე და... ქალი მანც გყავდეს, იფიქრებდნენ რაღაცას. აი, სასწრაფო
მოვიდა სადღაც... ვუყურებ, ახლა მთელი ქუჩის ცხოვრებას ვხედავ, მიხვდი? უცებ ვიღაც კაცი
გამოვარდა, ტიტეელია, ქული ახურავს და სათაგური უჭირავს ხელში; იცინის სულელივით და
შეგხედე – თაგვი დაუჭერია და იცინის, გაიგე? ბაჩუჩებით გამოვარდა... ღამის ოთხი საათია,
თაგვი ქუჩაში გადაადგო. ბიჭო, ხუთი გახდა, ამ ქუჩის ცხოვრებას ვუყურებ... ვფიქრობ: “თქვენი
ჭკუაც ვატირე, წავაღ...”. თან, როგორია, გამოდის, რომ ვღალატობ, ესენი რომ დავტოვო, აბა!..
ვფიქრობ, როგორ გამოვძერგე: გრიშა შონია იყო, მილიციის უფროსი: “თუ დაგვიჭირეს, გრიშას-
თან მივალ, სხვა რა გზაა, რამე რომ მოხდეს”... ირიჟრაჟა და გივი გამოჩნდა, საწოლების მხო-
ლოდ თავები და ფეხები წამოიღო – რაც ლამაზი იყო, ჩუქურთმებიანი. უცბათ შეყარეს ფურ-
გონზე, თოკიც არ გადავაკართ შემოსაჭერად, ფუსფუსა შემოახტა, დაიჭირა და წამოვედით.

როგორია ქალაქის ასე გავლა... ჩამოვედით და მოვედით ჩემს ქუჩაზე, გათენდა. ონისიძე იყო, ოსი, ყარაული ტრესტის, – იქ ეზოში სამშენებლო ტრესტი იყო, იქ მუშაობდა ყარაულად ონისიძე; კიტელი აცვია, გალიფე – ნამილიციონარია; თვალეები აქვს ჯაყოსი, ბოროტი. “გოგი, სად იყავი?” – მეკითხება. “არსად, ახლობელთან ვიყავი და წამოვედი”; “რომელი საათია, გოგი?” – ამ დროს ხდება ხოლმე ქურდობა, – “სად იყავი, რომელი საათია?”, იმ წუთში იყნოსა. გადაგრჩით, რომ არ დაგვიჭირეს. შოშიტა ეშმაკია, წაიღო თავისი ნაწილი...

– გივიმ რა ჰქნა?

– “ამას დედას ვუტირებო”, მოახერხა ფეხები, რაღაცეები მიაბ-მოაბა და გამიკეთა ტახტი – რაღაცნაირად ეჩალიჩა, ჩაახუჭუჭა რაღაც სისულელეები და გაათახსირა ეს საწოლი! იქ მიგდია, დავშალე ის ფილიპეს საწოლი... ახლა რომ ეს ამბავი ტელევიზორში მოყვე, უცებ ვიღაც წამოიძახებს: “ა, ჩვენი ბინიდან წაღებულაო, დასაჭერებიაო!”, ჰა-ჰა-ჰა!.. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა, იცი? ეს იყო 1976 წელი... რამდენი გამოდის?

– ოცდაცამეტი წელიწადი, ქრისტეს ასაკი.

ამ საუბარში ვართ და გამონდნენ ძაღლები – ჭრელი ხვადი და მოწითალო-მურა ძუენა – ამ ლეკვების მშობლები. ძუენამ უცხო დიდ ლეკვს შეუღრინა, ეცა და ააწკაფწკაფა.

– ნახე, რა უქნა? – ამბობს გოგი. – ვერ მოითმინა, ნახე, როგორ აფრთხილებს!

– დედური ინსტიქტია, იცოდე შენი ადგილიო. ჰო-ჰო-ჰო, როგორ მიესიგნენ ლეკვები ძუძუებს! როგორ არიან ჩარიგებულნი, ნახე!

– შარშან დავასაფლავეთ გივია...

– რა დაემართა?

გოგი არ მპასუხობს.

– ვერ წარმომიდგენია, თუ ესეთ მხიარულ რაღაცას გააკეთებდა.

– ჩხუბი და აყალმაყალი არ უყვარდა, იმ წუთში გაეცლებოდა. ფეშანგა მეგრელიშვილის მეგობარი იყო, მისი ქორწილის შესახებ რომ მოგიყვებო... მე დავწერ და მერე გაჩვენებ.

ძუენა ძაღლმა ლეკვები დატოვა და სადღაც გაუჩინარდა; ჭრელა ხვადი დარჩა, ლეკვები ეთამაშებოდნენ.

გოგიმ ადრე დიდი ძვალი დაამტვრია და ლეკვებს დაუყარა, ახლა ლეკვებმა ნატყები ისევ დაითრიეს და ლოღნა დაუწყეს.

– კარგი გასართობი მიეცი, ხომ იცი, ამათ! – გეუბნები გოგის.

– მეც ვერთობი!

– ჩვენც ვერთობით!

– მთელი ოჯახია. როცა ჩახუტებულები არიან, უნდა ნახო, რა საყვარლები არიან...

უცხო ლეკვი ეცა ერთ-ერთ პატარას და დაკბინა – ძვლის ნატყები წაართვა.

– ის დიდი ლეკვი დიდი წუპაკია! მაინცდამაინც სხვას უნდა წაართვას! აბა-აბა-ჰა-ჰა-ჰა! – დაუტატანა გოგიმ დიდ ლეკვს.

პატარა წკაგწკაგტირლით გაეცალა დამჩაგრავს და გოგისკენ წამოცუნცუნდა.

– რამხელა ხმა აქვს! – მიკვირს.

– მოდი, მოდი აქ! – მიეფერა გოგი ლეკვს. – რა გაწყინა, რა? დედა სად არის, დედა?

– სად წავიდა მათი დედა, რატომ არ მოვარდა ახლა მის მისაშველებლად? მიატოვა და წავიდა!

– ეგ არის მაგათი კანონი: რომ წამოიზრდებიან, წადი და მიხედე შენს თავსო. ვუყურებ ახლა და ვფიქრობ: რაში მოგტყუვდი? ხომ იცი, როგორ არის: შენი ცხოვრება და ამათი ცხოვრება უნდა შეადარო. – მერე ლეკვს ხელისგულს უსვამს ზურგზე და დრუნჩხუ: – მაგრად მოგხვდა?..

წვიმამ წამოუშინა, ნიკალას ჭრელა ძაღლიც აღარ ჩანს...

გოგი მოედნის კიდესთან მიყუდებულ კრამიტს მიჩვენებს:

– მშობლებს გაუმარჯოსო, გონა სადღეგრძელოს ამბობს ამ კრამიტით.

– საიდან ჩამოიტანე ეგა? რამხელაა, რა უცნაური ფორმა აქვს...

– ზემოდან...

– ა, არქეოლოგიური გათხრებიდან? აუჰ, ეგ იქნება ერთი ორი-სამი ათასი წლის...

– გავრეცხე კარგად და მივაყუდე. გონას უყვარს განსხვავებული სასმისი და ეგეთი რაღაცეები. ვპაექრობდით, “აი, ახლა, ბიჭო!” – ერთი ნახევარი დოქი ჩავიდა და დაგაღვევინეთ... სულელი ქართველები!.. ხელში რომ სულ კალამი გიჭირავს და ატრიალებ, შენი ყანწი ეგ არის, ჰი-ჰი-ჰი!.. მოგაცდინე, გამოგიყვანე ხომ სახლიდან?

– ვერ ვჩერდები, რაღაცას ვფაფხურობ, ვერთობი რა, ჩემო გოგი, თორემ ჩემი ნაჯახირევი ვის რად უნდა... რაღაც უცნაურად მიდის ყველაფერი... აღარავის აღარაფერი აინტერესებს; ტელევიზორში რას აჩვენებენ, გაგიჟდები! უყურე გუშინ, შიშველთა გარბენა რომ აჩვენეს? ფინეთში, მექსიკაში... ლონდონში ავტომობილისტები ველოსიპედისტებს არ უთმობენ გზასო და მთელი ქალაქი აიკლეს, ველოსიპედებით მოდიოდა რამდენიმე ათასი ქალი და კაცი, სრულიად შიშველები! ასეთნაირად გამოთქვეს პროტესტი... ფინეთში მოუწყვიათ ათეილომეტრიანი გარბენა – ასეთი ტრადიცია ჰქონიათ; კარგა ხანს გვიჩვენებდნენ მორბენალ შიშველ ქალებსა და კაცებს...

– ეს არის ყოველგვარი კომპლექსებისგან განთავისუფლება...

– განთავისუფლდნენ, თუ უნდათ, მაგრამ ყველა არხით ამის დეტალურად ჩვენება რა საჭიროა, თან ინტერვიუს იღებენ და მთელი ამბავი... ნამდვილ ლიტერატურასა და ხელოვნებას კვირაში ერთ საათსაც არ უთმობენ... გოგი, შენს რომანს მხატვრებზე როდის ჩაუჯდება? წინასწარ რაც მომიყვი, ძალიან კარგი რამ გამოვივა...

დაბნელებას იწყებს და წყნარად წვიმს, წვიმს...

ლეკეები ალბათ დასაძინებლად წავიდნენ; საოცარი სიწყნარეა, მხოლოდ უხილავი შაშვის გალობა ისმის...

დროა, ჩვენც დედა-თბილისისკენ გამოვიწიოთ...

2009 წლის 16 ივნისი.

არმაზი, ცაცხვი

“ცაცხვი” – ასეთი სახელწოდების ჩანახატი ადრე მაქვს გაკეთებული, – კაი ოცდაათი წლის წინათ! – იგი შესულია ჩემი მოთხრობების და ჩანახატების წიგნში “მხიარული ზაფხული ბაკურიანში” (2003 წ.). ახლა არმაზულმა ცაცხვმა კიდევ ერთი ჩანახატი დამაწერინა...

2009 წლის 29 ივნისის დღეს ვიხსენებ.

შუადღის სამი საათი იყო, როცა გოგომ მანქანით გამომიარა და, თბილისის ზღვის გაველით, არმაზისკენ გავეწიეთ.

მშვენიერი ამინდია, ვხედავთ წყალსაცავის ნაპირზე დასასვენებლად და საბანაოდ ჩასულ ადამიანებს.

გოგი იხსენებს, ბავშვობისას როგორ ისწავლა ცურვა:

– ჩავედი ამბროლაურში, 12-13 წლის ვიყავი. ძალიან მაგარი სიცხე იყო, ამბროლაური ჩაგარდნილი ადგილია. პატარა მდინარე კრიხულა უერთდება რიონს და იმაში ვიბანავით. ამოვედით ბავშვები, დავბოდიხობდით და აღარ მახსოვს, ფეხბურთი თუ ასეთი რაღაცა უნდა ყოფილიყო იმ დღეს, მის დაწყებამდე დრო გექონდა. ჩავედით რიონში, ვიბანავით, ამოვედით... ისეთი სიცხეა, კიდევ ჩავედით და ვიბანავით. ისევ კრიხულაში ჩავედით, ვიბანავით... მეოთხედ კიდევ რიონში ვიბანავით და მაგარ ჩქერებში შემადგო რიონმა, ხიდის ქვეშ ვბანობდით და წამიღო... გამომშვერილი იყო ჯოხები – ნაპირის გასამაგრებლად ქსოვდნენ მაშინ ხეებით ღობესავით და იმაში ჰყრიდნენ ქვებს, რკინის ბადეები მერე შემოვიდა. ჰოდა, გამომშვერილი იყო ხე ესეთი, ამ ხეს გამოეღო ტრუსი ჩემი და ეგრევე ჩამაყვინთვინა წყალში. დაგვარგე უცბად ორიენტაცია; რომ ამოვყავი თავი, უცბად ვერ გავიგე, რა ხდება და სადა ვარ, – დამატრიალა, კიდევ ჩამაყურყუმელავა... მერე, ეტყობა, ტრუსი გაუშვა იმ ტოტმა და, დატრიალებულს, უკვე წონასწორობა დაკარგული მქონდა, სადღაც ქვემოთკენ წამიღო; მერე გავსწორდი, ამოვყავი თავი და სანამ ქვაზე მიმანარცხებდა, ამოვბეგრი, როგორც იქნა.

ბიჭებს ხომ არაფერს ვეტყობდი; მე ჩემი დამემართა, ალბათ ფერი არ მედო, მაგარი შიში ვჭამე... იქიდან წამოსულებმა კიდევ, ბიჭო, კრიხულაში ვიბანავით... აღარ მახსოვს, ფეხბურთზე წავედით თუ არა; უნდა გვეყურებინა – რაიონის საკლემურნეო ჩემპიონატი ტარდებოდა ხოლმე, თამაშობდნენ... და ამოვედით სოფელში, მომცა 40 გრადუსი სიცხე. მეორე დღეს აიწია 42-მდე, მოკლედ, ცეცხლი მიკიდა. ბიცოლაჩემი, ელენე, შეშინდა, გავარდა და სოფლის ექიმი მოიყვანა. ერთი 3-4 დღე ვიყავი ასე და მერე დამიგლო ნელ-ნელა სიცხე. გაცივების თუ შიშის ბრალი იყო, რომელი იყო, ეს უკვე აღარ ვიცი, მაგრამ ერთადერთი შემთხვევა იყო, მე რომ სოფელში გავხდი ავად. “ვაიმე, ტარასის, – მამაჩემს, – არ გავაგებინოთო, როგორმე გამოვაკეთოთ”, შეშინებულეები იყვნენ და 3-4 დღე კი არა, ერთი კვირაც გაჭიმული ვიყავი ლოგინში იმ სიცხეში. ესე იყო ეს ამბავი. ცურვა მე ასე ვისწავლე: იქ პატარა მდინარეა – ხეტეურა, დავაგუბებდით და პატარებს გადაგვეყრიდნენ ხოლმე შიგ – აბა, ცურვა ისწავლეთო. ვფართხალებდით... მერე მე სხვებს ვუკეთებდი ასე ხოლმე, ვაწვალებდი; პატარა ბავშვებს ჩავაგდებდი შიგნით, თვალებს რომ დაყვლიპავდნენ ესე, შეშინებულეები. ახლა რომ დავინახო ჩემი შვილიშვილი გიორგუნა ასე, ალბათ ინფარქტი დამარტყამს... ჰო, მერე ამოვიყვანდი, ამოვასუნქებდი. რამდენიმე წლის წინათ სოფელში რომ ჩავედი, ერთი პარლამენტარი იყო, ის მეუბნება: “უი, ბოშო, გოგინიკაო, რა უბედური იყავიო, რამდენი მაყურყუმელავეო”. მე დამავიწყდა, იმათ ახსოვთ! მერე, ამათ სხვანაირად ახსოვთ: “რა მაგრად ჩხუბობდიო”, – რას ვჩხუბობდი, მაგრამ ერთს დავადე მაშინ, მახსოვს, ჰოდა, ხომ იცი, მერე სხვა სახელი გაქვს და სხვანაირად გიყურებენ. მომივიდა ჩხუბი მაშინ ერთთან, ძალიან დიდი იყო – ორას კილოს ეწეოდა რა; ვიდაცის საცემად წავიდა, ბიძაშვილები კი იყვნენ... მახსოვს, დაგიჭირე და: “ხელი არ გაანძობო, თორემ გაგიხვრიტავ ტყვიით შუბლს-მეთქი!” – მე ვუთხარი, ხელით ასე მიჭირავს. მე ვიყავი 19-20 წლის, უკვე ვბეჭდობდით და იმას, ამხელა კაცს, ასე უკანიდან მოვაჯექი და “ჩაგვეტე”. ერთი ბავშვი თურმე მიყურებდა ღობიდან, გაიგე, და ეს დეტალები სულ მომიყვა. ამას მიყვება კაცი, რომელიც შემდეგ ძველბიჭობდა, ხომ ხვდები, იმის გმირი დავრჩი ამითი, რა.

– სოფლის ამბები გაიხსენე კიდევ...

– ათი წლის ვხდებოდი, დედაჩემი გარდაცვლილი იყო... და იმ ზაფხულს ჩემი თავი გაატანეს ნათესავებს სოფელში; მიყვარდა ძალიან ახალსოფელი, დედულეთი, ჰოდა, ერთი ბიჭი არა ჰყავდათ, არავინ... მამაჩემი უნივერსიტეტში მუშაობდა, მაგრამ ჩემი თავი გააყოლა – ზალიკო მყავდა ერთი, ბიძაშვილი, ფული მისცა და “ბურთი უყიდეთ”, – ბურთის გიჟი ვიყავი, ბურთი იყო ჩემი ყველაფერი. მთელი თბილისი მოვიარეთ – ფეხბურთის ბურთი არ იყიდება არსად, კაცო...

– რა დრო იყო, ბიჭო, ა?

– გაგიჟდები! ამათ ახლა ფეხბურთელი არავინ ჰყავდათ, რომ მისულიყვნენ და ეთხოვათ; მოვიარეთ ქალაქი და, მახსოვს, ერთმა გამოაჩინა, – დამალული ჰქონდა, საწყობი იყო თუ რაღაცა, – გამოიტანა. კალათბურთის ბურთი ხომ უფრო დიდია და მაშინ თასმები ჰქონდა; კამერას ჩადებდი, პიპკას ჩადებდი და მერე თასმები უნდა ამოგეკრა, გახსოვს? კალათბურთის დიდი ბურთი იყო და თანაც მთლად მრგვალი კი არა, კვერცხივით იყო. ეს ბურთი ჩავიტანე პირველად სოფელში, გაგიჟდნენ სოფლის ბავშვები – გოგინიკამ ბურთი ჩამოიტანაო... მერე ყოველთვის ჩამქონდა ბურთები – ეხლა გოგინიკა ჩამოვა და ბურთს ჩამოიტანსო... ესე იყო ჩემი სოფლის ამბავი.

– მთელი დღე დასდევდით ბურთს!

– აბა, ბიჭო! კალთზე ვთამაშობდი და რა იყო საოცარი: მე პატარა ვყავი, ჩემი ასაკის ერთი-ორი არც იყო და დიდებთან მიწევდა თამაში; ისინი 4-5 წლით უფროსები იყვნენ და იმათთან თამაში ძალიან რთული იყო: დაგამტვრევდნენ, წაგაქცევდნენ... მით უმეტეს, დიდ მოედანზე უფრო სწრაფად დარბიან, ხომ იცი, ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან. შენ რაც უნდა ტექნიკურად ძლიერი იყო, პატარა ხარ მაინც...

– თანაც – არ გინდობენ...

– აღიოდნენ ხოლმე მაღლა სოფლებში, დაგვებოდი ამათ და პირველად, თუ კაცი დააკლდებოდათ, მაშინ მათამაშებდნენ, თანაც – ჩემი ბურთი იყო! წარმოიდგინე: 16-17 წლის ბიჭები და მე – 12-13 წლის... თუ დააკლდებოდათ, მათამაშებდნენ; მე გიჟსა ვგავდი სიხარულით... მერე, დავდიოდით, – სოფელი კორტი, აიმ მთაზე, ბიჭო, და წავიდოდით 15 კაცი, რომ იმათთან ფეხბურთი გვეთამაშა – სოფლიდან სოფელში.

– შორს იყო?

– შორს რომელია! წარმოიდგინე, ოქროყანაში რომ ახვიდე თბილისიდან... და ამ აღმართს მივადგებოდი. მოგეშვიდებოდა, ვითამაშებდით, თუ წავაგებდით, შეიძლებოდა, ჩხუბი მოსვლათ ამათ. მერე, ესენი რომ ამბროლაურში ხვდებოდნენ ერთმანეთს, მოილაპარაკებდნენ, რომ ამოდი და ვითამაშოთო. მერე დაიწყო საკომპიუტერული პირველობები, “მოაგარაკებებს” უძახოდნენ, ვინც ჩასული იყო დამსვენებელი, იმასაც შეეძლო გამოსვლა და აი, მანუჩარა მაჩაიძე ჩამოვიდა იმ სოფელში. “მანუჩარაც გამოიყვანეთ!” – ეხვეწებოდნენ. გურამ ფანჯიკიძე უკვე ამხელა კაცი იყო და იმას თხოვეს და – “ვერ გამოვალო”, გურამიც თამაშობდა ფეხბურთს. მერე მე გამომიყვანეს – უკვე 15 წლის ვიყავი. მე პატარა ფეხბურთს რომ ვთამაშობდი, მინი-ფეხბურთი როა, იმან გამაფუჭა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგად ვთამაშობდი...

– ფანჯიკიძეს იცნობდი?

– არ ვიცნობდი. ერთხელ ბურთი ვითამაშეთ კრიხულას ნაპირზე და იქ ჩამოსული იყო თვითონ; ვითამაშეთ – გავიყავით და ვითამაშეთ. ის ჩემზე უფროსი იქნებოდა ალბათ 10-12 წლით, შენი ხნის იქნებოდა, ხო?

– არა, ცოტა უფროსი იყო.

– ჩემზე ბევრად უფროსი იყო. ახალგაზრდული, ბიჭური რაღაცეები ბოლომდე შერჩა, ჰოდა, გაბრაზდა, ბიჭო, და იმათ ეკითხება: “ეს მხარბეჭიანი ბიჭი ვინ არისო?”. რაზე გაბრაზდა, იცი? ბურთი ვერ წამართვა! “ეს ვინ არისო?”. აი, ეს იყო გურამ ფანჯიკიძესთან ერთი შეხება. მერე, მგონი, ჩემი სურათი აჩუქეს, ვიდაცამ აჩუქა და მერე აღარ მქონია ისეთი ურთიერთობა. სამაგიეროდ, კონსტანტინე გამსახურდიას დავუდექი წინ! 1964 წელია, გამოსულია ფიჭვნარში, ლიბავაში, და აფურთხებს და აბოლებს სიგარეტს, სვანური ქული ახურავს. ჰოდა, ვუდგევარ წინ, სახელი ჰქონდა, კოშკი თავისი, ჰოდა, ვუყურებ, გაიგე? აქეთ გაიწევა – ვუყურებ, იქით გაიწევა – ვუყურებ! ასე მიშტერებული ვარ, მაინტერესებს! 19 წლის ვიქნები, რა; შემომხედა, მიყურა, თფუ! – გვერდზე გადააფურთხა, შემომხედა და წავიდა! ესე თავხედურად ვუყურებდი. ეს იყო კოწიასთან ჩემი პირველი კონტაქტი, მეტი აღარ შეგხვედრივარ. ესე იყო...

ეხლა მე შენ გიამბობ პატარა იუმორისტულ რამეებს და შეიძლება, დაწერო.

სანდრო, ბიძაჩემი, დედაჩემის ძმა, უღვაშებიანი კაცი იყო, დიდი უღვაშები ჰქონდა და ამით თავი მოსწონდა. ჩამოდიოდა ხოლმე ჩვენთან აქა, თბილისში. ენა ეშლებოდა ცოტა და როცა გამაბრაზებდა, ვეუბნებოდი: “შენ თუ არ შეგატარა უღვაშები ღამე, მე კაცი არ ვიყო-მეთქი!”. პატარა ვიყავი, იცოდა, ძალიან მოუსვენარი, ჰოდა, მამაჩემს ერთხელ ეუბნება: “ტარასი, კაცო, ღამე არ მიძინავს, უთხარი, ამ შობელძაღვლმა მართლა არ შემატარა უღვაშები!”, ჰა-ჰა-ჰა!

– ჰა-ჰა-ჰა!..

– ვაი, ბიჭო! “სულელია, ჭკუა არ მოეკითხებაო”... ოჰ, ცირკი იყო, რა! სანდროს ტყვია ჰქონდა მოხვედრილი ფეხში, გაფშიკინებული ჰქონდა, ოდნავ დაუმოკლდა და კოჭლობით დადიოდა. ვაამბობინებდი ხოლმე, როგორ მოხდა, ტყვია თუ ჭურვის ნამსხვრევი როგორ მოხვდა. ჰოდა,

ჰყვება, ისიც არ იცის, რა ადგილას მოუვიდა ეს რუსეთში. “წვიმაა, წვიმა! ტყვია მოდის, როგორც წვიმა! როგორც წვიმა! – ამ დროს შემომხედავს და ესლა ჩემთან გადმოდის: – ბიჭო, გოგინიკა, შე გლახა, შენ გოუძლებდი იმას?! როგორც წვიმა, ისე მოდის ტყვია!.. მაგარი სროლა იყო, შეტაკება და მერე ხომ ჰყვია მიცვალებულები და, ბიჭო, ჩვენ გვითხრეს, რომ მკვდრებს უნდა ააცალკოთ იარაღი და გავიდა ბატალიონი, იარაღი უნდა ავართვათ და წამოვიდოთ... მივიღივარ ახლა, ერთ დაჭრილი უნდა გამოვითრიოთო, ჰოდა, დევინახე, კაცო, რაღაცა ბრჭყვიალობსო, ხომ იცი, შენო, – გერმანელი გდია მკვდარი და რაღაცა ბრჭყვიალობსო... და მთვარის შუქიაო... ამან შემაცდინაო, გევიქეცი და რო წვიმელი, რო გასკდა რაღაცა, ბიჭო, და გამისროლა ასე ზემოთკენ და გადამაგდო რაღაც ხეებზეო... ხეებია რაღაც ეკლიანი და ჩამოკიდებული ვარ ამ ხეებზე... თვალეები მაქვს დახუჭული, რომ ტყვია არ მომხვდესო!”. ერთი სოფელი ბიჭია, იკრიჭება, კვდება სიცილით: “კაცო, სანდრო, ტყვიას თვალის დახუჭვა უშეველისო?”. ახლა იმას მიუბრუნდა: “შენ ჩეიფსამდი იქა!.. მერე გევიითიშე, აღარაფერი მახსოვსო და, ბიჭო, სიზმარს ვხვდავ, ხომ იცი: მოდის მამაჩემი, ქიტესია, აგერ არ მოდისო? დამინახა: “უ, შე მამაძაღლო, აქ რა გინდაო, ჰით!” – გამკრაო, წამარტყაო – წამოვდექიო. გავახილე თვალეები, ბიჭო, სადღაცა ვგდივარო, ვიღაცა მიძახის: “ძია, ძია!..”. გევიხედე – ერთი რუსის გოგოაო, კაცო, მეუბნება: “ცოცხალი ხარო? მომიკიდე ხელიო!” და გამათრიაო ამ გოგომ და ისევე დაგეკარგე გონებო და გავახილე თვალეებიო და ფეხი მაქვს გადადებული, ისე, როგორც ზარბაზანი!.. და ეს გოგო არ მცილდებო, კაი გოგოა, ხომ იცი, შენო, მეუბნება: “ბიძია, ფეხი არ მოაჭრეინოთო!”. დამიწყვესო, აქ რაღაცა მიაბესო, მოაბესო...”. ჩამოვიდა სანდრო ჯარიდან არ პირდაპირ მიადგა დედაჩემს და მამაჩემს, კოჭლობით... “ერთი მედელი მაინც ვერ ჩამოიტანეო?” – აშაყირებდნენ სოფელში.

ახლა ერთ კაი რამეს მოგიყვები სანდროზე; ენა ჰქონდა რაღაც საოცარი, ძალიან კარგი პუ-მორი ჰქონდა, სხვათა შორის... შეკრებილი ვართ ახალგაზრდები, ვსხედვართ და სანდრომ დაიწყო: “კაცო, გუშინ ამბროლაურში ვიყავიო და ცოტა ზედმეტი მომივიდა დალევაო. წინა დღეს მართლა ძალიან მაგრა წვიმდა, ხომ იცი, და წამოვედი ახლა, ქედზე მოვდივარო, მაგრამ ეს ჭიჭიკუნას აღმართი რომ არისო, ეგ შობელძაღლი, აყალო მიწა იყო და ნაწვიმარზე ფეხი ცურდაო: ბიჭო, ავალ ზემოთ – დავცურდები, ისევე ქვევით მივიღივარ ერთი-ორი ნაბიჯითო... ვერ ამოვდივარო, ხომ იცი შენ! ცოტა მეტი კი მომივიდა დალევაო, გვიან მოვდივარო, რა ვქნა, არ ვიციო. და, ბიჭო, ამ ამბავში ვარ და აგერ, შეგხედე – რაღაცა დაპორტყვიალობსო... ოთხითო, კაცო, არც აღამიანია, არც ცხოველიო. ბიჭო, გუყურებ: “ვინა ხარ?”, – გეუბნები, კაცს კი ჰგავს, ხომ იცი, შენო. “ო-ო-ო!” – მეტი ხმას არ იღებს. “ვინა ხარ?” – გეკითხები და: “ა-ა-ა!” – ისევე ხავის, მეტი არაფერი. “ბიჭო, მოდი აქ, მომეხმარე, მოგეხმარები!”. როგორც იქნაო, – სანდრო ამბობს, – ამოვედიო და ესეც უკან მომდევსო, კაცო! უცებ: “ვისი ხარ, ბიჭო, სად ცხოვრობ?”, – ხმას არ მცემს, “ა-ა-ა!” – იძახისო”. სანდრო რომ ამას ჰყვება, მისი ბიჭი, გაჩე, ზის იქ, ჰოდა, იმან იცის უკვე, მამამისი რასაც მოჰყვება: “რა არის, მამა, რასა ჰყვები!”. “შე შობელძაღლო, ისე როგორ უნდა დათვრე, რომ მამა ვერ იცნო?”. თურმე თამაზიკაა, მისი შვილი, ჩვენ რომ გაჩეს ვეძახით... ასე ჰყვება სანდრო საკუთარ თავზე. “შენ, სანდრო, შენ მაინც ვერ იცანი?” – კვდება სიცილით სოფელეები. “შე მაინც 60 წლის კაცი ვარ, ეს შებელძაღლი, ეს პატარა ბიჭუნა, ესე როგორ უნდა დათვრესო... მოვდივარ სახლში, მომყვება ეს შობელძაღლი! ვინ მომდევს-მეთქი და მოვცხე ერთი, – თურმე თამაზუკა არ არიო?!”. ელენე, ბიცოლაჩემი: “ისე როგორ უნდა დათვრეთ მამა-შვილი, რომ ერთმანეთში ჩხუბობდეთო, ერთმანეთს ვერ ცნობდეთო...”. ესე დამთავრდა ეს ამბავი. სანდროს ტანმორჩილი ცოლი ჰყავდა, ელენე, შვილებიც პატარები გამოვიდნენ, შვილიშვილებიც...

– სამხატვრო აკადემიის ამბები გაიხსენე...

– აკადემია რა იყო? ყველაზე კარგი ცხოვრების პერიოდი იყო ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში. ეს სასწავლებელი იყო ჩემი დაკაცების, დავაჟაკების დრო, – 14 წლიდან, – ოთხი წელიწადი იყო ჩემი ყველაზე კარგი წლები ნიკოლაძეში და მერე აკადემიის I-II კურსებს არა უშავდა... მერე, სანამ მამაჩემი ცოცხალი მყავდა – ასე თუ ისე... მერე რა პრობლემები მქონდა? ჩხუბი და დაჭრა, ვიღაც ბიჭების გადაკიდება... მაგ დროს რომ მყოლოდა გვერდით მიტო დანგაბისნაირი უფროსი ნათესავი – მთაში წავეყვანე... თვითონ მე ვხსნიდი ჯგუფებს, ვაყალიბებდი, მიმყავდა; ნადირობა მიყვარდა, მთაში სიარული, მაგრამ, ეტყობა, შედეგი მიყვარდა, რომ მენადირა.

– პირველად როდის წახვედი სანადიროდ?

– პირველად, რაჭაში რომ დავედიო, შემოუთვლია თამაზის, – გაჩეს რომ ვუძახი, – ტყვია-წამალი გამომიგზავნოსო. ცალპირა თოფი მიყიდეს იქ, მე ვიქნებოდი 12 წლის, გადავიკიდე ეს თოფი და გავედი – ჯვარს ვუძახდით სოფელში, ბლები იღბა იქ.

– რომელ სოფელში იყავი?

– ახალსოფელში, დედულეთში. დატენილი მაქვს თოფი. წინა დღეს იქ გავიარე და რაღაც უზარმაზარი ფრინველი დავინახე ახლოს, თურმე ჩხიკვია. მეორე დღეს ავიღე ეს თოფი და გაფცუნცულდი, ჩაეუსაფრდი ამ შაშვეებს და ჩხიკვებს. პირველი, მე მგონი, ჩხიკვი ჩამოვაგდე თუ შაშვი, აღარ მახსოვს. რომ გავარდა თოფი, ასე მეგონა, სოფლის ხმაური გამოდის-მეთქი და მთელმა სოფელმა, დედამიწამ გაიგო, რომ რაღაცა უბედურება ხდება და რომ მივედი და გდია

ძირს ეს ჩიტი – ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. ეს იყო პირველი თოფის გასროლა, 12 წლის ვიყავი.

– არასდროს თოფი არ მქონია...

– არ გქონია? ახლა მარტო ორი ჟანგიანი თოფი მაქვს.

– რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, მონადირე იყოს მაგარი, თორემ თოფი – თოფია! თუ მწერალი ხარ, შეგიძლია, ფანქრითაც წერო და არა პარკერის კალმისტრით...

– არა, გააჩნია... მაგ სხვა ამბავია. 100 მეტრზე რომ დაინახო ჯიხვი, ვერაფერს ვუზამ ჩემი თოფით, კარაბინი უნდა.

არმაზში გოგის აგარაკს მივაღწიეთ.

ეზოში რომ შევედით, ედემის ბაღში, შეგვხვდა ის წუპაკი ძაღლი, ლეკვების დედა. ორი ლეკვილა შერჩენია, დანარჩენები დახოცილან. გოგიმ დაუტაცანა: “არ დამენახო აქ!” – თურმე თეფშიდან აცლის საჭმელს, კაცო, ისე გათავხედდა!

ეზოში ცაცხვი ჰყვავის – თაფლის გასაფუჭებელი სურნელი ტრიალებს! ტოტები ისეა დახუნძლული ყვავილებით, ფოთლები და ყვავილები თანაბრად... და მათ ახვევიან მუქი, ჭრელი პეპლები, დაბზუიან ნაირგვარი მწერები, თეთრი პეპლები ერთმანეთს დასდევენ...

– შეხედე, გოგი, რა პეპლებია, რა პეპლები! რა სუნი! ნახე, ნახე, რა ლამაზი პეპელაა, დაინახე? ერთ დროს გაგიფუჭებული დაგდევდი პეპლებს, იცი, რა კოლექცია მქონდა?

– მოკლავდი და ფურცლებში ჩასვამდი, ხომ? – მატრიხავენს გოგი.

ღობესთან ბროწეულის ხე-ბურქი ტურფად ჰყვავის – ნაკვერჩხლებს ჰყრის!..

ვიწყებ ცელოფანის პარკში ქვედა ტოტებიდან ყვავილების კრეფას; თუ ფოთლებიც მოჰყვება, არც მათ ვიწუნებ. ცოტა დაგვიანდა ცაცხვის ყვავილების მოკრეფა, რადგან უმეტესობა უკვე ნაყვავილარია, მაგრამ ჯერ კიდევ ისმის ფუტკრების გაბმული ზუზუნი...

გამახსენდა: ბაკურიანში ცაცხვის ყვავილებს რომ ვკრეფდი ხოლმე, ოღონდ – აგვისტოში; იქ, მთაში, ცაცხვი გვიან ყვავილობს.

რა უსასრულო სიჩუმე და სიწყნარე ირგვლივ განფენილი, მხოლოდ მტკვრის ოდნავი დუდუნი ისმის, შაში დაკრიმანჭულობს და სადღაც მაღლა, ხეზე, უხილავი ჭრტიჭინობელა დაუსრულებლად, მონოტონურად ხერხავს ამ უშფოთველობას: “ტუ-ტუ-ტუ... ტუ-ტუ-ტუ...”.

შევისვენე: დიდი სიამოვნებაა გაგლა-გამოვლა ამ ტურფა არე-მიდამოში...

მერე მე და გოგი ვსხედვართ განიერ საქანელა-სკამზე და ათასგვარ საკითხებზე ვსაუბრობთ; თან გაყურებთ მტკვარგაღმა აყუდებული მთის მდინარისკენ დაქანებულ ციცაბო ფერდობს. მუქი, დაღარული კლდეები, მწვანე ბურქები – აუჰ, რა ფერწერული სიმდიდრეა! მთელი დღე რომ უყურო, არ მოგწყინდება!

გოგი ამბობს:

– ფიროსმანის გვერდით სურათის დაკიდება რთულია, ძალიან ძნელია, ძალიან... როგორ გითხრა... რომ გაუძლო ფიროსმანს, ძალიან ძნელია. ასევე არის ბავშვების გვერდით დაკიდება: ბავშვები არიან ძალიან უშუალო და ძალიან მაგარი.

– გულწრფელები!

– ძალიან კარგი ფერწერა აქვთ! სუყველას თითქმის კაი ფერწერა აქვს და მათი ხაზი და კომპოზიცია არ მეორდება ხოლმე. ეს ხაზი ასე რომ მიჰყავს, მეორე ხაზი სხვა მხრიდან მიჰყავს, როგორც მერე სწავლობდა პიკასო და ახლა პიკასოს გამოფენას რომ ნახავენ და ხელოვნებათმცოდნეები რაღაც სისულელებებს რომ ლაპარაკობენ: “ასე აქვს გაკეთებული...”, ეგ უნდა თქვან სწორედ, რომ საიდან გამოვიდა პიკასო, თუნდაც ეს პორტრეტები; სწორედ ბავშვების იმ უშუალობიდან... რიტმი – არიტმიით, ეს არის...

– ჰარმონიის მიღწევა დისჰარმონიით...

– ახლა ვეროპაში და, საერთოდ, უცხოეთში, სწორედ ეგ არის; როდესაც შენ ნახავ გამოფენას და თუ წაკითხვა იცი თანამედროვე ხელოვნების, იქ მიხვდები, რომ ეს მხატვარი მართლა კარგად აზროვნებს, სწორ გზაზეა დაყენებული, მერე რაღაცას გააკეთებს. ეხლა ბრიუს ნაუმანია, თუ არ ვცდები, გამოფენილი ჰქონდა, ვიდეოარტებს აკეთებს და ასეთი წარწერები აქვს: “მე რომ მთვარეზე ვიქნები”; ჰოდა, მაგას ჰქონდა, ეყარა ესეთი რაღაცეები, რომ არ მეორდებოდა ხაზი, ხვდები? თუ ამას შეხედავდა ჩვეულებრივი მნახველი, იტყოდა: “რა სისულელება, დაყარა აქ”... რატომ არის ეს კომპოზიცია გაკეთებული? აი, შეხვალ და ხედავ, რომ აქ რკინა გდია, იქ ჩაფხუტი არის, იქ – სურათი, იქ – კიდევ სულ სხვა რაღაცა... მაშასადამე, ის გამოფენა არის, რა? ჰარმონია, დისჰარმონია, ხვდები? სხვადასხვა, აბსოლუტურად განსხვავებული ნივთებია. ვშიაყირობდით: “სად – ინდაური და სად – ოქროს კბილი”. აი, ასე კეთდება. ბავშვები... აი, შენ მიეცი ფანქარი ჩვეულებრივ პიროვნებას, უთხარი: “ოთხი სახლი დამიხატე და ოთხი ხე”, ის დაგიხატავს ოთხ სახლს, ოთხივეს ერთნაირს და ერთნაირად დაშორებულს. აბა, მიეცი ბავშვს. ბავში არცერთ სახლს არ გაიმეორებს – იქნება ოდნავ დაცილებული, ოდნავ სხვანაირი... ეხლა მხატვრები უკვე დაკომპლექსებული არიან, მათი აზროვნება მკვდარია, აღარაფერი აღარ კეთდება, ჰოდა, აი, რომ მისცე, ზუსტად ესე გააკეთებს – დაცილება იქნება ერთნაირი, ერთნაირი სახლები...

– კალაპოტს მიჰყვება, შაბლონს.

– მაგათი კომპოზიცია საერთოდ არ არის კომპოზიცია.

ძალიან მაღლა, ცისფერ ცაზე, გაიარა და თეთრი კვალი დატოვა ვერცხლისფერმა თვითმფრინავმა, მერე შავმა მერცხალმა გაისრიალა კლდოვანი ფერდობის ფონზე... გოგის სახლთან კვიპაროზები აქვს დარგული, ისმის ქარის სუსტი შრიალი მის ტრეობში.

– ფარვიზა ძაგნიძემ, ვალერა მარგიანმა, ვანომ – ბიჭა წვერაძემ, ჭინკამ – ლევანა ჩხეიძემ და კიდევ კუჭუხამ და სხვა უბედურებმა ფეხბურთი ვითამაშეთ ნაძლევზე, წააგეს და ნერვები მოეშალათ, კინაღამ არ წამცხეს? ვერ გაიგეს, რატომ აგებდნენ; სამი – სამზე როცა თამაშობენ, ერთი კაცის ძალა ძალიან ბევრს ნიშნავს, ძალიან მაგრად ვითამაშობდი. ახალი მისული ვარ სამ-ხატერო სასწავლებელში, 14 წლის ვარ, ესენი 3-4 წლით უფროსებია, III კურსზე სწავლობენ. ვალერას უნდა ჩემი გალახვა და ამ ბიჭას – ვანოს... გადის დრო და ესენი ხდებიან ჩემი უახლოესი ძმაკაცები! ჰოდა, ხომ იცი, რა არის ცხოვრება: მერე – აკადემია და მათი მფარველი ვხდები. მე დამყავდა მანქანით, რომ დავდიოდით ხოლმე სადმე სანადიროდ. ვალერა, ცხონებული, ძალიან კარგი იყო მთაში; ბიჭა წვერაძე მთელი დამეგები გაჟა-ფშაველას ლექსებს კითხულობდა ბუნებზე... ეს ბიჭა გრაფიკოსი იყო, დუშეთში ცხოვრობს, მინდა, ერთი ავიდე, ვნახო... “ზაპოროჟეცი” მყავს; მე ვალერა და ბიჭა წვერაძე წავედით რაინდასთან. რაინდა გავიცანი ჩარგალში, რაინდა ჰქვია სახელი ამ კაცს. როგორი კაცია, იცი? ას წელს გადაცილებული დედამისი წევს, საწყალი მოხუცი, იქით და ჩვენ კიდევ აქეთ ჟიპიტაურს გურტყამთ ლამფის შუშით... “მაშ, იმ ხევსაც ვერ გავდმოხვედით? ამაღამ დათუჩას მოჰკლამთ...” – ასეთი ლაპარაკი იცოდა. “რა კარგია, როცა, გავივსება ბოცა! რა ცუდია, როცა, დაიცლება ბოცა!” – მისი სიტყვებია და დამამსოვრდა ეს ლექსი. ეს იყო პირველი შეხვედრა, გაცნობა. ერთხელაც დამე მივადექით რაინდას და დავგვხვდა ერთი ტიპი – ზორბა ქართველი და ცალი თვალი აქვს ამოვარდნილი. ხელი რომ დადო – აი, თათები! “აბა, თქვენ შემოგველეთ”, – თითქოს რაჭულად უქცევს და ბიჭამ: “ეს ამბროსია, გაიცანი, – და ძალიან სერიოზულად დაამატა: – მაგარი კაცია!”. ჩამომართვა ამბროსიმ ხელი: “მაშ, დათვს მოჰკლავთ ამაღამ! ხვალ ალბათ კარგად ინადირებთ მთაში...”. ამოვიდეთ ზურგჩანთიდან კონსერვები, რაღაცეები და დავსხედით სუფრასთან – მე ვარ, ვალერა, ბიჭა, რაინდა... და ეს ამბროსი მეკითხება: “საიდან ხარ?”. “წარმოშობით რაჭველი ვარ”. “მეც რაჭველი ვარო” და ცოტა ხანში: “სერგო ქემოკლიძეს თუ იცნობო?” – მკითხა. სერგო იყო დედაჩემის მოგვარე და ნათესავი, მისი და იყო ნადუკა, დედაჩემი რომ იბახდა, ნადუკა უნდა გავათხოვო. “შენ საიდან იცი-მეთქი?”. “მე ყველა ვიციო... ჩამოსული იყო უჩა ჯაფარიძე და ბუნებრივი საღებავები რომ არის მცენარეული, იმის შოგნა მთხოვაო და დავეხმარეო”. “კარგი ერთიო, – ბიჭამ უთხრა, – ეგეთი რაღაცეები ნუღარ გინდა, ნუღარ ეტყვი ყველაფერსო”, – თან ვჭამთ და ვსვამთ... ბიჭას გაგხედე, – ჩემს ძმაკაცს, – საიდან იცნობს ამ კაცს? ყველა გატრუნულია და ჩვენს ლაპარაკს უგდებენ ყურს. ცოტა რომ შეთვრა, ამბროსიმ: “ახლა ერთ რამეს გეტყვი, ყური დამიგდეო. მე მაქვს ერთი დურბინი და ვიყურები აქედან უცხოეთშიო და ვუყურებ, ორმოცი წელი მოდის სტალინის, როგორ იარაღდებიან ბოხოსქუდიანებით”, – უბერავს, უბერავს... ეს მამაძაღლები გასუსულები არიან, ხმას არ იღებენ. რომ დავინახე, გააგრძელა: “ამეებს აკეთებენ, იმეებს აკეთებენ”, – ვიფიქრე, ეს ცოტა ვე უნდა იყოს ჭკუაზე-მეთქი... გამეცინა. და ბიჭა მიხვდა, რომ მე მივხვდი: “ოჰ, ამბროსა, შე ოღრაშო, გაიყიდე, გაიყიდე!” და ამბროსა, ამხელა კაცი, წამოხტა: “არა ვარ გიჟი, არა ვარ გიჟი!” – დახტუნაობს... ესენი კვდებიან სიცილით...

– საიდან მოხვდა იქ?

– საიდან და, სადღაც მზარეულად უმუშავია სასადილოში და შემოაკვდა კაცი. გადაუსახლებიათ სადღაც ჯანდაბაში, ციმბირში, და იქ ისეთი რამეები გაუკეთეს, ურტყეს, თურმე ჭკუაზე შეირყა. თვალიც ამოთხარეს ამ ქურდებმა, ეტყობა, ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად. და რომ წამოვიდა, შეეკედლა ფშავს და ფშავში დაბოდილობდა... მახსოვს, მაგარი ცივი შემოდგომაა უკვე, ნოემბერი იღვევა და სანადიროდ ვართ წასული; სახინკლე იყო ერთი, ფშავის არაგვის ხეობაში რომ შეხვალ, დიდი სოფელია, ერთადერთი სახინკლე იყო და გდია იქ. “გეხუტუნეთ, გეხუტუნეთ!” – დაბამბული ქურთუკი აქვს წამოსურული და მიწაზე გდია ამ სიცივეში... რამდენიმე წლის შემდეგ ვიკითხე, სად არის-მეთქი და მოკვდაო, მითხრეს, მთელი ამბავი ყოფილა მაგაზე. გაუტრეკლებიათ ამ მთიულებს, წაუსვიათ ბუმბლი თუ რაღაცა და გაუშვიათ, უმამუნიათ. “ეგ შემოგზავნილი იყო, შპიონი იყო”, – გაიგე? ეს სულელები აბრალებდნენ. რის შპიონი, რა შპიონი... ეს უბედური... როგორ იყო, იცი? სოფელში ზოგს უყვარდა და ზოგს სძულდა. რა ჩემი ფეხები იყო ფშავში, რომ ახლა ამას ეშპიონა... ოთხი თუ ხუთი წლის წინათ გურამ გეგეშიძე და მიტო დანგაძე ავიყვანე ჩარგალში და დავინახე: რაინდა აქ არ არის? გვერდზე ვაჟას შვილიშვილი ეჯდა – ალექსა. მივედი, “გამარჯობა!”, “გამომარჯოს!”; “რა კარგია როცა, გაივსება ბოცა, რა ცუდია, როცა, დაიცლება ბოცა!” – ვთქვი. რაინდა გაშტერებული მიყურებს. ალექსას ვეუბნები: “კაცო, აქ ერთი რაინდა ცხოვრობდა, მაგარი პოეტი...” – ვითომ ვერ ვიცანი. “ეს არის, ესაო!” – გაუბრწყინდა მოხუცს თვალები. მერე გამოვეცნაურე...

– მაგ ამბროსის ამბავი ტრაგიკული მოთხრობის თემა არის...

– “შენ გეხუტუნე!.. შენ გეხუტუნე!..” – მაგ უნდა დაეწერა გოდერძი ჩოხელს.

მოვიდა “ნიკალას” ჭრელი ძაღლი; რაღაც ნაცემივით დამფრთხალი თვალები აქვს, ნაღვლიანი, წინა თათით კოჭლობს.

– იჩხუბა, ან მანქანამ ხომ არ დააზიანა? – ამბობს გოგი.

შემდეგ ვიწყებთ საქმიანობას: გოგი ფეხმოტეხილ სკამს აწებებს, მე ხეებსა და ყვავილებს ვრწყავ.

– ბიჭური იყო შუაფხოში ხევისბერი, – აგრძელებს საუბარს გოგი. – მე როგორ გავიცანი, იცი? შუაფხოს შემდეგ ავდიოდით ხოშარაში; მის ზევით არის ძალიან კარგი სანადირო ადგილები და იქ ავდიოდით, ცნობილი ადგილია. როჯო იცოდა იქ ძალიან ბევრი, ქათამი და იმ ბიჭა წვერაძემ პირველად წამიყვანა. ასულები ვართ: მე, ვალერა მარგიანი და ბიჭა. ეხლა თითქმის სოფელ ხოშარამდე გზა მიდის, მაშინ არ იყო, 7-8 კილომეტრი ფეხით უნდა გეგლო და მერე კიდევ მთაში უნდა ასულიყავი. შუაფხოში რომ ავედით, ერთმა ქალბატონმა გვითხრა, მანქანა ჩემთან დააყენეთო, ბარემ დამე აქ დარჩით და დილით ფეხით წადითო. დაგვხვდა ეს ბიჭური, მაღალი კაცი.. დაველაპარაკე ვაჟა-ფშაველაზე: “როგორი კაცი იყო?”. “ფიცხი კაცი იყოო, ამოდოდა ხოლმეო და ჭკუას გვარბიებდაო; ჩვენ ყურს არ ვუგდებდით და თურმე ვაჟა-ფშაველა ყოფილაო”. კიდევ ბევრი რამ თქვა, მაგრამ ერთი რამ მოხდა, ყველაზე სანტერესო... გამთენიანა და რაღაც ბუტბუტი მესმის... გავიხედე – ეს კაცი დაჩოქილა და ლოცულობს! მე მისი ლოცვა აღარ მახსოვს, აი, ჩასაწერი ის იყო! როგორ დალოცა ჯერ თავისი ერი, თავისი ხალხი, მერე თავისას ყველაფერს ჩამოყვანა... ეს რაღაც საოცრება იყო! აი, ეს იყო ჩვენი ბიჭური. ლორდთა პალატაში უნდა იჯდეს ასეთი კაცი და პეპელა-პალსტუხი უნდა ეკეთოს – ულამაზესი თავის ქალა, ძალიან სიმპათიური, გრძელი ხელები, თხელი მაჯები. ჩამოსხმული თავის ქალა მქონდა, ხომ გეუბნები – ულამაზესი თავის ქალა აქვთ ოჩიაურებს, კვერცხში გამოყვანილი თავის ქალა, ძალიან დაყვანილი. მეორედ ლეილა წავიყვანე და გაგიჟდა, როცა დაინახა. მესამედ რომ მივადექი კარზე, გავაჩერე მანქანა და პატივი გვცეს; მე ვიკითხე: “ბიჭური როგორ არის?”, “ბიჭური გარდაიცვალაო”... ბიჭური აღარ დამხვდა, მგონი 104 წლისა გარდაიცვალა. ეს იყო ალბათ 1979 თუ 1980 წელი... კიდევ ერთი საინტერესო კაცის შესახებ მოგიყვებო. რიყეს რომ უძახდნენ, იქ ხელოსნები მუშაობდნენ, იყო თუნუქის ბრახაბრუხი, კუსტარულ ღუმელებს აკეთებდნენ; თუ საბურავი დაგეშვებოდა, მანდ გამოგიცვლიდნენ. რაღაც საქმეზე ვიყავი, გამოვდივარ და დავინახე: ერთი მოხუცი კაცი დგას, ოთხმოცს გადაცილებული; აუკიდებია ეს ღუმელი და მანქანის გაჩერება უნდა. შევანერე: “საით მიდიხარ-მეთქი?”, “საბურთალოზეო”, “დაჯექი, წავიყვან!” – ასე დამყავდა ხალხი. ჩავდევით ეს ღუმელი “საპროფექცში”, ჩავსვი. მე გუთხარი: “ეს მოხუცი კაცი ვინ გამოგიშვა?”, კი არ ვეუბნები, შვილები ვინა გყავს-მეთქი. “ეხლაო, შვილო, რა ვქნაო, არა სცალიათ ჩემთვისო და... როგორიც გინდა, შვილები ისეთები არაა, არ გამოგადგებიანო, უფრო მეტს მოველოდიო”, – ასეთ ლაპარაკში ვართ და მიმაყვებიანა, ბიჭო, მანქანა გოგი ოჩიაურის სახლთან. მე გუთხარი: “გოგი ოჩიაურისა და ირაკლი ოჩიაურის მამა ხარ და შენ შვილები ვერ გაზარდე-მეთქი?”, “უჰო, კაცო, რა ვქნა არ ვიციო!”...

ამ ლაპარაკში გოგი თან ჩემს პორტრეტს აკეთებს კალმით.

– ახლა ისე უნდა დაგჯღანო, რომ მეორედ აღარ მთხოვო.

– რაც უფრო დამჯღანავ, მით უფრო კმაყოფილი დავგრჩები.

– რომ არ ისვენებ, ისე უნდა დაგჯღანო, რომ თქვა, მეტი აღარ მინდა ამისთანაო...

– შენ რომ იცოდე, გოგი, რა არასერიოზული კაცი ვარ!

– კაი, კაცო! რამდენი ხანია, პორტრეტი არ გამიკეთებია... და შენ ახლა მაიძულე, გინდა თუ არა, დამხატეო.. ეგეთი რამე მე არ გამიგია!

– მოძალადე ვარ! ძმაო, ესეთი შემთხვევა მქონეს და ხელიდან გავეშვა, არ შეიძლება! ძალიან პატივს დამდებ, თუ მეტისმეტად დამჯღანავ; ისე, თუ ჩვეულებრივი სურათი მინდა, ფოტოგრაფთან მივალ და გავაკეთებინებ...

– როგორი ვარიანტია, იცი? ჯერ უნდა ვიგრძნო და მერე გავაკეთო. და როცა კაცი მეუბნება, მოდი, ახლა დამხატეო, მაშინ ერთი და ორი კი არ უნდა გავაკეთო. ჯობუტის პორტრეტი რომ გავაკეთე, დავიჭირე, “დაჯექი-მეთქი” და უცბად... ხეპირად უნდა გააკეთო და გამოდის ცოცხალი. მოსწავლის რაღაცას მაკეთებინებ შენა... ცხვირი გამოვიდა დიდი, ახლა ვეღარ ვაპატარავებ...

– პირიქით, კიდევ უფრო უნდა გაადიდო!

ამ დროს სულ ახლოს შაშვმა დაიწყო გალობა.

– დაგლოცა, გოგი, შენი მუშობა დალოცა! კარგი პორტრეტი გამოგივაო!

* * *

სადამოს შვიდი საათი სრულდება...

გადავყურებ მტკვრის მორევს მაღალი ფლატედან. მტკვარი ოდნავ ამღვრეულია, მის ზევით – გაღმა მთას თითქოს დაღრეჯია სახე, – დანაპრალეზული, დაჩხილი, მტანჯველი ფიქრებით შეწუნებული კაცივით შეუჭმუნია შუბლი... მუქი კლდეები მოღუშულები იყურებიან, ოღონდ მათ აქა-იქ აცოცხლებს ხასხასა სიმწვანე – ბალახეულობისა და თრიმლის, ძეძვის, ღვიის და სხვათა ხე-ბუჩქების კუნძულებისა. ცოტა ხანში ბალახები გადაყვითლდება-გაყავისფერდება და ამ ციცაბო კლდოვან ფერდობსაც სხვა ელფერი ექნება – კიდევ უფრო ნაღვლიანი...

მზე ჩადის, პირდაპირ თვალებში მიყურებს, თუ მე ვუყურებ, არ ვიცი.
ხელმარცხნივ, არმაზის ხუჭუჭატყიანი ქედის ზევიდან, ნახევარმთვარე დამყურებს – მკრთა-
ლი, მქრქალი...

ეს-ესაა დავამთავრე ცაცხვის ყვავილების მოკრეფა; სულ გაგუნგლული ვარ ყვავილებით და
მისი მტვერით.

ზამთარში, როცა ცაცხვის ყვავილებზე დაყენებულ სურნელოვან ჩაის დავლეგ, ეს დღე გა-
მასხენდება – გაბრწყინებული დღე! ერთ-ერთი იმ დღეთაგანი, აქ, არმაზში რომ გამიტარებია. და
არცერთი იყო ჩვეულებრივი, უბრალო: ყველა ბრწყინვალე იყო ნამდვილად, ბედნიერი დღე, გა-
მორჩეული, განათებული, კაშკაშა, – თუნდაც დრუბლიანი ყოფილიყო, – თავისი განუმეორებლო-
ბით!

2009 წლის 12 სექტემბერი.